მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრების შეურაცხყოფის გამო A6

წვევამდელთა უფლებები A8

ექსკლუზივი B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 30 აპრილი, 2004 წელი. №101 (650)

ფასი 50 თეთრი

ხელმოწერები აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით

ვერიკო თევზაძე

"ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტარ თამაზ დიასამიძის ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში ასლან აბაშიძის ოპოზიცია აპირებს, აჭარის მოსახლეობასთან აქტიური დიალოგი აწარმოოს. კერძოდ, ისინი დაიწყებენ ხელმოწერების შეგროვებას აბაშიძის გადადგომის და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით. **"ეს ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი იქნება, "ჩვენი აჭარა" პარალელურად კიდევ სხვადასხვა პოლიტიკურ აქციებს გეგმავს. დღეისათვის ჩამოყალიბების პროცესში ვიმყოფებით,"** - განუცხადა დიასამიძემ "24 საათს".

გაგრძელება A3 გვერდზე

აქციის მონაწილე ხულოში.

ფრედ ვუდროფის მკვლელი ჯერაც არ არის დაკავებული

- ამბობს მაიკლ ფულარა

(გაგრძელება, დას."24 საათი" N100)

თერთმეტი წლის წინათ, 1993 წლის 8 აგვისტოს, საქართველოს დედაქალაქთან მომხდარი მკვლელობა თავიდანვე ბურუსით იყო მოცული, რადგან თბილისის შემოგარენში, სოფელ ნატახტრის საგუშაგოს მახლობლად მოძრავ მანქანაში მოკლული, 45 წლის ამერიკელი ფრედ რასელ ვუდროფი, რომელიც, ოფიციალურად, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური განყოფილების რეგიონულ ურთიერთობათა სექტორის თანამშრომლის სტატუსს ატარებდა, სინამდვილეში კი, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (იგივე CIA-ის) მიერ სტრატეგიული ინტერესის მქონე ქვეყანაში – საქართველოში შემოგზავნილი ერთ-ერთი პირველი აგენტი გახლდათ.

ინგა ალავიძე

ორ დღეში გახსნილი საქმე და უპასუხოდ დარჩენილი ვერსიები

თერთმეტი წლის წინათ საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, 1993 წლის 8 აგვისტოს, თბილისთან ახლოს, ნატახტრის გზაზე, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლის მკვლელობამ თავიდანვე სერიოზული ეჭვები აღძრა.

მკვლელობის ღამესვე ქართველმა სამართალდამცველებმა, ვუდროფის მკვლელობის ადგილიდან სულ რაღაც ხუთასიოდე მეტრში, ნატახტრის საგუშაგოზე მდგარ ვაგონში

გაგრძელება A7 გვერდზე

უშიშროების გენერლის კვალს მისი ყოფილი კოლეგებიც გაჰყვებიან

ლევან კენჭაძე, იარაღით ვაჭრობის გარდა, სხვა დანაშაულებშიცაა ეჭვმიტანილი

უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსი, უშიშროების გენერალ-მაიორი ლევან კენჭაძე გენერალურ პროკურატურაში მიყვანისა და ბრალის წაყენების შემდეგ, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში

ინგა ალავიძე

თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულ გენერალს, გენერალური პროკურატურა უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, დიდი რაოდენობით იარაღის ჩამოწერაში, პანკისის ხეობაში გატანასა და ჩეჩენი მებრძოლებისთვის მიყიდვაში ადანაშაულებს.

უშიშროების სამინისტროს სპეციარაღის უკანონოდ გაყიდვის თაობაზე საქმე სამხედრო პროკურატურაში რამდენიმე წლის წინ აღიძრა. არაოფიციალურად ლევან კენჭაძე წლების წინ დაადანაშაულეს და მისი კარიერაც სწორედ ამ ბრალდებებმა იმსხვერპლა. თუმცა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი ოფიციალურად მაშინ არ დამდგარა. გარდა იარაღით ვაჭრობისა, ლევან კენჭაძის შესახებ გენერალურ პროკურატურას სხვა სერიოზული მასალებიც მოეპოვება. ჩვენი ინფორმაციით, ლევან კენჭაძის დაკავების მიზანი ამ მასალების გახსნაც იყო.

გაგრძელება A7 გვერდზე

ბესო გელაშვილის ფოტო

ლევან კენჭაძე

ავია-მაფიის კორიფეები - 1

ანუ მოსალოდნელი საფრთხე

ოთარ ქირია

ავიაკომპანია "აირზენა საქართველოს ავიახაზების" ვიცე-პრეზიდენტი კახი ასათიანი შარშანწინ მანქანაში ჩაცხრილეს, ერთი წლით ადრე, ამავე კომპანიის პრეზიდენტის თამაზ გაიაშვილის დისშვილი დათო ბახტაძე სადარბაზოში მოკლეს, შარშან ავიაბიზნესს "საქავიასერვისის" პრეზიდენტის – აკოფ არუტუნოვის სიცოცხლე შეეწირა, 1995 წელს კი ვენაში ავიაკომპანია "ორბის" ვიცე-პრეზიდენტი დათო სანიკიძე გაანადგურეს. დღემდე ქართულ ბიზნესთა შორის, ავიაცია ყველაზე სისხლიანი საქმეა. რატომ, ვის ჯიბეში მიემართებოდა ასობით მილიონი და ვინ არიან ქართული ავიამაფიის კორიფეები?

გაგრძელება B6 გვერდზე

ედუარდ შევარდნაძე, ალექსანდრე სილაგაძე, ზურაბ ჭანკოტაძე.

ქრემლი პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს იცავს

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული კარგად ინფორმირებული წყაროები იუწყებიან, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი სულ მალე შეასრულებს მიხეილ სააკაშვილისათვის მიცემულ დაპირებას სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე. რაც შეეხება ვიზების საბოლოო გაუქმებას, იგივე წყაროების ინფორმაციით, ეს ნაბიჯი ჯერ არ შედის რუსეთის გეგმებში.

რუსეთის ფედერაციათა საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილ მარგელოვი სავიზო რეჟიმის გამარტივებისათვის მოსკოვის მზადყოფნას საქართველოს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ რუსეთისადმი მიცემული დაპირებების აკურატულად შესრულებით ხსნის. იგი აკონკრეტებს, რომ ლაპარაკია ორი ქვეყნის სპეცსამსახურების, სამართალდამცავი ორგანოების, სასაზღვრო დეპარტამენტების წარმატებით თანამშრომლობაზე.

გაგრძელება A2 გვერდზე

ამერიკული სამხედრო დახმარება ახალი ფორმით გაგრძელდება

ზურაბ ჟვანიას ვიზიტი

ნიკა იმნაიშვილი
ვაშინგტონიდან სპეციალურად "24 საათისთვის"

ვაშინგტონში ყოფნის ბოლო დღეს ზურაბ ჟვანია პენტაგონში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილეს და პრეზიდენტ ბუშის (ისევე, როგორც უფროსი ბუშის) გუნდის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ და გავლენიან წევრს, პოლ ვულფოვიცს.

საუბრის თემა, რა თქმა უნდა, სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავება იყო, თუმცა, ქართველ სტუმართან შეხვედრისას მან, რასაკვირველია, გაიხსენა ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც ჯერ კიდევ რეიგანის ეპოქიდან იცნობდა და მოიგონა ცნობილი გამონათქვამიც, რომ "ერთმა ქართველმა გაჰყო ევროპა, ხოლო მეორემ გააერთიანა".

ვულფოვიცის თქმით, მას გული სტკივა, რომ შევარდნაძემ, რომელმაც ესოდენ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ცივი ომის დასრულებაში, ასე (მას არ დაუკონკრეტებია, როგორ "ასე", მაგრამ უეჭველად იგულისხმა "ძალიან ცუდად") დაასრულა თავისი მოღვაწეობა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ნატო-ს ახალი საზღვრის უსაფრთხოება

დოქტორი ერიკ მილერი
საჯარო პოლიტიკის ეროვნული ინსტიტუტის ანალიტიკოსი

29 მარტს ნატო-ს შვიდი ახალი წევრი – ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა დაემატა. შესაბამისად, ნატო-ს მფარველობა მათზეც გავრცელდება. გაწევრიანებიდან ცოტა ხანში, 100 ბელგიელ, დანიელ და ნორვეგიელ სამხედროსთან ერთად ბელგიის კუთვნილი ოთხი F-16 ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსის ჩრდილო-დასავლეთით განლაგდა და ბალტიისპირა სახელმწიფოების საჰაერო სივრცის გაკონტროლება დაიწყო. ადრე ამგვარი რამ შესაძლოა ომის დაწყების წინაპირობა გამხდარიყო, მაგრამ დღეს ეს ახალი, მშვიდობიანი და გაფართოებული ევროპის სიმბოლოა.

გაგრძელება A5 გვერდზე

პოლიტიკა

ვერშემდგარი დეპუტატები "განაჩენის" მოლოდინში

პარლამენტის პირველმა სხდომებმა ლამის სრული ანშლაგით ჩაიარა. თუმცა, დასწრების არნახულად მაღალი მაჩვენებლის ფონზე, მაინც თვალშისაცემი იყო ცარიელი სავარძლები, რომლებშიც წინა მოწვევის პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციის წარმომადგენლები ისხდნენ. აფხაზეთიდან არჩეული 11 პარლამენტარის სადეპუტატო უფლებამოსილების საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გაირკვევა, როდესაც იურიდიული და საპროცედურო კომიტეტების ერთობლივი დასკვნა დაიწერება. A2

ეკონომიკა

კიდევ ერთი თავდასხმა საგადასახადო კანონმდებლობაზე

საბაჟო პროცედურების გავლისას იმპორტიორს, დაახლოებით, 21 ჩინოვნიკთან უხდება ურთიერთობა და თითოეულ მათგანს, არაოფიციალურად, 15-20 ლარამდე უხდის, რაც საბოლოო ჯამში 400-450 ლარს აღწევს. A4

უცხოეთი

ფალუჯაში ქუჩის ბრძოლები დაიწყო

"საოკუპაციო ძალების აქტიური სამხედრო მოქმედებები ოკუპირებული ქვეყნის მოსახლეობის წინააღმდეგ ვითარების კიდევ უფრო მეტად გართულებას უწყობს ხელს," - განაცხადა გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა. საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოები და დამკვირვებლები იუწყებიან, რომ კოფი ანანის ეს განცხადება აშკარად მოულოდნელი იყო შეერთებული შტატებისათვის A5

სამართალი

ყოფილი დეპუტატი ჩვენებას იძლევა

გუშინ, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში საკუთარი სურვილით გამოცხადდა წინა მოწვევის პარლამენტის წევრი, ფრაქცია "თავისუფლების" წარმომადგენელი თამაზ გელაშვილი. ორსაათიან საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის შემდეგ, ყოფილმა დეპუტატმა პროკურატურა თავისუფალმა დატოვა. A7

ამინდი

თბილისი	20
ქუთაისი	17
ბათუმი	14
სოხუმი	13
ფოთი	15
თელავი	19
ზუგდიდი	16
გორი	16
ახმეტა	19
ჭიათურა	15
გაგრა	12
სამტრედია	16

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.9900
ევრო	2.3525
გირვანქა სტერლ.	3.5195
რუბლი	0.0689

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 გამოხმაურება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ექსკლუზივი B7 კვირის TV-პროგრამა B8 სხვადასხვა

ამერიკული სამხედრო დახმარება ახალი ფორმით გაგრძელდება

პირველი გვერდიდან

ამ თემაზე ზურაბ ჟვანიას და პოლ ვულფოვიცს დიდხანს არ უსაუბრიათ, რაკი ორივეს ესმოდა, რომ უკან მოუბრუნებელ წარსულზე მეტად, მათი შეხვედრა მომავალს უნდა მიძღვნოდა.

ორივე მათგანი ხომ მოქმედი პოლიტიკოსია და საკვანძო როლსაც ასრულებენ თავიანთი ქვეყნების ხელისუფლებებში.

ვულფოვიცი და, მთლიანად, პენტაგონი რომ თანამშრომლობისათვის მზად არის, განსაკუთრებული ყურადღებითაც ჩანდა, რაც ამერიკელებმა ზურაბ ჟვანიას მიმართ გამოამჟღავნეს - საპატიო ყარაულით შესასვლელთან და ვულფოვიცის მიერ ქართველი სტუმრის მიცილებით მანქანამდე. პრემიერ-მინისტრი საუბრობდა იმ საკითხებზე, რაც ამერიკულ მხარეს (შეხვედრას რამდენიმე გენერალიც ესწრებოდა) ყველაზე მეტად აინტერესებს: თავდაცვის სამინისტროში დაიწყო რეალური რეფორმა და სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ეს უწყება გაიწმინდა საბჭოთა არმიის სრულიად უმაქნისი და არაბრძოლისუნარიანი (როგორც აფხაზეთის ომმა უეჭველად დაადასტურა - ნ.ი) ნარჩენებისაგან; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამჟამად უკვე სამოქალაქო ინსტიტუტია (იმ აზრით, რომ დემოკრატიული სისტემის ნაწილად იქცა), რასაც განსაზღვრავს არა მხოლოდ მინისტრის სტატუსი (იგი პირველი სამოქალაქო პირია), არამედ რეფორმათა შინაარსი; თუ რამდენიმე წლის წინ ქართველები შურით აკვირდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში მყოფ რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, მიუღწევლად მიაჩნდათ მათი მომზადებისა და ეკიპირების დონე, ამჟამად, ამერიკელი თუ სხვა მეგობრების მიერ მომზადებული ბატალიონები, მათ არათუ ტოლს არ უდებენ, არამედ აღემატებიან კიდეც.

ბუნებრივია, ამაში უნიკალური როლი შეასრულა "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამამ. პრემიერის განცხადებით, საქართველო მზად არის, ერთ ბატალიონამდე (500 ჯარისკაცი და ოფიცერი) გაზარდოს თავისი კონტინგენტი ერაყში.

პოლ ვულფოვიცის თქმით, ამის შემდეგ, პროცენტული ოდენობით, ქართული მხარის მონაწილეობა ოპერაციაში ბევრ იმ ქვეყანას გადააჭარბებს, რომლებსაც ამერიკასთან განსაკუთრებული ურთიერთობები აქვს. მართლაც, ჩვენს ქვეყანას სულ რამდენიმე ბრძოლისუნარიანი და რეალურად მომზადებული ბატალიონი ჰყავს, რომელთაგან ერთს აგზავნის ამერიკის მხარდასაჭერად.

ანუ, ამერიკელები ამ მხარდაჭერას მიესალმებიან. მით უმეტეს, რომ ისინი ხედავენ, თუ რამდენად სეროზულად ეკიდება ქართული მხარე ამ საკითხს. ზურაბ ჟვანიას თქმით, თბილისი არც კი განიხილავს იმ ვარიანტს, რომ ქართველ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ხელფასი სხვა სახელმწიფომ (ამ შემთხვევაში ამერიკამ) გადაუხადოს.

"ეს ქართული სახელმწიფოს და ქართული საზოგადოების პასუხისმგებლობაა." მაგრამ პოლ ვულფოვიცმა აღნიშნა, რომ ქართული კონტინგენტი მიიღებს ეკიპირებას იმავე დონეზე და ისეთივე მოცულობით, როგორც მას იღებს ამერიკელი ჯარისკაცი.

ამ ფონზე სრულიად არ არის შემთხვევითი და მოულოდნელი, რომ პენტაგონში არ გამორიცხავენ საქართველოსთან სამხედო თანამშრომლობის ახალი ფორმით გაგრძელების საკითხს მას შემდეგ, რაც "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა საბოლოოდ ამოიწურება და თავის ფუნქციას შეასრულებს.

ეს კი ივნისში მოხდება. მანამდე პრეზიდენტი სააკაშვილი ხელს მოაწერს ბრძანებულებას საქართველოს კონტინგენტის ერაყის ოპერაციაში მონაწილეობის შესახებ. ხოლო რა ფორმებს მიიღებს სამხედრო თანამშრომლობა ამერიკასთან, - უახლოეს მომავალში წარმოჩინდება, როდესაც თბილისს მოლაპარაკების განსახლებლად პენტაგონის ექსპერტთა ჯგუფი ეწვევა.

ამავდროულად, ამერიკა განაგრძობს მხარდაჭერას სამხედრო შინაარსის მქონე პოლიტიკურ საკითხებში. მათ შორის იგულისხმება რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოდან. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მიუხედავად რუსეთთან ურთიერთობის დათბობისა, რაც ყოველმხრივ მისასალმებელია, პრეზიდენტსა და მინისტრთა კაბინეტს ამ საკითხში სრულიად ერთმნიშვნელოვანი პოზიცია აქვთ, რაც ნატო-ს მომავალ გაფართოებულ სამიტზე(სტამბულში) უნდა დადასტურდეს. ვაშინგტონის პოზიცია აქ კვლავ გადამწყვეტი თუ არა, ბევრის განმსაზღვრელი იქნება.

ევროპასთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესს პარლამენტიდანაც დააჩქარებენ

ირაკლი ლეგაძიანის ფოტო

ახალი კომიტეტის პირველი სამუშაო სხდომა.

დღევანდელი საკანონმდებლო ორგანო პირველი მოწვევის პარლამენტია, რომელშიც ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი შეიქმნა. საპარლამენტო კომიტეტების შემცირების ფონზე, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიმართ გამონაკლისი გაკეთდა და მის ჩამოყალიბებას ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, ქვეყნის ორიენტაციიდან მომდინარეობს. ანალოგიური სტრუქტურები აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ყველა ქვეყნის პარლამენტებში არსებობდა და მათ გარკვეული როლი შეასრულეს ნატო-სა და ევროკავშირში ამ სახელმწიფოების შესვლის პროცესში.

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ და მისმა მოადგილემ ნიკოლოზ ჩუბინიშვილმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს, რომელზეც, ძირითადად, კომიტეტის დანიშნულებასა და ფუნქციებზე იყო საუბარი.

კომიტეტის ხელმძღვანელობა კონკრეტულ გეგმებზე ჯერ ვერ საუბრობს და მხოლოდ ზოგადი ამოცანების ჩამოთვლით შემოიფარგლება.

"ვეცდებით, რომ პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი ევროპულ კანონმდებლობას შეესაბამებოდეს და მასთან სრულ ჰარმონიაში იყოს", - აცხადებს დავით ბაქრაძე. მისივე თქმით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმასაც, რომ ევროპასთან საქართველოს ინტეგრაციის იდეას მთელი საზოგადოების, მათ შორის, ოპოზიციური ძალების მხრიდან, სრული მხარდაჭერა ჰქონდეს.

რაც შეეხება თავად ინტეგრაციის პროცესს, კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, იგი ორ ეტაპად გაიყოფა. პირველ ეტაპზე საქართველომ ნატო-სა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ოფიციალურად უნდა მიიღოს.

"თუ უახლოეს ოთხ წელიწადში ეს ვერ შევძელით, მერე ამის გაკეთება შეუძლებელი იქნება, რადგან მალე ახალი ევროპის ფორმირება დასრულდება და შემდგომი 50-60 წლის განმავლობაში არსებით ცვლილებები აღარ მოხდება", - აცხადებს დავით ბაქრაძე. მეორე ეტაპი კი, რომელიც ევროსტრუქტურებში საქართველოს საბოლოო გაწევრიანებას გულისხმობს, კომიტეტის თავმჯდომარის აზრით, სავარაუდოდ, ორ-ოთხ წელიწადს გასტანს. თუმცა, დავით ბაქრაძე, გამონაკლის შემთხვევებზეც საუბრობს და ასახელებს თურქეთის მაგალითს, რომელიც, კანდიდატის სტატუსის ფლობის მიუხედავად, უკვე მრავალი წელია, ევროკავშირში შესვლას ვერ ახერხებს.

გიორგი ასანიშვილი

ახალი სემეკ-ი ამუშავდა

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, გუშინ საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) პირველი სხდომა ჩაატარა. კომისიას 17 მნიშვნელოვანი საკითხი ჰქონდა დაგროვილი. სხდომა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა: კომისიამ ჯერ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია მათივე მოთხოვნის საფუძველზე გაუუქმა ორ მცირე ლიცენზიანტ კომპანიას – შპს "ვიჩნაშსა" და შპს "საქართველოს რკინიგზას", შემდეგ კი ლიცენზია 1 ივლისამდე გაუგრძელა "თბილგაზს" და პირობა ჩამოართვა, რომ ივლისში კომპანიის საქმიანობის შესახებ ვრცელ და საფუძვლიან ანგარიშს მოისმენს. შეგახსენებთ, რომ კომისიას "თბილგაზის" მიმართ, ტექნიკური ნორმების დაცვის მხრივ, სერიოზული პრეტენზიები ჰქონდა. **"ახლა თუ "თბილგაზს" ლიცენზიას გავუუქმებთ, მთელი თბილისი გაზის გარეშე დარჩება,"** – ამ მოტივით სემეკ-ის თავმჯდომარემ გია თავაძემ თბილისის გაზგამანაწილებელ კომპანიას ქსელის მოსაწესრიგებლად კიდევ ორი თვის ვადა მისცა. ამ ვადაში კომისიის ახალი შემადგენლობა შესაბამის კანონპროექტსაც დახვწს და, თუ "თბილგაზში" ვითარება არ გამოსწორდება, კომპანიის მართვა სემეკ-ს, მის მიერ დანიშნულ ადმინისტრაციას გადაეცემა.

გუშინვე, სემეკ-მა გაზის წარმოებისა და განაწილების ლიცენზია გაუგრძელა შპს "ნატვრის ხეს", რომელიც პატარძეულში 300 აბონენტს ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანია "ნინოწმინდისაგან" მიღებული გაზით ამარაგებს.

ახალი ლიცენზია მიიღო "საქცემენტმა", რომელიც ამიერიდან "იტერას" ყოფილ მომხმარებლებს - "რუსთავცემენტსა" და "კასპიცემენტს" მოამარაგებს. კონკურენტის გამოჩენას მუქარით შეხვდა ძველი მომმარაგებელი "იტერა". "იტერა ჯორჯიას" გენერალური დირექტორის მოადგილე ირაკლი ნიკოლაიშვილი "საქცემენტს" "იტერას" ძველი ვალების შეხსენებას დაჰპირდა.

გუშინ სემეკ-მა სადისტრიბუციო ბაზრის მსხვილი მოთამაშეების თხოვნისთვისაც მოიცალა და ნაწილობრივ დააკმაყოფილა - "თელასი", "საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" და "კახეთის ენერგოკომპანია" დიფერენცირებული ტარიფის ამოქმედების ვადის გაგრძელებას 2005 წლის 1 იანვრამდე მოითხოვდნენ, თუმცა სემეკ-მა ეს ვადა ექვსი თვით გაუგრძელა. ამ ვადაში კომპანიებმა კომპიუტერული ბაზა უნდა მოამზადონ, რათა შემდგომ დიფერენცირებული ტარიფის გამოთვლა მოახერხონ. კომისიის თავმჯდომარე არც დიფერენცირებული ტარიფის საფეხურების შეცვლას გამორიცხავს: **"ტარიფის პირველი საფეხური - 70 კილოვატსაათი, სავარაუდოდ, 100-120 კილოვატსაათამდე გაიზრდება, ხოლო ელექტროენერგიის მსხვილ მომხმარებლებად 250-300 კილოვატსაათის მომხმარებლები ჩაითვლებიან,"** – დააზუსტა მან. დღესვე თავაძემ გააფრთხილა ელექტროენერგეტიკის სექტორში მომუშავე ორგანიზაციები, რომ მკაცრი და დაუნდობელი იქნება მათ მიმართ, ვისაც დენის აღრიცხვის საკითხი მოწესრიგებული არა აქვს. **"ჩემს ხელთ არსებულ ყველა მექანიზმს გამოვიყენებ და იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სადაც მრიცხველი არ იქნება, სამსახურიდან გათავისუფლდებიან. არავის აქვს ასეულობით ათასი კილოვატსაათის მოპარვის უფლება,"** - განაცხადა თავაძემ და დასძინა, რომ უახლოეს ხანებში სემეკი ენერგეტიკის სექტორში ლიცენზირების წესისა და კონტროლის გამკაცრებას გეგმავს.

ნიკა მარიამიძე

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება
სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე
გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 5 მაისს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 17 ნოემბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 5 მაისს 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი

ვერშემდგარი დეპუტატები "განაჩენის" მოლოდინში

პარლამენტის პირველმა სხდომებმა ლამის სრული ანშლაგით ჩაიარა. თუმცა, დასწრების არნახულად მაღალი მაჩვენებლის ფონზე, მაინც თვალშისაცემი იყო ცარიელი სავარძლები, რომლებშიც წინა მოწვევის პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციის წარმომადგენლები ისხდნენ. აფხაზეთიდან არჩეული 11 პარლამენტარის სადეპუტატო უფლებამოსილების საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გაირკვევა, როდესაც იურიდიული და საპროცედურო კომიტეტების ერთობლივი დასკვნა დაიწერება. აღნიშნული კომიტეტების სხდომა კი დღეს არის დაგეგმილი.

როდესაც აფხაზეთის დეპუტაციაზეა ლაპარაკი, პოლიტიკური კონიუნქტურის გარდა, გასათვალისწინებელია, აგრეთვე, სამართლებრივი ფაქტორი: საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტარი ირჩევა 4 წლის ვადით, აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატები კი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, უკვე 10 წელზე მეტია, საქმიანობენ, რითიც ქვეყნის ძირითადი კანონის მოთხოვნა ირღვევა. მაგრამ კონსტიტუციაში არის მუხლიც, რომლის მიხედვით, პარლამენტი 235 დეპუტატისგან უნდა შედგებოდეს. ამდენად, თუ აფხაზეთის დეპუტაციის 11 წარმომადგენლის უფლებამოსილება არ იქნება ცნობილი, კონსტიტუცია ამ შემთხვევაშიც დაირღვევა.

სამართლებრივ კოლიზიასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, ანგარიშგასაწევია პრობლემის პოლიტიკური მხარეც. ასეთი სიტუაცია, ცხადია, ახალი არ არის და იგი წინა მოწვევის პარლამენტების ფუნქციონირების დროსაც იჩენდა ხოლმე თავს. მაშინ საკანონმდებლო ორგანოში იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, რომ აფხაზეთის დეპუტაცია გამოყენებული ყოფილიყო იმ რეგიონთან სიმბოლური კავშირის შესანარჩუნებლად, სადაც ეს დეპუტატები აირჩიეს.

დღევანდელი ხელისუფლებისთვის ეს "დოგმა" უკვე მიუღებელია და სურს, ამ რთულ საკითხს ახალი "სტანდარტები" მიუსადაგოს. თუ რაში გამოიხატება ეს სიახლე, ჯერჯერობით უცნობია და წესით დღეს უნდა გაირკვეს.

"ამ სხდომაზე მოვისმენთ იურისტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების, დეპუტატების აზრს და საკომიტეტო დასკვნას მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოვაყალიბებთ," - აცხადებს იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი.

სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით თავად აფხაზეთის დეპუტაციის შიგნით აზრთა სხვადასხვაობაა. ნაწილი მომხრეა, რომ სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდეს, რათა **"ცარიელი სავარძლები პროტესტის გამოხატულებად იქნეს აღქმული",** სხვები კი ასეთ პოზიციას ეწინააღმდეგებიან და აცხადებენ, რომ **"1992 წლის არჩევნებიდან არსებული სამართლებრივი ჯაჭვის გაწყვეტა დაუშვებელია".** ეს უკანასკნელნი საქართველოს პარლამენტში თავიანთ ყოფნას იმითაც ამართლებენ, რომ აფხაზეთის დეპუტაციის უფლებამოსილების ცნობა, შესაძლებელია, აფხაზ სეპარატისტებთან მოლაპარაკებების დროს, საქართველოს ხელისუფლების მიერ კოზირად იქნეს გამოყენებული.

თავად ლევან ბეჟაშვილი საკუთარი პოზიციის გამოხატვისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს, რადგან, მისი თქმით, ეს შეიძლება კომიტეტის წევრებზე აზრის მოხვევად იქნეს შეფასებული. ამასთან, კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ საკომიტეტო მოსმენამდე დამატებითი კონსულტაციები გაიმართება პარლამენტის თავმჯდომარესთან, მთავრობის წევრებთან და პრეზიდენტის წარმომადგენლებთან.

გარდა აფხაზეთის დეპუტაციისა, პარლამენტმა თავის პირველ სხდომაზე არც ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ბონდო შალიკიანის სადეპუტატო უფლებამოსილება ცნო. მაშინ ამის მიზეზად ის გარემოება დასახელდა, რომ ნარკოლოგიური შემოწმება მას გავლილი არ ჰქონდა. როგორც ბეჟაშვილი აცხადებს, ამ პროცედურის გავლის მოთხოვნით, პარლამენტისთვის და პენიტენციალური სისტემის ხელმძღვანელობისთვის შალიკიანს არც შემდგომში მიუმართავს.

თუმცა, მაშინაც კი, თუ ტყიბულის მაჟორიტარი ნარკოლოგიურ შემოწმებას გაივლის და "სუფთა" აღმოჩნდება, საეჭვოა, პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, შალიკიანი უმალ გაათავისუფლონ: როგორც ლევან ბეჟაშვილი აცხადებს, ამ შემთხვევაში იმ დარღვევების შესწავლა დაიწყება, რომელსაც 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების დროს ტყიბულის საარჩევნო ოლქში ჰქონდა ადგილი.

გიორგი ასანიშვილი

აბაშიძეს ჰუმანიტარულ ტვირთშიც ტროტილი ეჩვენება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე თბილისს რეგიონის ტერიტორიაზე ასაფეთქებელი ნივთიერებების – ტროტილის შეტანის მცდელობებში ადანაშაულებს. როგორც აბაშიძემ ოთხშაბათ საღამოს აჭარის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, ის ფაქტი, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით შერვაშიძე 27 აპრილს ჩოლოქის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე გააჩერეს და ავტონომიაში არ შეუშვეს, აჭარის ხელისუფლების ხელთ არსებულ ინფორმაციებს უკავშირდება, რომლითაც თბილისიდან აჭარაში, ჰუმანიტარულ დახმარებასთან ერთად, ტროტილის შეტანის გეგმაც არსებობს. აბაშიძის თქმით, "არავინ ცდილობდა, მინისტრის შეურაცხყოფას; არსებობდა სარწმუნო ინფორმაცია, რომ უნდა შემოსულიყო ტვირთი, სადაც ტროტილი იქნებოდა დამალული", - განაცხადა მან.

სოფლის მეურნეობის მინისტრს აჭარის მაღალმთიანი რაიონებისათვის განკუთვნილი სასუქი მიჰქონდა. ასლან აბაშიძე არ გამორიცხავს, რომ დავით შერვაშიძემ არ იცოდა, რომ სასუქებით დატვირთულ ავტომანქანებში ტროტილს მალავდნენ, თუმცა "მინისტრს ტვირთის შემოწმება შესთავაზეს, რაზეც მან უარი განაცხადა".

პრაიმ-ნიუსი

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მასალები გაანადგურეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო კონტინგენტის ერთ-ერთ პოლიგონზე გუშინ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ჩაბარებული დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა გაანადგურეს.

როგორც საქართველოში ეუთო-ს მისიის პრესმდივანმა ვიტოლდ კარპმა განაცხადა, ეს ღონისძიება ეუთო-ს მიერ დაფინანსებული პროგრამით ხორციელდება, რაც, სოციალური ხასიათის დახმარების სანაცვლოდ, იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარებას ითვალისწინებს. მისი ინფორმაციით, ეს პროგრამა უკვე რამდენიმე წელია, არსებობს. კერძოდ, იარაღის ჩაბარების სანაცვლოდ, ეუთო არემონტებს გზებს, შენობებს, საკომუნიკაციო სისტემებს, ეხმარება სკოლებს ტექნიკურ უზრუნველყოფაში და ა.შ.

ამასთან, აღნიშნულ საკითხზე უკმაყოფილება გამოთქვა საბჭრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო დავალებათა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა, რომელიც მართებულად არ მიიჩნევს "ოსური მოსახლეობის განიარაღებას კონფლიქტის ზონაში ქართული ძალების შეიარაღების ფონზე". ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ქართულ სოფელ ერედვსა და ქურთაში საქართველოს შსს-ს დამატებითი განყოფილებების გახსნის საკითხის კომენტირებისას ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, რომ "მოსახლეობის მიერ იარაღის ჩაბარება დადებითი ფაქტია, თუმცა გაუგებარია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, რომელიც საომარი მოქმედებების დასრულებიდან 12 წლის შემდეგ კონფლიქტის ზონაში დამატებითი პოლიციური ფორმირებების გადასროლას ახორციელებს".

პრაიმ-ნიუსი

ბარამიძე ამომრჩევლებს არ ივიწყებს

შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი ბარამიძეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მეტად "პარლამენტისკენ მიუწევს გული". თუმცა, როგორც მინისტრმა გუშინ განაცხადა, მან თავისი არჩევანი უკვე გააკეთა და ახლა განზე გადგომა არასწორი იქნება.

"ისე, გულწრფელად თუ ვიტყვი, მირჩევნია ნაკლები მტერი გავიჩინო, ნაკლები სატკივარი მქონდეს და მშვიდად მეძინოს", - განაცხადა ბარამიძემ.

მისივე თქმით, იგი არ აპირებს დიდუბეში თავისი ამომრჩევლების მიტოვებას და განსაკუთრებით ამ რაიონს მაქსიმალურად მიაქცევს ყურადღებას. მინისტრი პრიორიტეტს როგორც კრიმინოგენული სიტუაციის მოგვარებას, ასევე სოციალური პრობლემების გადაჭრას ანიჭებს.

ინტერ-პრესი

"ლეიბორისტების" გამაფრთხილებელი აქცია

ირაკლი ლეგაძიანის ფოტო

"ლეიბორისტები" სახალხო მოძრაობით იმუქრებიან.

საქართველოს პარლამენტის შენობასთან "ლეიბორისტული პარტიის" საპროტესტო აქცია გაიმართა. მისმა მონაწილეებმა საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომა და 28 მარტს არჩეული პარლამენტის დათხოვნა მოითხოვეს. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი.

ინტერ-პრესი

ნინო ბურჯანაძე რუსეთის სათათბიროს მიმართვის დრამატიზებას არ აპირებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე რუსეთის სათათბიროს მიმართვის დრამატიზებას არ აპირებს და აცხადებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის სათათბირო საკუთარ განცხადებებში საქართველოს ხელისუფლების მიმართ ტონალობას ცვლის და საქართველოს "მეგობრულ სახელმწიფოს" უწოდებს.

ნინო ბურჯანაძე განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ რუსეთმა საქართველოს აჭარის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარებისთვის მოწოდება გააკეთა. "ჩვენც ვამბობთ, რომ აჭარის პრობლემა აუცილებლად მშვიდობიანი გზებით უნდა მოგვარდეს," - აღნიშნა ბურჯანაძემ.

მას იმედი აქვს, რომ რეგიონის ხელისუფლება განიარაღებასთან და საქართველოს ერთიან სივრცეში აჭარის დაბრუნებასთან დაკავშირებით, ხელისუფლების მოთხოვნების საპასუხოდ აუცილებლად რეალურ ნაბიჯებს გადადგამს.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებას სიტუაციის ხელოვნურად გამწვავება არანაირად არ სურს. ამასთან, ბურჯანაძე ცენტრსა და აჭარის რეგიონის ხელისუფლებას შორის კონფლიქტში რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების ჩარევას გამორიცხავს. იგი მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეში არ ჩაერევა, რადგან პრეზიდენტმა პუტინმა ცალსახად განაცხადა, რომ აჭარის პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს საშინაო საქმეა.

"რუსეთმა იცის, რომ საქართველოს საშინაო საქმეებში ნებისმიერი ჩარევა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ძალიან ცუდად იქნება აღქმული," - აღნიშნა ბურჯანაძემ.

ინტერ-პრესი

"სააკაშვილს აჭარაში ვარდების რევოლუცია არ გამოუვა"

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე ცენტრალურ ხელისუფლებას ბათუმსა და თბილისს შორის პრობლემების მოგვარებისთვის მოლაპარაკებებს სთავაზობს.

"სააკაშვილი აჭარაში გეგმავს ვარდების რევოლუციას, თუმცა მას არაფერი გამოუვა. ცენტრალურ ხელისუფლებას მდგომარეობიდან გამოსვლისთვის ისღა დარჩენია, მოინვიოს თავისი უცხოელი მეგობრები და დასხდნენ სალაპარაკოდ", - განაცხადა ასლან აბაშიძემ

აჭარის მეთაური სოფლის მეურნეობის მინისტრის რეგიონში არშეშვების მიზეზსაც ასახელებს: "ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ იმ ავტომანქანებში, რომლითაც მინერალური სასუქი მოჰქონდათ, იყო ტროტილიც. არა მგონია, რომ ეს მინისტრმა იცოდა. მაგრამ ჩვენ მას შევთავაზეთ, შემოწმებისთვის გაეჩერებინათ ჩოლოქზე, რაზეც მან უარი განაცხადა", - აღნიშნავს აჭარის მეთაური.

მედია-ნიუსი

ორი სიტყვით

თბილისი. პარლამენტარი კობა ხაბაზი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისგან აჭარაში უშიშროების საბჭოების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით სპეციალური დადგენილების პროექტის შემუშავებას და მის პლენარულ სხდომაზე გატანას ითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ბათუმი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან განდგომილ, ბათუმის მესამე სამმართველოს აჭარის პარლამენტის წევრები ეწვივნენ. პოლიტიკოსები ჯარისკაცებს "ცენტრის მიერ წარმოებული ანტიაჭარული კამპანიისა" და ამ ვითარებაში მათი პოზიციის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ ესაუბრნენ და განუცხადეს, რომ "ჯარისკაცებმა არ უნდა დაკარგონ საღი შეფასების უნარი". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

გალი. ჭუბურხინჯის ტრადიციულ შეხვედრაზე აფხაზმა სეპარატისტებმა ამ შეხვედრებში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა მონაწილეობა გააპროტესტეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე აცხადებს, რომ აჭარის ავტონომიის მეთაურ ასლან აბაშიძესთან დიალოგის საგანი შეიძლება იყოს ერთადერთი - ავტონომიის მეთაური პოსტს რა ფორმით დატოვებს. სხვა შემთხვევაში, დარეგულირებაზე საუბარი გამორიცხულია. **პრაიმ-ნიუსი**

ოფიციოზი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №434

2004 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

კ. სიხარულიძის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს კარლო სიხარულიძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №436

2004 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

მ. ანთაძის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს მერაბ ანთაძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №438

2004 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

მ. ქორჩილავას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს მერაბ ქორჩილავა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილედ.

ზურაბ ჟვანია

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ხელმოწერები აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით

პირველი გვერდიდან

როგორც მოგეხსენებათ, ბოლო დღეებში აჭარის მაღალმთიან რაიონებში მოსახლეობა საპროტესტო აქციებს მართავს. პროტესტის საბაბი პრეზიდენტის მიერ მოსახლეობისთვის საჩუქრად გაგზავნილი სასუქის საზღვარზე დაკავება გახდა. გუშინ შუახევის რაიონში 500 კაცმა, პროტესტის ნიშნად, ორი საათის განმავლობაში ახალციხე-ბათუმის საავტომობილო მაგისტრალი გადაკეტა. ამას წინ უძღოდა 28 აპრილის საპროტესტო აქციები ქედასა და ხულოში.

"ჩვენი აჭარის" ლიდერები აცხადებენ, რომ მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის პროტესტი მხოლოდ და მხოლოდ თბილისიდან გამოგზავნილ სასუქს როდი უკავშირდება. **"მასმედიის ზოგიერთმა საშუალებამ ყურადღება სწორედ ამ ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან მოთხოვნაზე გაამახვილა. მართალია, აჭარელ გლეხებს სასუქი ძალიან სჭირდებათ, მაგრამ მათ შესანიშნავად ესმით პრობლემის მთავარი არსი. ამიტომაც, გუშინდელი და გუშინწინდელი აქციების მონაწილეთა მთავარი მოთხოვნები პოლიტიკური ხასიათისა იყო: "ძირს აბაშიძის ავტორიტარული რეჟიმი", "მოვითხოვთ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების დაშლას", "დროა, ასლან აბაშიძე გადადგეს,"** – ამბობს დიასამიძე. მომიტინგეები ასევე მოითხოვდნენ მოსახლეობიდან იარაღის ამოღებას, ჩოლოქის საკონტროლო პუნქტსა და გოდერძის უღელტეხილზე ბლოკპოსტების გაუქმებას.

დიასამიძის ინფორმაციით, მაღალმთიანი რაიონების საპროტესტო ღონისძიება შუახევით დასრულდება. შემდეგ ეტაპზე, როგორც უკვე მოგახსენეთ, მოსახლეობაში დაიწყება აქტიური დიალოგი ასლან აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შესაგროვებლად. ერთ-ერთი მომავალი ღონისძიება ე. წ. დიასახლისების დიდი აქცია, უშუალოდ ზაფხულის სეზონს უკავშირდება.

ხულოს აქციის მონაწილენი ბათუმში აპირებენ გადანაცვლებას.

"აჭარაში გართულებული სიტუაციის გამო, მოსალოდნელია ტურისტული სეზონის ჩავარდნა. ეს მოსახლეობას საკმაო მატერიალურ ზარალს მიაყენებს, ვინაიდან მათ სეზონური შემოსავლის წყაროც მოესპობათ. აქედან გამომდინარე, დიასახლისები თავიანთ პროტესტს გამოხატავენ," - განუცხადა დიასამიძემ "24 საათს".

მაშინ, როცა "ჩვენი აჭარა" ასლან აბაშიძის წინააღმდეგ მიმართული პროგრამებისა და ღონისძიებების გეგმას ადგენს, ასლან აბაშიძე, რომელიც სატელევიზიო ეთერში საკმაოდ ნირწამხდარი გამოიყურება, თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებას დიალოგისკენ მოუწოდებს. აბაშიძის ოპოზიცია კი აცხადებს,რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გამართვამდე აბაშიძე ვალდებულია, რეგიონში მოქმედ ოპოზიციას შეხვდეს და, საერთოდ, აღიაროს, რომ აჭარაში ადგილობრივი მოსახლეობის სახით ოპოზიცია ჰყავს.

გზა ორხევიდან ნორიომდე ერთი დირექტორის სკამად დაჯდა

"მიყვარ საქართველი" – ეს ფონიჭალის საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლის ზოხრა გახრამანოვას მიერ სპეციალურად "24 საათის" ბლოკნოტში ჩაწერილი ფრაზაა. რვა წლის ზოხრა ვერც ქართული ასოების ზუსტი მოყვანილობით დაიკვეხნის, თუმცა მაინც ამაყობს, რომ ქართულ ენას სწავლობს. ეს მიწა მზრდის და აქ დავიბადეო, - ლექსად წარმოთქვა სტუმრების გასაგონად. ეს გუშინ, როცა განათლების მინისტრ ალექსანდრე ლომაიას შიდა ქართლის რამდენიმე სკოლა მასპინძლობდა. შედეგი ამ ვიზიტის ფორმატისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა - გზას ორხევიდან ნორიომდე კიდევ ერთი დირექტორის თანამდებობა შეეწირა.

ოთარ ქირია

ფონიჭალის, ყარაჯალარის და ნორიოს საშუალო სკოლებს გუშინ პირველად ჰქონდათ ბედნიერება, განათლების მინისტრი ცოცხლად ეხილათ. არა, აქ ლომაიაზე არაა საუბარი. მათ, საერთოდ, განათლების მინისტრი არ უხილავთ არასდროს. ალბათ, ამის გამო ვნახეთ ის საშინელება, რაც ვნახეთ.

ფონიჭალის საშუალო სკოლაში 600-მდე ბავშვი სწავლობს. განათლების სამინისტროს ბოლო თვეების ძალისხმევით, ამ სკოლაში ქართული სექტორის ორი კლასი ფუნქციონირებს. ავად თუ კარგად, აზერბაიჯანელი ბავშვები ქართულსაც სწავლობენ და ქართულადაც. "ავად"-ს იმიტომ ვამბობთ, რომ, ზოგადად, გუშინდელ ვოიაჟს აშკარად დაჰკრავდა წინასწარ მომზადებულობის ელფერი. ეს ლომაიამაც აღნიშნა და სწორედ ამიტომ, ისეთი საკლასო ოთახების კარებს შეაღებდა ხოლმე, სადაც არავინ ეპატიჟებოდა.

მოსწავლეთა აღზრდის თვალსაზრისით, ფონიჭალელ პედაგოგებს აშკარად ბევრად მეტი უშრომიათ, ვიდრე სხვებს. ლექსების გარდა, ბავშვები საუბარსაც ახერხებენ. ლომაია ამ სკოლით, ძირითადად, უკმაყოფილო არ დარჩენილა; საქმე წინ მიდის. თუმცა, სიტუაცია მაშინ შეიცვალა, როცა გავიგეთ, რომ სკოლის შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია წინა ხელისუფლებას, კანონის სრული დარღვევით, სპრივატიზაციო ნუსხაში შეუტანია. კბილებალესილმა "ბიზნესმენებმაც" არ დააყოვნეს. შენობა თავის ეზოიანად ვინმე ფაზილ ალიევს შეუსყიდია. სალაფხალდოღლი ასკიროვმა, რომელიც ამ სკოლის სტაჟიანი თანამშრომელია, დანანებით აღნიშნა, - სკოლას სტადიონიც არ გააჩნიაო. სამაგიეროდ, რა გვარის არის შენობის ახალი მეპატრონე? ლომაია და შიდა ქართლის გუბერნატორი სოსო მაზმიშვილი ამ საქმეს მიხედავენ. ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადეს და შედეგის გადამოწმებას არც ჩვენ დავზარდებით.

მოგწონს ქართული ენა?

კარგი.

რატომ მოგწონს?

კარგი, მე აქ დავიბადე.

რა მოგწონს ყველაზე მეტად?

პატარა ბიჭის სიზმრები.

რატომ?

პატარა ბიჭის სიზმრები.

რა გქვია?

ბატარა ბიჭის სიზმრები.

გვარი - სახელს და გვარს გეკითხები...

მარიფ გახრამანოვა.

რომელ კლასში ხარ?

ორი (ხელით მაჩვენებს).

ყარაჯალარის საშუალო სკოლის მდგომარეობა საკმაოზე მძიმეა. შესაბამისად, მის დირექტორს მალე, ალბათ, პასუხსაც მოსთხოვენ. ამის აუცილებლობაზე, ლომაიას გარდა, მაზმიშვილიც მიუთითებდა. ამ სკოლას ნამდვილად ეტყობოდა, რომ საგანგებოდ შემზადებულა განათლების მინისტრის დასახვედრად. **"ეს თვალსაჩინოებები გუშინ გააკრეს, სპეციალურად იმისთვის, რომ მე მენახა. დარწმუნებული ვარ, რასაც გვაჩვენებენ, იმის ნახევარი არ ხდება ყოველდღიურ რეალობაში"**, – თქვა ლომაიამ და ამაში მალევე დავრწმუნდით:

შენი სახელი და გვარი დამიწერე თუ შეიძლება.

შენ დაწეროს, კაია.

რა გქვია?

ნათიკ ახმედოვ.

ქართულს სწავლობ?

კი.

მოგწონს?

მოგცონს არ ვიცი.

რუსულად ლაპარაკობ?

კი.

Нравится Грузинский?

Нравится არ ვიცი.

კარგი.

ამ დროს ლომაია მოსწავლეებს ჯარისკაცებსა და 25-ე ბრიგადის ოფიცრებს აცნობდა: **"ეს ის ხალხია, ვინც ფიცი არ დაარღვია, საქართველოს ერთიანობა და კონსტიტუცია არ შელახა. ბევრი თქვენგანი საქართველოს ჯარში წავა და ეს კარგი მაგალითი იქნება თქვენთვის".** ამ ჯარისკაცებს ლომაიამ სახელდახელოდ ორხევის ბაზაზე შეუარა და სპეციალურად სკოლებში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის ჩართო შიდა-ქართლურ ვოიაჟში. მისია კარგი იყო, მაგრამ მოსწავლეებს მაინც აზერბაიჯანული თარჯიმნები უხსნიდნენ 25-ელების საგმირო საქმეებს.

ალბერ ბასილიას ფოტო

განათლების მინისტრი აზერბაიჯანელ ბავშვებთან.

სკოლაში, შეიძლება ითქვას, მოსწავლეებს თავზე აწვიმთ. მთელ შენობაში ორად-ორი ოთახია გარემონტებული და ისიც - ადგილობრივი მაცხოვრებლების ინიციატივით. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სახელმძღვანელოები, ზოგადად, დეფიციტია. **"ეს წინა ხელისუფლების უნიათო პოლიტიკის ბრალია. ამ სკოლებს სპეციფიურად დამუშავებული სახელმძღვანელოები ესაჭიროებათ. მათთვის არავის ეცალა. ამიტომაც, სახელმძღვანელოები, ძირითადად, აზერბაიჯანიდან შემოდიოდა და, რამდენადაც ვხვდები, ისიც - არასაკმარისად. ეს აღარ გაგრძელდება"**, – ამბობს ლომაია.

ისე, ლომაიამ წიგნები ყველა სკოლაში ჩამოარიგა. განსაკუთრებული ძღვენი კი 140 წლის ნორიოს საშუალო სკოლას მიართვა დაბადების დღეზე. ამ სკოლაში სახელმწიფო დროშის აღმართვა, ჰიმნი, შეხვედრა, კონცერტი და ყველაფერი, რაც ქართულ სკოლებში ყოველთვის იცოდნენ, დიდი შემართებით დაიწყეს. გაგრძელება ერთობ უცნაური იყო, ლომაიას ენაზე კი - ფაშისტური.

არ ვიცი, რას გვერჩოდა ამ სკოლის ქართულის მასწავლებელი, მაგრამ სცენაზე მთელი პათეტიკით წარმოთქმული მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სიტყვა ნაკლებად ეხებოდა ენის პრობლემას, როგორც ეს წინდაწინ გვითხრეს და უფრო ჰგავდა ღვარძლთმოფენას ახალი ხელისუფლებისადმი. ვერ გეტყვით, საიდან - ამ ქალბატონს ასეთი ნიჭი, მაგრამ ფაქტია, რომ კულტურულად თავზე დაგვამხო ვარდებიც, რეფორმაც და განვითარებისკენ სწრაფვაც, – **ევროამერიკული მოკასინი ვარდებს მალე გასრისავსო,** – ამას ილიას აბრალებდა; სხვათა შორის, იმ ილიას, რომელიც ქვეყანას ევროპული სახელმწიფოს მოდელისკენ უბიძგებდა, არ დასცალდა, თორემ...

მოკლედ, ეს გაუგებრობა ლომაიას დიდად არც შეუმჩნევია. სკოლას წარმატება უსურვა, საჩუქრად წიგნები გადასცა და თბილისს გამოეშურა. მაგრამ, ვინ გაცალა..?

აი აქ კი ამოტივტივდა ნორიოს რეალობა: თვეების მანძილზე უშუქობა, ენით აუწერელი სიდუხჭირე... და ბოლოს – თურმე ბავშვებს სკოლაში სწავლისთვის თვეში ორ ლარს სძალავენ. მინისტრის მანქანას წინ მშობლები გადაუდგნენ. **"ორ ლარს გვძალავენ; თუ არ გავატანთ, ბავშვს სკოლიდან აგდებენ. არის ისეთები, ვისაც ორი და სამი შვილები ჰყავთ. საიდან ოჯახს ექვსი ლარი? არა - ხელფასი, არა - პენსია, არაფერი და საიდან - ფული? ფულს გვძალავენ მასწავლებლები და, ძირითადად, დამრიგებლები. შეხვედრაზე ამას არავინ გეტყოდათ და არც ჩვენ შემოგვიშვებდნენ მაქ. ამიტომაც დავდექით გზაზე"**, – აცხადებდნენ აღშფოთებული ნორიოელი მშობლები. ლომაიას ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიუღია. ჯერ დირექტორი გამოიძახა, მშობლები პირზე დააყენა, ორივეს აზრი მოისმინა და ახალი ბრძანება მერე გაგვაცნო - ნორიოს საშუალო სკოლის დირექტორის ადგილი ვაკანტურია. სკოლები არავითარ თანხას არ უნდა იღებდნენ მშობლებისგან. ესეც - საჩუქარი 140 წლის სკოლას და უძველესი ტრადიციების თუ ისტორიის მქონე შესანიშნავ სოფელს. ხალხი კმაყოფილი დარჩა, ლომაია – არა. **"საითითაოდ უნდა დავიარო ყველა სკოლა, განსაკუთრებით, რაიონებში"**, – გადაწყვიტა მინისტრმა.

ვეთანხმებით. რახან მეხუთე კლასელი მუჰამედი მთელი შემართებით კითხულობს "ქარი ქრის", და მისთვის არც გალაკტიონია უცხო ხილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვებს სურვილი აქვთ. რაც შეეხება მასწავლებლებს? არც ლომაია უარყოფს, რომ ისინი ძველ დროში არიან დარჩენილები და მხოლოდ სპეც-დღეებისთვის ამზადებენ ხოლმე ბავშვებს. **"ეს, ჩემი აზრით, ყველაზე მტკივნეული საკითხია. გარწმუნებთ, რომ წელს დაიწყება პედაგოგთა ატესტაცია. ეს უმაღლესი დონის პროცესი იქნება და გარანტიას გაძლევთ, მომავალ წელს საქართველოს საუკეთესო პედაგოგები ეყოლება"**, – გვპირდება მინისტრი.

ღმერთმა ქნას...

თბილისს გაზის კრიზისი ელის

მაია ურუშაძე

"თბილგაზის" მეპატრონე შეიცვალა, პრობლემა კი უცვლელი დარჩა – 1 მაისიდან თბილისს ბუნებრივი აირის მიწოდება გაუნახევრდება. ყოველ შემთხვევაში, ასეთი პროგნოზი გააჟღერეს გუშინ "თბილგაზის" მმართველებმა.

როგორც გაირკვა, თბილისის გაზგამანაწილებელ კომპანიას თავისი ექსკლუზიური მომწოდებელი დაუნდობლად სჯის და, დიდი დავალიანების გამო, "თბილგაზის" გაზმომარაგებას 750-დან 370 ათას კუბურ მეტრამდე ამცირებს. დღეს "თბილგაზში" უკვე იციან, რომ ამ ვითარებაში გაზი აღარ ეყოფა ზაჰესს, ავჭალას, გლდანი-ნაძალადევისა და ისანი-სამგორის რაიონების ნაწილს.

ამ დროისათვის "გაზექსპორტის" მიმართ "თბილგაზის" დავალიანება 11 მილიონ დოლარს აღწევს. "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ნოდარ გობიანიძე თავისი პირით აცხადებს, რომ გაზის მომწოდებლისადმი ამხელა დავალიანების დაგროვება **"გადახდის დაბალი მაჩვენებლებით და სხვადასხვა საწარმოსა და ობიექტის მიერ ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობითაა განპირობებული".**

ბუნებრივია, "თბილგაზის" გაჭირვების გამომწვევ მიზეზებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს "გაზპრომის" შვილობილი "გაზექსპორტისთვის", რომელმაც ამ ორიოდე თვის წინ მთელი ბელარუსი გაზის გარეშე დატოვა. "თბილგაზს" "გაზექსპორტმა" ამ ზამთარს ისედაც "შეღავათი გაუწია" და მხოლოდ მოხმარებული გაზის 50 პროცენტის საფასურის გადახდას დასჯერდა. რასაკვირველია, თანხის მეორე ნახევარი არ უპატიებია – ეს ვალი "თბილგაზს" ჯერ კიდევ გასასტუმრებელი აქვს და ზემოთ დასახელებული ციფრიც სწორედ ამ დავალიანების გათვალისწინებით მიიღება. სავარაუდოა, რომ გაზის რუსული გიგანტის შვილობილს "თბილგაზის" მმართველი "ახალი მენეჯმენტისთვის" რევერანსების კეთებით თავის ატკიების სურვილი აღარ გააჩნია. ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ საქმეში ოფიციოზი არ ჩაერევა.

გაზის კრიზისის წინ კი, ტრადიციულად, "ახალმა მენეჯმენტმა" სარემონტო სამუშაოები წამოიწყო. სულ არარაობას, კომპანიის მენეჯერები დაცლილი მილების გარემონტებას მაინც ჩაიწერენ დავთარში. სწორედ ფართომასშტაბიანი სარემონტო სამუშაოების დაწყების საბაბით ხსნიდნენ კომპანიაში გუშინ იმას, რომ დილიდან გაზის გარეშე დარჩა თბილისის 40 ათასი აბონენტი – თბილისის ნუცუბიძის I-II მიკრორაიონი და ვაჟა-ფშაველას მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 კვარტლები. **"გახსოვთ, ალბათ, რა დღეში იყო ამ რაიონების მოსახლეობა. მათ მუდმივად ჰქონდათ გაზმომარაგების პრობლემები,"** – გვითხრა ნოდარ გობიანიძემ.

მანამდე კი, თბილისისათვის გაზმომარაგების შემცირებამდე ერთი დღით ადრე, "თბილგაზის" მენეჯერებმა ("ახალი მენეჯმენტი") ურჩი გადამხდელების დასჯა განიზრახეს. რასაკვირველია, "თბილგაზის" დირექტორატი საზოგადოებისთვის არც იმის შეხსენებას ივიწყებს, რომ დასჯილთა შორის **"პირველ რიგში, ურჩი გადამხდელები მოყვებიან".** გობიანიძე იმ დავალიანებაზე საუბრობს, რაც მოსახლეობას კომპანიის მიმართ დაუგროვდა. მისი თქმით, ეს თანხა 9 მილიონ ლარს აღწევს, საიდანაც, თურმე, 4 მილიონი მარტო ბოლო ორ თვეში დაგროვდა. მათ შორისაა მერიის მიერ დასაფინანსებელი სოციალური დახმარებები, რომლის გადახდაც დედაქალაქის ხელისუფლებას უკვე დაწყებული აქვს და პირობას იძლევა, რომ მომავალ თვეში "გადახდის გრაფიკს დაეწევა".

ისმება კითხვა: რატომ ვერ მოახერხა დღემდე "თბილგაზმა", გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებელი იმ დონემდე მაინც გაეზარდა, რომ იმპორტიორის გასტუმრების საშუალება ყოფილიყო. გობიანიძის განმარტებით, **"ახალი მენეჯმენტი" თავის პირობებს ასრულებს. თანხების ამოღების მაჩვენებლების ამ დონემდე გაზრდა კი მხოლოდ სამ წელიწადში იგეგმება."**

მეექვსე საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობა გახსნილად გამოცხადდა

დღეს თბილისში დიდი სტუმრიანობაა. საქართველოს 10 ქვეყნის 194 სხვადასხვა საწარმოს და ორგანიზაციის წარმომადგენელი ეწვია. ვიზიტის მიზეზი "აბრეშუმის გზის" ქვეყნების მეექვსე ტურისტული გამოფენა-ბაზრობაა, რომელიც პირველ მაისამდე გასტანს.

დიანა ჩაჩუა

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ინიციატივით, საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობა წელსაც საქართველოში ტარდება. გამოფენაზე ქართული ფირმების გვერდით წარმოდგენილნი არიან ფირმები ავსტრიიდან, იტალიიიდან, რუსეთიდან, ირანიდან, აშშ-დან, სომხეთიდან, თურქეთიდან, გერმანიიდან და ბრიტანეთიდან. პირველად მის ისტორიაში, გამოფენაში ირანის 40-კაციანი დელეგაცია მონაწილეობს.

გამოფენაზე 45 საგამოფენო სტენდია წარმოდგენილი - ტუროპერატორების, სასტუმროების, ავიაკომპანიების, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსების, დაცული ტერიტორიების და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოების.

წელს გამოფენაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს რიგი ქვეყნების წარმომადგენლებმა, რასაც პროექტის მენეჯერი ნინო გამრეკელი სავიზო რეჟიმსა და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ დაძაბულობას მიაწერს. ასეთ წარმომადგენლებს შორისაა რუსული კომპანიები, რომლებმაც "ქვეყანაში არსებული ვითარების გამო" უარი თქვეს გამოფენაში მონაწილეობაზე. როგორც კომპანია "ექსპო ჯორჯიას" თავმჯდომარემ კახა გველესიანმა აღნიშნა, **"რუსეთის კომპანიები საქართველოს მიმართ გადაჭარბებულად პოლიტიზირებულები არიან. მათ სურვილი გამოთქვეს, მონაწილეობა მიმავალი წლის გამოფენა-ბაზრობაში მიიღონ."**

წინა წლებისგან განსხვავებით, წლევანდელი გამოფენა-ბაზრობის ყველა მონაწილე ქვეყნის წარმომადგენლებს სერთიფიკატები გადაეცემათ.

თუმცა, წლეულს პროექტის ორგანიზატორები კიდევ ერთ სიახლეს გვთავაზობენ. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ინიციატივით, ტურიზმის დარგში მომუშავე სპეციალისტებისთვის სემინარი ჩატარდება, რომლის დასრულების შემდეგაც თითოეულ მონაწილეს სემინარში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატიც გადაეცემა.

"აბრეშუმის გზის" ქვეყნების მეექვსე ტურისტული გამოფენა-ბაზრობა ხვალ დაიხურება.

გიორგი ბაბაურის დოკი

წელს, სპეციალურად ამ გამოფენისთვის, საქართველოს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენელი ანდრეი შლებკოვი ეწვია. გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვაჟა შუბლაძემ გამოფენის საზეიმო ცერემონიალზე, საქართველოს ტურიზმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, საპატიო სიგელი და მედალი გადასცა იაპონია-საქართველოს მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტს კოჯი ოსავას.

როგორც პროექტის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, წლევანდელმა გამოფენა-ბაზრობამ მათი გეგმები გაამართლა. ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ წლევანდელი გამოფენა ხელს შეუწყობს რეგიონში ტურისტული ბაზრის ფორმირებას და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

აურზაური ჟურნალისტის შეცდომის გამო

თელავის ღვინის მარანი და კომპანია "ჯი-ვი-ესი" "თბილღვინოს" არაჯანსაღ კონკურენციაში ადანაშაულებენ. საქმე ეხება "თბილღვინოს" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელმაც, როგორც კონკურენტი კომპანიები აცხადებენ, მათ ბიზნესს სერიოზული დარტყმა მიაყენა. "თბილღვინოს" გენერალური დირექტორი ზურაბ მარგველაშვილი კი აცხადებს, რომ საგაზეთო სტატიაში ჟურნალისტის მიერ ტექნიკური შეცდომა იქნა დაშვებული, რაც კომპანიის მიერ მიზანმიმართულ ქმედებად არ უნდა იქნეს აღქმული.

საუბარია გაზეთ „კვირის პალიტრაში" (5-11 აპრილი) გამოქვეყნებულ ინტერვიუზე სათაურით "თბილღვინო" უმაღლესი ლიგისკენ მიისწრაფის", რომელშიც კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, რომ **"არც ერთ ქართველ მწარმოებელს არ დაუძველებია მუხის კასრებში მაღალხარისხიანი წითელი, წითელი მშრალი ღვინოები და ამას მხოლოდ "თბილღვინო" აკეთებს".**

გუშინ სასტუმრო "მერიოტ ქორთიარდში" გამართულ პრესკონფერენციაზე „თელავის ღვინის მარნის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა ზურაბ რამაზაშვილმა განაცხადა, რომ მუხის კასრში ღვინის დაძველება ძველი ქართული ტრადიციაა და ამ მეთოდს ბევრი ქართული კომპანია მიმართავს. **"ამგვარი განცხადებები საზიანოა ქართული მეღვინეობისთვის, რადგან მომხმარებელს ეჭვი ეპარება, ნამდვილად დაძველებულია თუ არა „თელავის ღვინის მარნის", „GWS"-ის ან სხვა ფირმების ღვინოები, როგორც ეს არის მითითებული მათ ეტიკეტებზე".** სააქციო საზოგადოება „თელავის ღვინის მარნის" წარმომადგენლებმა „თბილღვინოს" გაზეთში არასწორი ინფორმაციის უარყოფა მოსთხოვეს.

სხვათა შორის, მსგავსი შინაარსის განცხადება "თბილღვინოს" ხელმძღვანელობამ "24 საათის" გუშინდელ ნომერში გააკეთა. განცხადებაში კიდევ ერთხელ იყო ნათქვამი, რომ გაზეთის კორესპონდენტმა კომპანიის მიერ მიწოდებული ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. დედაქალაქის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე კომპანია "თელასს" ეწვია. შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების თანახმად, მუნიციპალიტეტი კომპანიას დახმარებას დაჰპირდა დედაქალაქის უბნების სრულ გამრიცხველიანებაში, თბილისის ნორმალურ ელექტრომომარაგებაში, მომავალი ზამთრის სეზონისთვის მზადებასა და საბიუჯეტო ვალდებულებათა შესრულებაში. გარდა ამისა, თბილისის მთავრობა და კომპანია "თელასი" დედაქალაქის სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის დახმარების პროექტს საერთო ძალისხმევით განახორციელებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. ქუთაისის საავიაციო ქარხნის მუშებმა, თვეების განმავლობაში გაუცემელი ხელფასების მოთხოვნით, საპროტესტო აქცია გამართეს. დავალიანება 120 ათას ლარს შეადგენს. აქციის მონაწილეები საავიაციო ქარხნის პრივატიზაციის საკითხის გადახედვას მოითხოვენ და აცხადებენ, რომ იმერეთის ყოფილმა გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა იგი უკანონოდ გაასხვისა. მათივე თქმით, ამჟამად ქარხანაში აწყვია 70 ათასი დოლარის ღირებულების მზა პროდუქცია, რომლის რეალიზაციის შემთხვევაშიც დავალიანება დაიფარება. ქარხანა ადრე თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნოდა, პრივატიზაციის შედეგად კი, მისი მფლობელი რამდენიმე კერძო პირი გახდა, მათ შორის – რუსეთის მოქალაქე ავთანდილ ხაჭაპურიძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში შეტანილი "ჩაის შესახებ კანონპროექტი" მთავრობას უკან დაუბრუნა და ხელახალი გადამუშავებისთვის ერთთვიანი ვადა მისცა. როგორც კომიტეტის სხდომაზე თავმჯდომარემ გიორგი ხევიაშვილმა აღნიშნა, კანონპროექტი ძალიან ზოგადია და მასში დარგის მიმართ ჩამოყალიბებული სახელმწიფო პოლიტიკა არ ჩანს, ამიტომ საქართველოს პარლამენტი მიიჩნევს, რომ "ჩაის შესახებ კანონპროექტი" უფრო სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი. **ინტერ-პრესი**

კიდევ ერთი თავდასხმა საბაჟო კანონმდებლობაზე

"საბაჟო პროცედურების გავლისას იმპორტიორს 450 ლარის არაკანონიერად გადახდა უწევს"

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი ნავთობპროდუქტების განბაჟების პროცედურის გამარტივებას და საგადასახადო კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანას ითხოვს. კავშირის თავმჯდომარის ვანო მთვრალაშვილის თქმით, არსებული საგადასახადო კანონმდებლობა და ტვირთების განბაჟების სისტემა საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს უქმნის აღნიშნულ სფეროში დაკავებულ ბიზნესმენებს და მეწარმეებს. საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ **"საბაჟოში არსებული კორუფციის ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ დაუხვეწავი საგადასახადო კანონმდებლობაა",** იქ დამსწრე კომპანიების "ლუკოილის", "კანარგოსა" და "კონტინენტალის" წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ.

საერთო აზრი კი ასე ჩამოყალიბდა - თუ აღნიშნული პრობლემები ახლო მომავალში არ გადაწყდება, ამით მნიშვნელოვნად დაზარალდება როგორც უბრალო მომხმარებელი, ასევე ქვეყნის ბიუჯეტი. ვანო მთვრალაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ნავთობპროდუქტების იმპორტზე საგადასახადო, საბანკო და საბაჟო კონტროლი გააძლიერა, ამას არაფრის მომტანი და სრულიად გაუმართლებელი ბარიერებისა და ზღუდეების შექმნა მოჰყვა, რომელთა დაძლევაც პროდუქციის განბაჟებისა და ტრანსპორტირების პროცესს ართულებს. ეს კი იმპორტიორებისათვის გაუთვალისწინებელ, არაოფიციალურ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებულია. კერძოდ, საბაჟო პროცედურების გავლისას იმპორტიორს, დაახლოებით, 21 ჩინოვნიკთან უხდება ურთიერთობა და თითოეულ მათგანს, არაოფიციალურად, 15-20 ლარამდე უხდის, რაც საბოლოო ჯამში 400-450 ლარს აღწევს. მისივე შეფასებით, იმპორტიორთა უმეტესობა კეთილსინდისიერად მუშაობს და მათი საქმიანობისათვის ასეთი ბარიერების შექმნა, პირველ რიგში, სახელმწიფოსათვის არის არახელსაყრელი, მით უმეტეს, როცა კონტრაბანდასთან ბრძოლა მისი მოქმედების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. რაც შეეხება პრობლემას, ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი ხელისუფლებას მისი გადაჭრისათვის რამდენიმე საკითხის მოგვარებას სთავაზობს. კერძოდ, საბაჟო დეკლარაციაში უნდა აისახოს ეკოლოგიის გადასახადი, დარეგულირდეს საგზაო გადასახადი, საბაჟომ კვირა დღეს და ბანკმა შაბათ დღესაც უნდა იმუშაოს. ვანო მთვრალაშვილი თვლის, რომ ნავთობპროდუქტების კონტრაბანდასთან ბრძოლის მიზნით, აუცილებელია შემცირდეს აქციზი, რომელიც 1997 წლიდან გაიზარდა და დღეს იგი ერთ ტონა ბენზინზე 200 ლარს, ხოლო ერთ ტონა დიზელის საწვავზე 100 ლარს შეადგენს. თუმცა, მისივე ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტრო შემცირების სანაცვლოდ აქციზის გაზრდას გეგმავს, რაც ყოვლად მიუღებელია. ნავობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი არსებულ საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობებში აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებისათვის ფინანსთა სამინისტროს, შემდეგ კი სხვა უწყებებს მიმართავენ. მათი შეფასებით, საკითხის მოგვარებით სახელმწიფო ბიზნეს-სექტორისადმი სწორ შემხვედრ ნაბიჯს გადადგამს.

სახელმწიფო შესყიდვების ირგვლივ დაპირისპირება გრძელდება

სახელმწიფო შესყიდვების თემა კვლავ აქტუალურია. შესყიდვების საგენტოს მიერ სოროსის ფონდის წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებას იმის თაობაზე, რომ სოროსის ფონდის დაფინანსებით აღნიშნულ თემაზე მომუშავე ჯგუფი ამ სფეროში რეფორმების შეფერხებას ცდილობს, გუშინ თავად ჯგუფის წევრები გამოეხმაურნენ: ჯგუფის განცხადების თანახმად, კითხვა - უნდა დაექვემდებარონ თუ არა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებს ის საწარმოები, რომელთა საწესდებო კაპიტალშიც სახელმწიფო 50-ზე მეტი პროცენტით მონაწილეობს? - საკმაოდ მნიშვნელოვანია.

"ფაქტია, რომ ამგვარ საწარმოებზე კანონმდებლობა ამჟამად არ ვრცელდება და ამაში სამუშაო ჯგუფის დადანაშაულება არაკორექტულია. საქართველოს ეკონომიკის ახალმა მინისტრმა სამუშაო ჯგუფს სთხოვა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე კანონის გავრცელების საკითხის შესწავლა. ეს საკითხი ჯგუფის შემდგომი მუშაობის შედეგებში აისახება და ამჟამად, სხვა საკითხებთან ერთად, მისი საკანონმდებლო საფუძვლების ფორმების ძიებაც მიმდინარეობს. რაც შეეხება არსებულ კორუფციულ ელემენტებს, როცა მოხელეები საწარმოთა ქონებით უკანონოდ სარგებლობენ, ეს სახელმწიფო შესყიდვების თემას სცილდება და მასზე რეაგირება სისხლის სამართლებრივი წესებით უნდა მოხდეს", - ნათქვამია განცხადებაში.

ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ .საბაჟო ჯგუფის მიერ მომზადებული საბოლოო მოსაზრებები სარეკომენდაციო ხასიათის იქნება. ჯგუფის მიერ შემუშავებული ყოველგვარი მოსაზრება ყოველ ეტაპზე საჯაროა.

"იმედს ვიტოვებთ, რომ სამუშაო ჯგუფის მიზანი, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემა მაქსიმალურად სრულყოფილი გახდეს და ამ მუშაობაში საზოგადოების ფართო წრე ჩაერთოს, მხოლოდ მისასალმებელი იქნება, ჯგუფი დაინტერესებული მხარეებისგან კონსტრუქციულ დახმარებას მიიღებს და ეს მუშაობა ორაზროვნად არ აღიქმება", - აღნიშნულია განცხადებაში.

24 საათი

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

30 აპრილს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:

მშენებელთა, ნავთლუღის მეორე, ლითონკონსტრუქციების ქარხნის, სატანკო, სამხატვრო დასახლებების, მოსკოვის გამზირის(ნაწილობრივ), ქინძმარაულის, კაიროს ქუჩების მაცხოვრებლებს.

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია (სგსეკ) აცხადებს ღია ტენდერს ქვემო ქართლში აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად შემდეგ პოზიციებზე:

ლოტი	ღონისძიების დასახელება	ერთეული	რაოდენობა
1	რუსთაფის გამრიცხველიანება II ეტაპი	აბონენტი	750
2	0.4 კვ მავთულების გამოცელა	მეტრი	1500
3	ელექტრომარნუხი ("კლეში")	ცალი	32
4	დენისა და ძაბვის გამზომი ხელსაწყო ("ეაფი")	ცალი	6
8	ტრანსფორმატორების მრიცხველები	ცალი	40

სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად და აგრეთვე ნებისმიერი კომერციული და ტექნიკური ინფორმაციისათვის მიმართეთ მარინა გეთიას 10 მაისამდე (m) ტელეფონი +995 99 51 39 30; ფაქსი +995 24 15 70 50.

მაკედონიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ცრვენკოვსკის პრემიერობას პრეზიდენტობა ურჩევნია.

გუშინ სკოპიეში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგები გამოცხადდა. შედეგების მიხედვით, გამარჯვება ქვეყნის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბრანკო ცრვენკოვსკიმ მოიპოვა. მას ამომრჩეველთა 62 პროცენტმა დაუჭირა მხარი, მაშინ, როცა მის მოწინააღმდეგე საშკო კედევს 37-პროცენტიანი მხარდაჭერა ჰქონდა.

ბრანკო ცრვენკოვსკი მაკედონიის ტრაგიკულად დაღუპული პრეზიდენტის, ბორის ტრაიკოვსკის ადგილს დაიკავებს. მაკედონიის ყოფილი პრეზიდენტი 26 თებერვალს ავიაკატასტროფის შედეგად დაიღუპა.

ბორის ტრაიკოვსკი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საკუთარ ქვეყანაშიც და ევროპაშიც. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ არჩევნებამდე ორივე კანდიდატი ტრაიკოვსკის კურსის გაგრძელების შესახებ აცხადებდა, რაც ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებასა და საგარეო ასპარეზზე ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებას გულისხმობს. მათ, ასევე, ქვეყნის წინაშე მწვავედ მდგარი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისა და მოსახლეობაში უმუშევრობის შემცირების პირობაც დადეს.

მაგრამ საარჩევნო უბნების დახურვისთანავე კედევი თითქოს გრძნობდა მარცხს და უკვე სკანდალურ განცხადებებს აკეთებდა არჩევნების გაყალბების შესახებ. "ეს ყველაზე დიდი გაყალბება იყო მაკედონიის ისტორიაში, - ამბობს კედევი, – იგი (ცრვენკოვსკი) ლეგიტიმური პრეზიდენტი ვერ იქნება."

კედევი ამტკიცებს, რომ ცრვენკოვსკის მომხრეებმა საარჩევნო ურნებში ყალბი ბიულეტენები ჩაყარეს და აშშ-ს კონგრესსა და ევროპარლამენტს მოუწოდებს, სამარცხვინო, გაყალბებული არჩევნები არ ცნოს.

კედევისაგან განსხვავებით, ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენელი ცრვენკოვსკი გამარჯვებას ზეიმობს და აცხადებს: "დღეს მაკედონიამ დემოკრატიის გამოცდა ჩააბარა." "დღეს მაკედონიამ ყველაზე მშვიდობიანი, სამართლიანი და დემოკრატიული გზით აირჩია თავისი პრეზიდენტი," - ამბობს 41 წლის ცრვენკოვსკი სკოპიეში ფეირვერკების თანხლებით გამართულ, გამარჯვების აღსანიშნავ ზეიმზე.

დაახლოებით, ამომრჩეველთა 55 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა 14 აპრილს არჩევნების პირველ ტურში. ეს ყველაზე მცირე მაჩვენებელია მას შემდეგ, რაც მაკედონია 1991 წელს იუგოსლავიას გამოეყო. პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა - ვერც ცრვენკოვსკიმ და კედევმა, და, მით უმეტეს, ორმა ალბანელმა კანდიდატმა ვერ მოახერხეს ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი მანდატის მოპოვება. 28 მარტს დანიშნული არჩევნების მეორე ტურში საუკეთესო შედეგების მქონე ცრვენკოვსკი და კედევი გავიდნენ.

დიდი ალბათობა არსებობდა, რომ მეორე ტური ჩაიშლებოდა, რადგანაც მაკედონიის მოსახლეობის თითქმის მეოთხედმა ნაწილმა, ეთნიკური ალბანელების სახით, ალბანელი კანდიდატების გამოვარდნის შემდეგ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. თუმცა, მოლოდინის საპირისპიროდ, არჩევნებში ამომრჩეველთა 53 პროცენტმა მონაწილეობა მაინც მიიღო. და მიუხედავად კედევის განცხადებებისა, რომ მხოლოდ ამომრჩეველთა 44 პროცენტმა მისცა ხმა და ცრვენკოვსკიმ ყალბი ბიულეტენების გამოყენებით ამომრჩეველთა რიცხვი გაზარდა, არჩევნები მაინც შემდგარად ჩაითვალა. დღეს ეს, შესაძლოა, ნაკლებად აქტუალურიც იყოს. მით უმეტეს, რომ დამკვირვებლების განცხადებით, ეთნიკური მაკედონელების აქტივობა წინა ტურთან შედარებით გაცილებით მაღალი იყო.

კონკურენტის პროტესტის მიუხედავად, არჩევნების შედეგები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანონიერად ჩათვალა. ცრვენკოვსკი პრეზიდენტის პოსტს მაინც დაიკავებს და მაკედონიის სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობების შესრულებას შეუდგება. მაგრამ ერთი რამ არის აღსანიშნავი: პრეზიდენტის ფუნქციები უმეტესად წარმომადგენლობით ხასიათს ატარებს და გასაკვირია, რატომ დასჭირდა ქვეყნის რეალურ მმართველ პრემიერ-მინისტრ ცრვენკოვსკის ამ პოსტისათვის ასეთი დაძაბული ბრძოლის გამართვა. იქნებ იმიტომ, რომ ცვალებადი პოლიტიკური გარემოს პირობებში პრეზიდენტის თანამდებობა ხელისუფლებაში ხუთწლიანი ყოფნის გარანტიას იძლევა?

ნატო-ს ახალი საზღვრის უსაფრთხოება

პირველი გვერდიდან

ნატო-ს საზღვრების აღმოსავლეთით და სამხრეთით გაფართოებამ ყურადღება ახალ საკითხებზე გადაიტანა: ნატო-ს საზღვარმა აღმოსავლეთით გადაიწია, რის შედეგადაც ახალი და მნიშვნელოვანი საფრთხეები გაჩნდა. დღეს, როგორც არასდროს, ნატო-ს კავკასიაში კავშირების განმტკიცება სჭირდება.

ტერორიზმის წინააღმდეგ ომი, ნატო-ს საზღვრების დაცვის იმპერატივი და კასპიის ენერგეტიკული რესურსების საექსპორტოდ მილსადენების მშენებლობა ჩრდილოატლანტიკური თანამეგობრობისათვის ფსონებს მნიშვნელოვნად ზრდის. ამას გარდა, მართალია, ნატო მის საზღვრებს მიღმა მიმდინარე მოვლენებზე პასუხისმგებელი არ არის, მაგრამ მეზობელ რეგიონებში სტაბილურობის განმტკიცება მის ინტერესებში ნამდვილად შედის, რათა მისი წევრი-სახელმწიფოებისათვის პოტენციური საფრთხეები შეამციროს.

კავკასია ტერორიზმის წინააღმდეგ მიმდინარე ომის სასიცოცხლო ფრონტია. რეგიონი ძალზე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფანია ავღანეთში ნატო-ს ოპერაციების განსახორციელებლად. მაგალითად, აზერბაიჯანის უზარმაზარი სანაპირო ზოლი ადეკვატურად დაცული არ არის, ისევე, როგორც კონტრაბანდული დერეფანი ირანის საზღვართან, რომელიც სომხეთის მიერ აზერბაიჯანის დაპყრობილ მიწებზე გადის. როგორც მსოფლიოს სხვა წერტილებში, ტერორისტებმა და კრიმინალურმა ელემენტებმა შეიძლება ამგვარი უკონტროლო რეგიონი გამოიყენონ, რაც აშშ-ს ინტერესებს რეალურ საფრთხეს შეუქმნის.

ნატო-ს ახალი საზღვარი იმასაც გულისხმობს, რომ ალიანსი რეგიონულ უსაფრთხოებაში რეალურად არის დაინტერესებული. შავი ზღვის აუზში მდებარე მეზობლებთან თანამშრომლობის განმტკიცება და რეგიონულ საფრთხეებთან გამკლავება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რათა ნატო-ს ახალი აღმოსავლეთი საზღვარი სტაბილური და უსაფრთხო იყოს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის შექმნა ევრო-ატლანტიკური თანამეგობრობის ეკონომიკურ ინტერესებში შედის. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და შაჰ დენიზის მილსადენების გახსნა, რომელთა დამთავრება 2005 და 2006 წლისთვის არის დაგეგმილი, აზერბაიჯანიდან ენერგეტიკული რესურსების საქართველოს გავლით თურქეთში ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს. მილსადენები შეერთებული შტატების სტრატეგიის ორგანულ ნაწილს შეადგენს, რომლის მეშვეობით კასპიური ენერგორესურსების ალტერნატიული საექსპორტო მარშრუტები შეიქმნება. მილსადენებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას ენერგია მიეწოდება, ხოლო აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს ახალ შემოსავლებს მოუტანს.

ამის გამო, ევრო-ატლანტიკურმა თანამეგობრობამ ყოვლისმომცველი მიდგომა უნდა ჩამოაყალიბოს, რათა რეგიონში უსაფრთხოება და სტაბილურობა უზრუნველყოს.

პირველი ნაბიჯი ნატო-სა და რეგიონის სახელმწიფოებს შორის პირდაპირი სამხედრო თანამშრომლობის გაფართოება უნდა იყოს, რაც ამ ქვეყნების სამხედრო შესაძლებლობებს გააძლიერებს, რათა მათ საფრთხეებთან გამკლავება შეძლონ. საბედნიეროდ, ალიანსს ამისთვის რამდენიმე ეფექტური მექანიზმი უკვე აქვს. პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამა საშუალებას აძლევს რეგიონის სახელმწიფოებს, ნატო-ს ძალებთან ითანაშრომლონ, რაც მათ სამხედრო პროფესიონალურ დონეს აამაღლებს. საქართველო და აზერბაიჯანი აგრეთვე მონაწილეობენ სამშვიდობო ოპერაციებში კოსოვოში, ავღანეთსა და ერაყში.

გარდა ამისა, შეერთებული შტატები წვრთნისა და აღჭურვის პროგრამას ახორციელებს, რომლის ფარგლებში საქართველოს შეიარაღებული ძალები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მომზადდა.

მეზობელ აზერბაიჯანში შეერთებულმა შტატებმა ახლახან დაიწყო ახალი პროგრამა - კასპიის ზღვის სასაზღვრო ინიციატივა. აღნიშნული პროგრამა აზერბაიჯანის საზღვაო ძალებს გააძლიერებს, რათა მათ ნარკოტიკების, იარაღისა და მასობრივი განადგურების იარაღის დასამზადებლად აუცილებელი მასალებით ვაჭრობის გაკონტროლება უკეთ შეძლონ.

ამგვარი ძალისხმევა აუცილებელია ნარკოტიკებით, იარაღითა და ადამიანებით ვაჭრობის აღსაკვეთად, რაც ნატო-ს წევრი სახელმწიფოებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. მაგალითად, ავღანეთში მოყვანილი ყაყაჩო ხშირად თურქმენეთში გადამუშავდება, ხოლო შემდეგ კონტრაბანდული გზით, კასპიის ზღვის გავლით ბაქოსა და მეზობელ დაღესტანში გადის, იქიდან კი ნარკოტიკები არამარტო ვარშავასა და სოფიაში, არამედ ლონდონში, პარიზსა და რომში მიედინება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან თალიბანის მმართველობის დროს ჰეროინის წარმოება 185 მეტრ/ტონამდე დავიდა, 2003 წელს კი უკვე 3600 მეტრ/ტონას გადააჭარბა.

ამ გზების გადაჭრა, ფაქტობრივად, ტერორისტული ქსელის დაფინანსების წყაროების გადაკეტვას ნიშნავს. თუმცა, მხოლოდ სასაზღვრო კონტროლის გამკაცრება საკმარისი არ არის, რადგან არალეგალური საქმიანობა სწორედ იქ ვითარდება, სადაც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი სუსტია, ან საერთოდ არ არსებობს.

შესაბამისად, ევრო-ატლანტიკური თანამეგობრობის ინტერესებში შედის, რომ ე.წ. "გაყინული" რეგიონული კონფლიქტები მოგვარდეს და ამ მიზნით აშშ-მ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო, აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთთან არიან დაპირისპირებულები, ხოლო არაღიარებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული რეჟიმები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სტაბილურობას საფრთხეს უქმნიან. ახლახან საქართველოს აჭარის ავტონომიასთანაც სირთულეები შეექმნა, სადაც შავი ზღვის მნიშვნელოვანი პორტი მდებარეობს.

ეს კონფლიქტები დენთის კასრებად რჩებიან, რომლებიც, შესაძლოა, ნებისმიერ დროს აფეთქდეს და კავკასია ახალ ქაოსში და ომში ჩაითრიოს და რეგიონის ბალკანიზაცია გამოიწვიოს. ნატო-მ უნდა გამოიყენოს შესაძლებლობა, რათა საკუთარი ინტერესები დაიცვას რეგიონში. წარმატებული თანამშრომლობა რეგიონში ალიანსს აღმოსავლეთი საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაეხმარება და, სავარაუდოდ, რეგიონის ქვეყნებს გასაწევრიანებლად გზას გაუხსნის.

ფალუჯაში ქუჩის ბრძოლები დაიწყო

კოფი ანანი ვაშინგტონს აფრთხილებს

ლევან ღირსიაშვილი

"საოკუპაციო ძალების აქტიური სამხედრო მოქმედებები ოკუპირებული ქვეყნის მოსახლეობის წინააღმდეგ ვითარების კიდევ უფრო მეტად გართულებას უწყობს ხელს. მათთვის, ვინც ზომიერებას და დიალოგს უჭერს მხარს, უკვე დადგა დრო, რომ ხმა აღიმაღლონ," - განაცხადა გუშინ ნიუ-იორკში გამართულ პრესკონფერენციაზე გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა. **"ჩვენ ყველანი დაინტერესებულნი ვართ ოკუპაციის დასრულებაში. ჩვენ ყველას გვსურს, ვიხილოთ მშვიდობიანი ერაყი, რომელიც თავის მეზობლებთან ერთად მშვიდობიანად იცხოვრებს და ეყოლება საკუთარი მთავრობა,"** - აცხადებს გაერო-ს გენერალური მდივანი. მან სრული მხარდაჭერა აღუთქვა ერაყის საკითხებში თავის სპეციალურ დესპანს ლაჰდარ ბრაჰიმს და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გაერო ამერიკელების მიერ ოკუპირებულ ქვეყანაში "ცისფერჩაფხუტიანების" გაგზავნას არ აპირებს. კოფი ანანი თვლის, რომ ერაყში მშვიდობა იქ მყოფმა მრავალეროვნულმა საერთაშორისო ძალებმა უნდა უზრუნველყონ. ამით მან ნათლად მიანიშნა ვაშინგტონს, რომ პასუხისმგებლობა ერაყში განვითარებულ მოვლენებზე მხოლოდ და მხოლოდ თეთრ სახლს ეკისრება. ამასთანავე, კოფი ანანის განცხადებით, რეალურად არსებობს იმის საფრთხე, რომ ერაყის კრიზისი ქვეყნის ფარგლებს გასცდეს და მთელი რეგიონი მოიცვას. ანუ, იქ არსებული ანტიამერიკული განწყობა მთელ ახლო აღმოსავლეთის რეგიონს და არაბულ სამყაროს გადაედოს.

საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოები და დამკვირვებლები იუწყებიან, რომ კოფი ანანის ეს განცხადება აშკარად მოულოდნელი იყო შეერთებული შტატებისათვის, რომლის პრეზიდენტსაც გადაწყვეტილი აქვს, ერაყული წინააღმდეგობა სამხედრო ძალის გამოყენებით დაამარცხოს.

რასაკვირველია, კოფი ანანის აღნიშნული განცხადება ვაშინგტონს დასახულ მიზანზე ხელს ვერ ააღებინებს. პენტაგონი ერაყში მძიმე ტექნიკის ახალ ნაწილებს აგზავნის. ტექნიკის გარკვეული ნაწილი უკვე ადგილზეა, ნაწილი კი გზაშია. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვის წინ ამერიკელებმა ჯავშანტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ერაყიდან გაიყვანეს. მათი უკან დაბრუნება კი ამბოხებულ ქვეყანაში ვითარების სერიოზულ გამწვავებაზე აშკარად მიუთითებს.

კოალიციის ნაწილები, აშშ-ს შეიარაღებული ძალების მეთაურობით, კვლავ აქტიურად უტევენ წინააღმდეგობის ცენტრებს - ფალუჯასა და ნეჯეფს. გუშინ, მთელი დღე-ღამის განმავლობაში, ავიაციის და არტილერიის გამოყენებით მიმდინარეობდა ბრძოლები ფალუჯასათვის. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, ამერიკულმა ავიაციამ ქალაქში 225-კილოგრამიანი ბომბები ჩამოყარა. კოალიციის მიზანია, ამბოხებულებისაგან ქალაქი ნებისმიერ ფასად გაწმინდოს. გუშინ ამერიკულმა საზღვაო ქვეითმა ქალაქის რკინიგზის სადგურში და ზოგიერთ გარეუბანში შესვლა მოახერხა. ზოგიერთი მონაცემებით, ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქის ცენტრშიც. ეს კი აშკარად მიუთითებს ამერიკელების ტაქტიკის შეცვლაზე. გუშინდელ დღემდე კოალიციის სარდლობა ქუჩის ბრძოლებს აშკარად ერიდებოდა. სარდლობა პირდაპირ აცხადებდა, რომ ფალუჯაში სახმელეთო ძალების შესვლა დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა. ასეთი განცხადება ამერიკელმა გენერლებმა გუშინწინ გააკეთეს. გუშინდელმა დღემ კი ცხადყო, რომ ისინი ამ რისკზე წავიდნენ. მართალია, მათ რამდენიმე რაიონის დაკავება მოახერხეს, მაგრამ შედეგი საკმაოდ სავალალოა. მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში იზრდება. დაღუპულთა შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც არიან. ქუჩის ბრძოლებში ჩართვა აუცილებლად გამოიწვევს მსხვერპლს თავად ამერიკელთა რიგებში, რაც შეერთებული შტატების მოსახლეობაში ანტისახელისუფლებო განწყობას გაზრდის.

ამ ყველაფრის მიუხედავად, პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ამერიკელი სამხედროების მოქმედებით კმაყოფილია. ის გუშინ ჟურნალისტების წინაშე წარდგა და განაცხადა, რომ ერაყში მყოფ სარდლობას მოქმედების სრული თავისუფლება აქვს მიცემული. მისი თქმით, ვითარება ფალუჯაში ჩვეულ კალაპოტში ბრუნდება. **"ჩვენი სამხედროები ერაყელებთან ერთად ვითარების სტაბილიზაციაზე ზრუნავენ,"** - აცხადებს თეთრი სახლის მესვეური. საერთაშორისო სააგენტოების საშუალებით ფალუჯადან მოსული ინფორმაციები კი აშკარად საპირისპიროზე მიუთითებენ.

ბუშის განცხადების პარალელურად, ამერიკელთა სარდლობის წარმომადგენელმა გენერალმა სატლერმა ბრიფინგი გამართა. მისი თქმით, ფალუჯაში გამაგრებულ ამბოხებულთა რაოდენობა ათას ხუთასს კაცამდე აღწევს და ისინი მზად არიან, კოალიციის ნაწილებს ქუჩის ბრძოლები გაუმართონ.

გუშინვე, ბაღდადის ერთ-ერთ უბანში ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული ავტომანქანა აფეთქდა, რის შედეგადაც ათი ამერიკელი სამხედრო დაიღუპა და ცხრა დაიჭრა.

დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა ერაყში უკიდურესად დაძაბულ ვითარებაზე მსჯელობა გამართა. ოპოზიციის მხრიდან პრემიერ ტონი ბლერის მისამართით კრიტიკა, ერაყის ომში მონაწილეობის გამო, უფრო და უფრო ძლიერდება. ამის მიუხედავად, ტონი ბლერი ისევ ძველ პოზიციაზეა და აცხადებს, რომ ამერიკელები ერაყში სწორი ტაქტიკით მოქმედებენ.

ცხადია, ვერც კოფი ანანის და ვერც შიდა ოპოზიციური ძალების ანტისაომარი განცხადებები ვაშინგტონის და ლონდონის პოლიტიკაზე გავლენას ვერ მოახდენენ. ბუშსაც და ბლერსაც უკან დასახევი გზა არ დარჩენიათ. შეცდომების აღიარება და ტაქტიკის შეცვლა ორივე ლიდერის პოლიტიკურ სიკვდილს ნიშნავს. მათი მიზანი - ნებისმიერ ფასად ერაყში წესრიგის დამყარება – მარტივი გასაგები, მაგრამ რთული მისაღწევია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუში ნოემბერში ოვალურ კაბინეტს უნდა გამოემშვიდობოს. ცოტა ხანში ტონი ბლერის რიგი დადგება. ერაყული წინააღმდეგობის ჩახშობა კი არცთუ ისე ადვილია. ამასთანავე, კოფი ანანის გაფრთხილება, რომ ომი ერაყის საზღვრებს გასცდება, სამწუხაროდ, დღითიდღე რეალური ხდება. ეს კი მსოფლიოსათვის გამოუსწორებელი შედეგების მქონე კატასტროფა იქნება.

მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრების ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ეს წერილი რედაქციაში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ერთმა ჯგუფმა მოიტანა. ვაქვეყნებთ მას ხელისმომწერთა სრული სიით.

ბაქარ გელაშვილის ფოტო

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული პრობლემები დღეს ფართო საზოგადოების განხილვის საგნად იქცა. საჯაროდ გაიმართა არაერთ პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებული დისკუსია თუ დიალოგი. ეს, ჩვენი აზრით, საზოგადოებას წაადგება, ვინაიდან კიდევ უკეთ გავთვითცნობიერდებით საეკლესიო ცხოვრებაში და ჩვენთვის უფრო ახლობელი გახდება დედა ეკლესიის ტკივილები, მეორე მხრივ, ეკლესიასაც მოუტანს სიკეთეს, რადგან სწორედ ამ გზით მოეფინება სინათლე პრობლემებს და აუცილებლად დაიწყება მათი გადაწყვეტის გზების ძიება.

მაგრამ ამ საკითხებზე მსჯელობისას აუცილებელია ეთიკის დაცვა, კორექტულობა. თავი უნდა შევიკავოთ მოკამათე მხარის პიროვნული შეფასებისაგან, კრიტიკა მხოლოდ საგნობრივ ხასიათს უნდა ატარებდეს, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ მოკამათე მხარეები მართლმადიდებელ ეკლესიას მიაკუთვნებენ თავს. უფრო მეტი მოკრძალებაა საჭირო, როდესაც სასულიერო პირის პოზიციის მიმართ გამოთქვამთ აზრს, მით უფრო, თუ ეს სასულიერო პირი მღვდელმთავარია, ვინაიდან ეპისკოპოსი, საეკლესიო კანონიკის თანახმად, მრევლის წინაშე ვალდებულია, გამოთქვას თავისი თვალთახედვა საკამათო, მწვავე, პრობლემატურ საკითხებზე. წმინდა მამების პრინციპი რელიგიური დიალოგის წარმართვისა ასეთია: "მთავარში ერთობა, მეორეხარისხოვანში აზრთა სხვადასხვაობა, ყველაფერში კი სიყვარული".

"იუდას აჩრდილი საქართველოში"

გაზეთ "ქრონიკაში" (N14, 2004) გამოქვეყნებული სტატია "იუდას აჩრდილი საქართველოში," ჩვენი აზრით, ქრისტიანული სიყვარულის წინააღმდეგ სცოდავს, რაკი სათაურშივე გამორიცხავს ყოველგვარ პატივისცემას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ორი მღვდელმთავრის – დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამისა და დმანელი ეპისკოპოსის ზენონის მიმართ, ბრალს სდებს რა მათ ქრისტესა და მისი ეკლესიის ანგარებიან ღალატში - იუდას ცოდვაში. მღვდელმთავრებს ბრალს დებენ საქართველოს ღალატში, კარიერიზმისა და ფულისთვის ეკლესიის მოსპობისა და აღმოფხვრისკენ მიმართულ საქმიანობაში ("ღია და ფარულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად"), სრულ ამორალობაში, უპრინციპობაში, უსინდისობაში, სიცრუეში, თვალთმაქცობაში. მათი მისამართით ნათქვამია, რომ **"ეშმაკის მსახურნი სიმართლის მნეთა ნიღაბს იცვამენ, და ცდომილებაში შეჰყავთ მრავალი გულუბრყვილო."**

ეკლესიის იერარქთა ასეთ მძიმე ცოდვებში დადანაშაულება მხოლოდ იმ მიზეზით ხდება, რომ ისინი თურმე არიან ეკუმენისტები (სიტყვა "ეკუმენე" ნიშნავს მსოფლიოს), ანუ მომხრენი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში (შემდგომში "ემს") საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაბრუნებისა. ასევე მათ და რამდენიმე მართლმადიდებელ სასულიერო პირს (ვინაობა არაა დასახელებული) ბრალად ედებათ კათოლიკეებთან ფარული ალიანსი და საერთო ეკუმენურ ლოცვებში მონაწილეობა.

დასახელებულ იერარქებს ერთობლივ ლოცვაში, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, მონაწილეობა არ მიუღიათ. ასევე არანაირ ღია თუ ფარულ არასამთავრობო ორგანიზაციებში ისინი არ არიან გაწევრიანებულნი. აქედან გამომდინარე, ჩვენ ამჯერად მხოლოდ ეკუმენიზმისა და კათოლიკეებთან ურთიერთობის თემას შევეხებით. ვნახოთ, როგორია რეალობა: ერთი მხრივ, მიტროპოლიტმა აბრაამმა საგაზეთო პუბლიკაციებსა თუ სატელევიზიო გამოსვლებში მართლაც უარყოფითად შეაფასა ვატიკანთან ხელშეკრულების გამო აჟიოტაჟი და ემს-სთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფრო აქტიური თანამშრომლობის სურვილი გამოხატა, მეორე მხრივ, დმანელი ეპისკოპოსი ზენონი ასევე გამოთქვამს ეკუმენური ორგანიზაციების მიმართ ჩვენი დამოკიდებულების გარკვევის სურვილს.

საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვის გამო ნებისმიერი ადამიანის და მით უფრო ეკლესიის იერარქების იუდას ცოდვაში (სრულ ამორალობაზე, ეკლესიის მოსპობის მცდელობაზე და ა.შ. რომ არაფერი ვთქვათ) დადანაშაულება, რბილად რომ ვთქვათ, არაქრისტიანულია. მაგრამ ემს-სა და ვატიკანთან ურთიერთობის საკითხში ეგებ იერარქები კი არა, სტატიის ავტორები ცდებიან? სანამ ამას გავარკვევდეთ, სტატიაში გამოთქმული ერთი "პოლიტიკური" მოსაზრებაც დავაყენოთ ეჭვის ქვეშ, რადგან მეუფე აბრაამსა და მეუფე ზენონს საქართველოს ღალატიც ედებათ ბრალად.

რატომ დაეცა რომი?

სტატიიდან ვიგებთ, რომ ემს არის "ერესთა ერესი" და ის **"თანამედროვე მსოფლიოში წყვდიადის ერთ-ერთ უბოროტეს შესაკრებელს წარმოადგენს, რომელშიც წარმოდგენილია არიოზელობა, მონოფიზიტობა, ხატმებრძოლობა და თვით სატანის ეკლესია."** სტატიაში ნათქვამია, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ყოფნისას საქართველომ აფხაზეთი და სამჩაბლო დაკარგა. ამ ფაქტის ლოგიკას რომ გავყვეთ, მაშინ საქართველო, თუკი კვლავაც დაუბრუნდება ამ ორგანიზაციას, უკეთეს შემთხვევაში კიდევ ერთ რეგიონს (სავარაუდოდ აჭარას) დაკარგავს. აკი ამის საილუსტრაციოდ ისტორიული პარალელებიცაა მოყვანილი: თურმე, **"სწორედ "პაპისტებთან დადებული უნიით და "კათოლიკურ" სარწმუნოებაზე გადასვლის გამო დაეცა კონსტანტინოპოლი და სტამბულად იქცა"**. **"ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, სულიერი თუ მატერიალური კეთილდღეობა, მწვალებლებთან და სატანისტებთან ღვთისთვის საძულველ ლოცვებში კი არა, ჭეშმარიტების უბინოდ დაცვაში მდგომარეობს."** ამგვარია სტატიის ავტორთა ისტორიოსოფია. თუ ამ იმპერატიულად მოწოდებულ "თეორიას" ვირწმუნებთ, უახლოეს მომავალში უნდა განადგურდეს ყველა მართლმადიდებლური სახელმწიფო საქართველოსა და ბულგარეთის გარდა, ვინაიდან მხოლოდ ამ ქვეყნების ეკლესიები არ მონაწილეობენ "წყვდიადის უბოროტეს შესაკრებელში". თუმცა, დმანისის რაიონს შეიძლება ყოფნა-არყოფნის საკითხი დაუდგეს, რაკი სწორედ დმანისის ეპარქიის მმართველი, ეპისკოპოსი ზენონია დადანაშაულებული ეკუმენიზმში. ამ პრეგნოზს ჩვენ ვერ ვერწმუნებით და აი, რატომ: დღემდე არ აღგვილან პირისაგან მიწისა ისეთი ყოფილი მართლმადიდებლური ქვეყნები, როგორიცაა მაგალითად დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია ან სომხეთი. ისინი ხომ ბიზანტიაზე ადრე განუდგნენ მართლმადიდებლობას და "ღათინთა ერესი" ან სულაც "მონოფიზიტური წვალება" აღიარეს. ან რატომ დაეცა V საუკუნეში დასავლეთ რომის იმპერია. იმ დროს ხომ იგი უფრო მართლმადიდებლური იყო, ვიდრე აღმოსავლეთ რომი - ბიზანტია, სადაც მრავალნაირი მწვალებლობა ფუთფუთებდა და მონოფიზიტიც, არიოზელიც, ხატმებრძოლიცა და მართლმადიდებელიც ხშირად ერთად აღავლენდნენ ლოცვას და ეზიარებოდნენ კიდეც.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დროებითი დაკარგვა მართლმადიდებლური რუსეთის მხრიდან უშუალო სამხედრო და პოლიტიკური ჩარევის შედეგი იყო. თავის მხრივ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია არაერთხელ იქნა შემჩნეული კონფლიქტების ესკალაციის მცდელობაში. მისი საქმიანობა ამ მიმართულებით დღესაც გრძელდება. ამაზე რატომ არ საუბრობენ სტატიის ავტორები? ეგებ იმიტომ, რომ იდეოლოგიურ ნათესაობას გრძნობენ იმ რუს სასულიერო პირებთან, რომლებიც მკვეთრად ანტიეკუმენისტური და ანტიდასავლური განწყობით გამოირჩევიან და დღემდე არ აღიარებენ საქართველოს დამოუკიდებლობასა და მისი ეკლესიის ავტოკეფალიას. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დღეს სწორედ ასეთი რუსი სასულიერო პირები მოღვაწეობენ. სტატიაში გამოთქმული მუქარა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ემს-ში დაბრუნება ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასაც უქადის საფრთხეს, ჩვენი აზრით, სწორედ ამ კონტექსტში იკითხება. თუ ეს ასე არაა, მაშინ რატომ არ გამოდიან ისინი დსთ-ს რელიგიათაშორის საბჭოში საქართველოს საპატრიარქოს მონაწილეობის წინააღმდეგ, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ინიციატივით დაარსდა და სადაც მართლმადიდებლებთან ერთად გაწევრიანებული არიან დსთ-ს ბუდისტები, მუსულმანები, იუდეველები და მონოფიზიტები. ეს საბჭო ეკუმენისტური კი არა, პანეკუმენისტური ორგანიზაციაა. თუმცა, ჩვენ ამ ორგანიზაციაში მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობას არ ვეწინააღმდეგებით.

სტატიის ავტორები სრულიად გულწრფელად ფიქრობენ, რომ საქართველოს დასავლეთის მხრიდან ემუქრება საფრთხე. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ამ იდეოლოგიას წლების მანძილზე აქვს ძლიერი საინფორმაციო საყრდენი: გაზეთები "მრევლი", "ერი და ბერი", "აცხოვნე სული შენი", "ხარება" და ჟურნალები "ივერიის გაბრწყინება", "ლაზარეს აღდგინება" - ეს ორგანები წლების მანძილზე "რუსული" ფუნდამენტალისტური, იდეოლოგიზებული მართლმადიდებლობის დანერგვას უწყობენ ხელს და ამ ყველაფერს "მართლმადიდებლობის დაცვით" - რადიკალური ანტიეკუმენიზმით ნიღბავენ; ამ გამოცემებში ხშირად ნახავთ ჩეჩნეთში რუსი სამხედროების საგმირო ისტორიებს, სტატიებს დასავლური კულტურის წინააღმდეგ, რუსი მეფეების ცხოვრება-მოღვაწეობას, გარუსებული ქართველი სასულიერო პირების ქება-დიდებას, პასკვილებს რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ სიონისტური შეთქმულების შესახებ და საბჭოთა კავშირის დანგრევის გამო სინანულსაც კი. გაზეთ "მრევლის" ერთერთ ადრინდელ ნომერში მსხვილი შრიფტით ასეთი ლოზუნგი დაიბეჭდა: **"დიდება რუს ერს, რუსეთის პრეზიდენტს, რუსეთის პარლამენტს, სირცხვილი ქართველ ერს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს"**.

შევნიშნავთ: რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ამა თუ იმ წარმომადგენლის მხრიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში უხეში ჩარევის წინააღმდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის გარდა, რამდენადაც ჩვენ გვახსოვს, საჯაროდ მხოლოდ მიტროპოლიტი აბრაამი იმაღლებდა ხმას.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო

ახლა კი მთავარ ბრალდებას მივუბრუნდეთ, რათა მკითხველმა ჩვენი ეკლესიის მღვდელმთავრების მიმართ ღვარძლი არ ჩაიდოს გული და არ იფიქროს: ისინი სატანის მსახურები, ეკლესიისა და სამშობლოს მოღალატეები და ყოვლად გარყვნილი ადამიანები ყოფილანო. ოდნავ მეტად გათვითცნობიერებულებმა კი საერთოდ არ აიღონ ხელი მართლმადიდებლობაზე და განხეთქილებაში მყოფი, ყველასა და ყველაფრისგან გამოყოფილი რომელიმე დაჯგუფება არ ირჩიონ სულის ხსნისათვის. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხოლოდ ნაწილია ერთი წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა და ჩვენ დანარჩენი ავტოკეფალური ეკლესიებისგან მარტოოდენ ტერიტორიული და იურისდიქციული საზღვრები გვყოფს. მას შემდეგაც კი, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, შიდა განხეთქილების საფრთხის გამო, საკუთარი ნების წინააღმდეგ 1997 წელს ეკუმენური ორგანიზაციებიდან გამოვიდა, არსობრივად მაინც გამზიარებელი რჩება მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართებისა ამ ორგანიზაციებისადმი, ანუ თუკი სტატიის ავტორთა აზრით ეკუმენურ ორგანიზაციებში მონაწილეობა ერესთა ერესი და წყვდიადისა და სატანის ეკლესიის თანაზიარებაა, მაშინ ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში არ ვიქნებით ეშმაკთან წილნაყარნი, თუ გავწყვეტთ კავშირს ყველა მართლმადიებელ ავტოკეფალურ ეკლესიასთან და შევუერთდებით, ვთქვათ, იმ სქიზმატურ დაჯგუფებას, რომლის საამაყო წარმომადგენელი ბასილი მკალავიშვილი გახლავთ. ამ საკითხისადმი "წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის მრევლის კავშირის" (ასე ეწოდება სტატიის კოლექტიურ ავტორს) მიდგომის ლოგიკიდან გამომდინარე, მათი მოქმედების ლოგიკაც სავარაუდოდ ასეთი უნდა იყოს. თორემ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ვთქვით, ისედაც "ეკუმენურია", რაკი მსოფლიოში მხოლოდ და მხოლოდ ერთი წმიდა საყოველთაო სამოციქულო ეკლესია არსებობს და კონსტანტინოპოლის, რუსეთის, სერბეთის პატრიარქები ან ელადისა თუ პოლონეთის ეკლესიათა მეთაურები (სულ თხუთმეტი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია არსებობს) საქართველოს ეკლესიისთვისაც მღვდელმთავრები გახლავან და საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებისა და სასულიერო პირების "ეკუმენურ მწვალებლობაში" დადანაშაულება იმთავითვე ბრალდება და ცილისწამებაა მსოფლიო ეკლესიის მეთაურებისა და იმ სასულიერო პირების უდიდესი უმრავლესობის მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ ეკუმენურ დიალოგებსა და ერთობლივ ლოცვაში.

ემს-ს წევრი, როგორც ვთქვით, ყველა მართლმადიდებელი ეკლესიაა, გარდა საქართველოს და ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიებისა. საბჭოს წევრობაზე მათ 1997 წელს განაცხადეს უარი. ემს-ში გაწევრიანებული 342 ეკლესიის უდიდესი უმრავლესობა სხვადასხვა პროტესტანტულ ტრადიციას მიეკუთვნება. წევრი ეკლესიების თანამშრომლობა ღვთივაღთქმული ქრისტიანული ერთობისაკენ საერთო სწრაფვასა და ემს-ს წესდებასთან თანხმობაში ხორციელდება: "ეკლესიათა მსოფლიო საბჭო წარმოადგენს იმ ეკლესიების თანამეგობრობას, რომლებიც უფალ იესო ქრისტეს ღმერთად და მაცხოვრად აღიარებენ, თანახმად წერილისა, და ამიტომ ესწრაფვიან, ერთად აღასრულონ ერთი ღმერთის, მამის, ძისა და სულიწმინდის თაყვანისცემის საერთო მოწოდება" (ეს დებულება არამარტო "სატანის ეკლესიის" წევრობას გამორიცხავს ამ ორგანიზაციაში, არამედ ყველა სხვა არაქრისტიანულ აღმსარებლობასაც უკეტავს გზას მასში გასაწევრიანებლად). ემს არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს "ეკლესიას" (ტორონტოს დეკლარაცია, 1950 წელი), მას არ აქვს უფლება, ილაპარაკოს ეკლესიების სახელით მათი ღია თანხმობის გარეშე და არ ენაცვლება ცალკეულ ეკლესიებს (ემს კონსტიტუციის მე-4 მუხლი), მას არ გააჩნია საერთო დოგმატურ-ეკლესიოლოგიური სწავლება და ამდენად შეუძლებელია, მისი სამოქმედო თეორია იყოს ერეტიკული. ემს მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა ქრისტიანული დენომინაციათა ურთიერთმიმართების გასარკვევ საშუალებას წარმოადგენს. ამასთანავე ემს არსებითად ქრისტიანთა შორის მსოფლიო დონის ერთადერთი ფორუმი გახლავთ, როგორც საღვთისმეტყველო საკითხების განსახილველად, ასევე საერთო ღონისძიებებისთვის მისიონერობისა და სოციალური მსახურების სფეროში. ემს-ს წევრი ეკლესიები ერთობლივი მოქმედებით ებრძვიან რელიგიურ და რასობრივ დისკრიმინაციას, სიღარიბეს, ნარკობიზნესს, ტრეფიკინგს, ბავშვთა პროსტიტუციას და ა. შ. ასეთი უნიკალური შესაძლებლობის დაკარგვა ჩვენი ეკლესიის მხრიდან ისტორიულად გაუმართლებელი იქნებოდა, რომ არა შიდა განხეთქილების რეალური საფრთხე, რომელიც 1997 წელს მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული.

მსოფლიოში მზარდი ქრისტიანული სოლიდარობა ხელს უწყობს ურთიერთდაახლოებას, მაგრამ არა იმდენად საღვთისმეტყველო პოზიციებისა, რამდენადაც ადამიანთა სულებისა. მაგრამ იმავდროულად ემს-ში ნლების განმავლობაში სხვადასხვა წინააღმდეგობის გამო მართლმადიდებლობის ისტორიული მისია სათანადო სახით ვერ ხორციელდებოდა. ეს წინააღმდეგობები ძირითადად ადმინისტრაციულ და იურიდიულ ხასიათს ატარებდა. ამის გათვალისწინებით, მართლმადიდებელმა ეკლესიებმა, 1998 წლის მაისში თესალონიკში გამართულ შეხვედრაზე, მოითხოვეს რადიკალური ცვლილებები საბჭოს სტრუქტურასა და მუშაობის სტილში, რათა მართლმადიდებელთა ემს-ში მონაწილეობა უფრო მნიშვნელოვანი და მიზანმიმართული გამხდარიყო. მაგრამ, ამასთანავე, ამ შეკრებამ ერთხმად დაგმო "სეპარატისტული და ექსტრემისტული დაჯგუფებები ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წიაღში, რომლებიც იყენებენ ეკუმენიზმის თემას საეკლესიო მმართველობის კრიტიკისა და მისი ავტორიტეტის შელახვისთვის, და ამით ცდილობენ, გამოიწვიონ უთანხმოება და განხეთქილება." აქვე ხაზგასმით აღინიშნა, რომ "არ გვაქვს უფლება, უარი ვთქვათ ჩვენს მისიაზე, ვიყოთ ჭეშმარიტების მოწმეები არამართლმადიდებელი მსოფლიოს წინაშე. ჩვენ არ უნდა გავწყვიტოთ ურთიერთობა სხვა კონფესიის ქრისტიანებთან, რომლებიც მზად არიან, ითანამშრომლონ ჩვენთან" ("ეკლესიის საზღვრები", თბ. 2000. გვ. 237).

მართლმადიდებელთა მოთხოვნის პასუხად, 2002 წლის 2 სექტემბრის ემს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, პრაქტიკაში შეტანილ იქნა გადაწყვეტილების მიღების ახალი და უპრეცედენტო მეთოდი, რომელიც არა მაჟორიტარულ სისტემას, არამედ კონსენსუსს დაეფუძნა, რაც კონფესიური თანასწორობის პრინციპის მიუხედავად, უპირატესობას ანიჭებს საბჭოში უმცირესობის აზრის გათვალისწინებას. ეს კი საშუალებას იძლევა, თავიდან იქნას აცილებული ისეთი ვითარება, როცა მართლმადიდებლური აღმსარებლობისა და გარდამოცემისთვის ზოგჯერ უცხო და მიუღებელი პოზიციის (თუმცა გადაწყვეტილებები წევრი ეკლესიებისთვის სავალდებულო არასოდეს იყო) ხმათა უმრავლესობით მიღება იქნება შესაძლებელი.

დღესდღეობით მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია ეკუმენიზმთან დაკავშირებით სრულიად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული: "მართლმადიდებელი ეკლესია, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანამეგობრობაში მონაწილეობის მიღებისას არ ღებულობს აღმსარებლობათა თანასწორობას და არ შეუძლია მიიღოს საეკლესიო ერთობა, როგორც ინტერდენომინაციური შერიგება... ღმერთი მოგვიწოდებს ჩვენ სარწმუნოების საიდუმლოსა და ტრადიციაში ცოცხალი ერთობისაკენ, რისი გამოცდილებაც აქვს მართლმადიდებელ ეკლესიას".

ეკუმენიზმში მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობის აუცილებლობას კი ყველაზე უკეთ მსოფლიო პატრიარქის ათენაგორა I-ის სიტყვები წარმოაჩენს: "რაც უფრო მეტად აქვს ეკლესიას შეგნებული, რომ მასშია ჭეშმარიტების სისავსე, მით უფრო მოვალეა იგი, შევიდეს დიალოგში და ითანამშრომლოს ყველა სხვა ქრისტიანულ დენომინაციასთან სიყვარულის, თავმდაბლობისა და მსახურების სულისკვეთებით "(ციტ. Orthodox Vision of Ecumenism).

დაბოლოს, ჟურნალ "ოგონიოკისთვის"(N06, 2004) მიცემულ ინტერვიუში, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II კითხვაზე, თუ რატომ დატოვა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ემს, პასუხობს, რომ "საჭირო იყო მრევლისა და სასულიერო პირების განწყობილებათა გათვალისწინება". დაუკვირდით, მისი უწმინდესობა მრევლისა და სასულიერო პირების დამოკიდებულებას პოზიციას კი არ უწოდებს, არამედ "განწყობილებას", ანუ იმას, რაც გააზრებული შეიძლება არც კი იყოს. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ფაქტობრივად ბრძანებს, რომ ემს არ გახლავთ არავითარი "ერესთა ერესი" და "წყვდიადის უბოროტესი შესაკრებელი". ცნობისთვის: საქართველოს მარლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი თავად გახლდათ 1980-იან წლებში ემს-ს თანაპრეზიდენტი. ეს ალბათ ბევრისმთქმელი უნდა იყოს.

წმ. მარკოზ ეფესელის დამოკიდებულების შესახებ რომის პაპთან

მართლმადიდებელ ეკლესიაში რომის ეკლესიასთან ურთიერთობის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური და არაერთგვაროვანი თემაა და საგაზეთო წერილის ფარგლებში ძნელია ამ ორი ტრაგიკულად გახლეჩილი ეკლესიის ურთიერთდაახლოებისა და გაერთიანების პროცესის სრულფასოვნად აღწერა. ეს ცალკე თემაა. ქვემოთ მოტანილი ციტატით კი გვინდა, მკითხველმა თავად გამოიტანოს დასკვნა, ცდებოდა თუ არა მართლმადიდებლობის უბადლო დამცველი წმ. მარკოზ ეფესელი რომის პაპისადმი მიმართვისას, როდესაც იგი გულმხურვალედ სთხოვდა მას, გახლეჩილი ეკლესიის გაერთიანებაში გამოეჩინა განსაკუთრებული გულმოდგინება. დავძენთ, რომ მე-15 საუკუნეში სწორედ წმ. მარკოზ ეფესელის სიმტკიცემ იხსნა მართლმადიდებელი ეკლესია კათოლიკურ ეკლესიასთან დადებული უნიისგან - ერთობისგან, რადგან ამ ერთობას ჭეშმარიტი სწავლების გარშემო გაერთიანება არ ედო საფუძვლად. ასე მიმართავს წმ. მღვდელმთავარი რომის პაპს:

"ღმერთს, რომელიც სიყვარულია, არ სურს სრულიად წაგვართვას სიყვარულის კავშირები!.. ამგვარად, წმინდა მამაო, მიიღე შენი შვილები, რომლებიც შორეული აღმოსავლეთიდან მოგეახლებიან: გულში ჩაიკარი ისინი, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე განხეთქილებაში არიან, განკურნე აფორიაქებულნი. ბრძანე აღმოიფხვრას ჩვენგან დაბრკოლების ყოველი ეკალი და მიზეზი, რომელიც მშვიდობის საქმეს ემუქრება... ჩვენ, ერთი და იმავე ქრისტეს და რწმენის მაღიარებლები, როდემდე უნდა ვგესლავდეთ და ვგლეჯდეთ ერთმანეთს?! განა მანამდე უნდა ვჯიჯგნოთ და ვჭამოთ ერთი და იგივე სამების თაყვანისმცემლებმა ერთმანეთი, ვიდრე ერთურთს სრულიად არ გავანადგურებთ?!"

ყველაფერში სიყვარული

ჩვენ ვერ გავკადნიერდებით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ემს-ში დაბრუნება მოვუწოდოთ, მაგრამ ვიზიარებთ მსოფლიო, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, დამოკიდებულებას ეკუმენური ორგანიზაციებისადმი. ჩვენ არც ვატიკანთან ხელშეკრულების დადებისკენ მოვუწოდებთ საქართველოს სახელმწიფოს, მაგრამ გადაჭრით ვეწინააღმდეგებით არაჯანსაღ, ღვარძლიან, მტრულ დამოკიდებულებას იმ ეკლესიის მიმართ, რომელიც ათი საუკუნის მანძილზე, ეკლესიის გაყოფამდე, ხშირ შემთხვევაში ეკლესიის ჭეშმარიტი სწავლების უპირველეს გარანტად ევლინებოდა აღმოსავლეთის ქრისტიანებს. ჩვენ არ მივიჩნევთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია განურჩეველი უნდა იყოს უცხო აღმსარებლობათა მიმართ, მაგრამ აუცილებლობად ვთვლით ადამიანის რელიგიური, ღვთის მიერ ბოძებული თავისუფლების უპირობო დაცვას, რაც პირველ რიგში რწმენის, სინდისის, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას გულისხმობს. ამასთანავე ჩვენ, მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერმა შვილებმა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების, დისკრიმინაციის, ქსენოფობიის დრო სამუდამოდ ჩაბარდეს წარსულს. სახარების თანახმად, ქრისტიანებს მტრობის უფლება არა გვაქვს, ჩვენ მხოლოდ მტრისა და მოყვასის განურჩეველი სიყვარულის უფლება გვეძლევა ჯვარცმული მაცხოვრისაგან.

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲔᲑᲘ:
ბექა მინდიაშვილი
ზურაბ ჯაში
ევგენი მიქელაძე
ზაალ ჯუღელი
კობა სუბელიანი
მირიან გამრეკელაშვილი
მიხეილ რობაქიძე
გელა ჟვანია
გიორგი ლომიძე
ირაკლი ცხადაძე
ერეკლე თურქაძე
დიმიტრი გამრეკელაშვილი
კახაბერ მაჩაიძე
რომან ლაშხია
კახაბერ აბაშიძე

ფრედ ვუდროფის მკვლელი ჯერაც არ არის დაკავებული

პირველი გვერდიდან

დააკავეს აფხაზეთის ომიდან რამდენიმე დღის წინათ დაბრუნებული გვარდიელი ანზორ შარმაიძე და მისი ორი მეგობარი – ჩულურეთის პოლიციის თანამშრომელი გენადი ბერბიჭაშვილი და გელა ბედოიძე. გენადი ბერბიჭაშვილს "აკს"-ის სისტემის ავტომატი ეკავა ხელში.

მოგვიანებით ანზორ შარმაიძემ გამომძიებლებს განუცხადა, რომ საგუშაგოსთან მდგარ ვაგონში მისულმა პირებმა ის და მისი მეგობრები ცემა-ტყეპით ჩასვეს მანქანაში. თუმცა, პირველ ახსნა-განმარტებაში, რომელიც მას საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თბილისის განყოფილებაში ჩამოართვეს, შარმაიძეს ფიზიკურ ზეწოლაზე არაფერი უთქვამს.

მკვლელობის მეორე დღეს, 9 აგვისტოს, გამომძიებელ თემურ მეტრეველისთვის ნატახტრის საგუშაგოსთან დაკავებული სამი მეგობრის მიერ ჩაბარებული ახსნა-განმარტებები, რომლებიც მათ ცალ-ცალკე ოთახებში დაანერინეს და რომლებშიც მათი 8 აგვისტოს თავგადასავალია მოთხრობილი, თითქმის ფოტოგრაფიული ნიუსტენი ემთხვევა ერთმანეთს. დაკავებულებმა თავდაპირველად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მისცეს გამოძიებას ერთი და იმავე შინაარსის ჩვენებები და, ფაქტობრივად, ვუდროფის მკვლელობასთან ყოველგვარი კავშირი უარყვეს. თუმცა მას შემდეგ, რაც მათ თბილისის მილიციის სამმართველოს საკანში რამდენიმე დღე გაატარეს, სხვაგვარად ალაპარაკდნენ.

დაკავებიდან ოთხი დღის შემდეგ, 14 აგვისტოს, "კაპეზენი" პირველად დაიკითხა მკვლელობაში ეჭვმიტანილი ჩულურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომელი გენადი ბერბიჭაშვილი, რომელმაც პირველი აღიარებითი ჩვენება მისცა. მან თქვა, რომ ანზორ შარმაიძემ თბილისისკენ მოძრავი თეთრი "ნივის" მიმართულებით ისროლა. მის ჩვენებას დაეთანხმა გელა ბედოიძეც. უკვე 18 აგვისტოს "საქმის გამხსნელებს" - გენადი ბერბიჭაშვილს და გელა ბედოიძეს - განზრახ მკვლელობის ბრალდება მოუხსნეს და ახალი წაუყენეს – დამნაშავისა და დანაშაულის დაფარვაში დაადანაშაულეს.

20 აგვისტოს კი გამომძიებელმა ოთარ ჯაფარიძემ ანზორ შარმაიძეს ბრალდება წაუყენა - ფრედ ვუდროფის განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა და როგორც ბრალდებული, ისე დაკითხა. ეს კი უკვე იმას ნიშნავდა, რომ ვაშინგტონელი ოფიცრის მკვლელობის რეზონანსული საქმე მკვლელობიდან 2 კვირის თავზე გახსნილი იყო. მოგვიანებით, სასამართლო პროცესზე, ანზორ შარმაიძემ ჩვენებები უარყო. **"პირზე აირწინაღი გამიკეთეს, რკინის მილი მკლავებს შორის გამიყარეს, ხელებზე ბორკილები დამადეს, ჩამომკიდეს და დამიწყეს ზურგსა და ფეხის გულებზე ცემა..."** – განაცხადა ანზორ შარმაიძემ. მისი თქმით, წამების შემდეგ მას უთხრეს - შენმა მეგობრებმა ყველაფერი აღიარეს, დუმილს აზრი არ აქვს, სხვა გზა აღარ დაგრჩენია, მკვლელობა შენს თავზე უნდა აიღოო. **"წამების მომდევნო დღეს გენადი ბერბიჭაშვილი დაგიპირისპირეს. სჯობს თქვა, რომ მანქანას ესროლე, ახლა ასეა საჭირო - მითხრა ბერბიჭაშვლმა,"** – უამბო სასამართლო კოლეგიას განსასჯელმა.

დაპირისპირების დეტალები მკვლელობაში ბრალდებულმა სასამართლო პროცესზე მეორე მეგობარს გელა ბედოიძესაც შეახსენა: **"დაპირისპირებისას ბედოიძემ მკითხა, თავს რატომ იღუპავ? მკვლელობას რატომ იღებ შენს თავზე?"** - ეს სიტყვები სასამართლოზე ბედოიძემაც დაადასტურა, თუმცა ჩვენება არ შეუცვლია.

სასამართლოზე განსასჯელის მიერ მკვლელობის უარყოფას დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. ანზორ შარმაიძემ საკუთარ თავს ვერ უშველა. 1994 წლის 30 იანვარს უზენაესმა სასამართლომ საქართველოში აშშ-ს საელჩოს პოლიტიკური განყოფილების რეგიონული ურთიერთობის სექტორის თანამშრომლის ფრედ ვუდროფის განზრახ მკვლელობაში ბალდებულ ანზორ შარმაიძეს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ამ დროისთვის თბილიდან უკვე წასული იყო FBI-ის სპეცჯგუფი, რომელიც 1993 წლის 11 აგვისტოს თბილისის აეროპორტში დაჯდა და რომელსაც აშშ-ს ხელისუფლების ბრძანება უნდა შეესრულებინა - ცრუ-ს წამყვანი კადრის მკვლელობის საქმე გამოეძიებინა. FBI-ის სპეციალისტებმა საქართველოში ორიოდ კვირა დაჰყვეს, საჭირო მასალები მოაგროვეს და ისე დატოვეს თბილისი, რომ შესრულებული საქმის შედეგებზე კრინტიც არ დაუძრავთ. ვუდროფის მკვლელობის საქმეს FBI-ში გრიფი "SECRET" წლების მანძილზე ედო. იმას, რაც ქართველმა სამართალდამცველებმა ფრედ ვუდროფის მკვლელობიდან რამდენიმე საათში გააკეთეს, FBI-ში წლები დასჭირდა.

საქართველოში ფრედ ვუდროფის მკვლელობის შესახებ სხვადასხვა ვერსიები გავრცელდა. საბოლოოდ დარჩა ორი ძირითადი ვერსია, რომლის შესახებაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას არც უმსჯელია.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ფრედ ვუდროფი სნაიპერმა მოკლა, მკვლელობა პრორუსულმა ძალებმა დაგეგმეს და განახორციელეს კიდეც საქართველო-ამერიკის შორის ურთიერთთანამშრომლობის ჩასაშლელად. მეორე ვერსიის თანახმად, ვუდროფი ნარკომაფიის მსხვერპლი გახდა. სხვათა შორის, ამ ორი ვერსიას ერთი საფუძველი ჰქონდა და დიდ პოლიტიკას ეყრდნობოდა.

საქმე ისაა, რომ ფრედ ვუდროფუს საქართველოში ჩამოსვლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი საერთაშორისო ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. სწორედ ის კურირებდა პროექტს, რომლის განხორციელებასაც აშშ საქართველოში გეგმავდა. საუბარია შავი ზღვის აუზის ქვეყნების მიერ საერთაშორისო ნარკოინფორმაციების გაცვლითი ცენტრის შექმნაზე, რომლის ოფისიც თბილისში უნდა ყოფილიყო. დაგეგმილი იყო საქართველოში ცენტრის დამფუძნებელი პირველი კონფერენციის ჩატარებაც. თუმცა მას შემდეგ, რაც ვუდროფი დაიღუპა, ცენტრის ამოქმედების საკითხი ჯერ ეჭვქვეშ დადგა და ბოლოს საერთოდ დაიხურა. სანამ ეს დეტალური ინფორმაცია ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას მიაწოდა. სწორედ ამ პერიოდში ევროსაბჭოში ესპანეთის წარმომადგენელმა თანამემამულეთა გატაცების გამო, საქართველოს მკაცრი სანქციებით დასჯის საკითხიც დააყენა, **"საქართველოს სპეცსამსახურები ადამიანით ვაჭრობენ,"** – განაცხადა მან და საქართველოს მთავრობას გატაცებულების გათავისუფლება ევროსაბჭოს ტრიბუნიდან კატეგორიულად მოსთხოვა. ესპანელ ბიზნესმენთა გატაცების გამო ატეხილი საერთაშორისო სკანდალი იმით დასრულდა, რომ ესპანეთის შს მინისტრი მის ქართველ კოლეგას ჯერ ტელეფონით ესაუბრა, შემდეგ კი, ესპანეთის პრემიერ-მინისტრის დავალებით, არაოფიციალური ვიზიტით საქართველოში ჩამოვიდა და კოლეგების გარდა, ქვეყნის პრეზიდენტსაც შეხვდა. ორი ქვეყნის მთავრობებს შორის გამართული კულუარული საუბრები იმით დასრულდა, რომ შევარდნაძემ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელები თავისთან დაიბარა და მძევალთა სასწრაფო გათავისუფლების ბრძანება გასცა. მალე ესპანელი ბიზნესმენები, რომელთა გათავისუფლებაც 300 ათასი დოლარი დაჯდა და რომლებიც შოთა ჭიჭიაშვილსა და მის მფარველ მაღალჩინოსანს შორის მომხდარი გაუგებრობის მსხვერპლნი გახდნენ (საქმე ისაა, რომ შემკვეთმა მაღალჩინოსანმა ჭიჭიაშვილს გადახდილი თანხა დაუმალა), ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

"ყველაფერს მოგიყვებით და დასკვნა თქვენ გააკეთეთ. საქმე ისაა, რომ კობიაშვილს საქართველოში ჩამოყვანილი ჰყავდა ვიღაც ესპანელი, ის, ვისაც ყოფილი მძევლები ასახელებენ - ალექსა. კობიაშვილმა იგი ჩემთან მოიყვანა და გამაცნო. მე მაშინ ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი ვიყავი და ეტყობა, აჩვენა, გენერალს ვიცნობო. ამ პიროვნებას საქართველოში ბიზნესის დაწყება უნდოდა. მოკლედ, კარგი ურთიერთობა გვქონდა, სხვა არაფერი.

რაც შეეხება ესპანელების გატაცებასთან ჩემს დაკავშირებას, ეს ყველაფერი ისეთი სისულელეა, რომ ამაზე კომენტარის გაკეთება არ მინდა. მაბრალებდნენ იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობასაც, კიდევ კარგი "ეტა"-ს დაჯგუფების წევრად რომ არ მომნათლეს. რაც შეეხება ამ ესპანელების ჩვენებას, იცით, კომენტარის გაკეთების სურვილი არც ახლა მაქვს. როგორ შეიძლებოდა, რომ მე ასეთი საქმის ორგანიზატორი ვყოფილიყავი. ამაზე დიდი სისულელე არ შეიძლება ვინმემ თქვას. მე ვიყავი კენჭაძე და დავრჩები კენჭაძედ, დიდი პიროვნებების ბედი ასეთია," - თავის დროზე "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა ლევან კენჭაძემ, რომელმაც დაადასტურა, რომ პანკისელი კრიმინალის ჯგუფი **"სხვადასხვა სტრუქტურების მოქმედი თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული. ჭიჭიაშვილი სწორედ მათი მფარველობით მოძრაობდა თავისუფლად, ჭიჭიაშვილის ჯგუფი მათგან იღებდა შეკვეთებს და ასრულებდა კიდეც. ეს ადამიანები დღესაც საკმაოდ დიდ თანამდებობს ფლობენ,"** – განაცხადა ლევან კენჭაძემ, თუმცა, ჭიჭიაშვილის მფარველთა დასახელებისგან თავი შეიკავა.

ესპანელ ბიზნესმენთა გატაცების შემსრულებელმა, მოსკოვში დაკავებულმა და რამდენიმე თვის წინ თბილისში ექსტრადირებულმა შოთა ჭიჭიაშვილმა შემკვეთის – ესპანელთა მიერ დასახელებული გენერლის, ლევან კენჭაძის სახელი, არ დაასახელა. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, მან სამართალდამცველებისთვის მიცემული პირობა - რომ ეჭვმიტანილი გენერლის დაკავებამდე დუმილის უფლებას გამოიყენებდა - პირნათლად შეასრულა. გამომიებასა და ცნობილ კრიმინალს შორის დადებული გარიგება იმას ემსახურებოდა, რომ საქმეში ეჭვმიტანილ ყოფილ მაღალჩინოსანთა დაფრთხობა და საქართველოდან გაქცევა არ მომხდარიყო. ჩვენი ინფორმაციით, გენერალური პროკურატურა ლევან კენჭაძის გარდა, ყველა იმ მაღალჩინოსანთა პასუხისგებაში მიცემას გეგმავს, რომლებიც თავიანთ თანამდებობრივ გავლენას ქვეყნის "უკონტროლო ზონად" ქცევისა და დანაშაულებრივი საქმიანობისთვის იყენებდნენ. სამართალდამცველებს მათ დასაკავებლად ყველა საჭირო მტკიცებულება მოეპოვებათ. ვინ გაჰყვება ლევან კენჭაძის კვალს, ამის ვარაუდი ძნელი არ უნდა იყოს.

გენადი ბერბიჭაშვილი, ანზორ შარმაიძე და გელა ბედოიძე.

ლური დირექტორი ჯეიმს ვულსი. მან ფაქტობრივად დაადასტურა კონგრესმენის განცხადება და ვუდროფის მკვლელობის, ოლდრიჯ ეიმისა და ნარკომაფიის საეჭვო კავშირზე ვარაუდიც გამოთქვა.

"ვუდროფის მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე ეიმსი საქართველოში იმყოფებოდა. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, შევარდნაძე ვალდებულია და უნდა დაეხმაროს კლინტონის ადმინისტრაციას, რათა დადგინდეს ნებისმიერი კავშირი ეიმსის თბილისში ვიზიტსა და ვოდროფის მკვლელობას შორის. თუ მისტერ ეიმსმა "კგბ"-ს მხარი დაუჭირა და გაყიდა ამერიკის მიერ ნარკომაფიის წინააღმდეგ დაწყებული ომი, კლინტონის ადმინისტრაცია და დასავლეთი ძალიან ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდება," – ასეთი იყო ცსს-ს გენერალური დირექტორის განაცხადი.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ვუდროფის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში საქართველო ამერიკის მიერ ნარკომაფიის წინააღმდეგ დაწყებულ საერთაშორისო ომში მართლაც სერიოზულად ჩაება. სენატორ ჯესი ჰელმსსა და ცსს-ს მაშინდელ თავკაცს ჯეიმს ვულსს, როცა ამერიკის მიერ ნარკომფიის წინააღმდეგ დაწყებული ომზე საუბრობდნენ, ალბათ, მხედველობაში ჰქონდათ ცნობილი ნარკომაფიოზის - რეიჰანის საქმე. საქმე ისაა, რომ ცსს-მ ირანელი ნარკომაფიოზი რეიჰანი საერთაშორისო ძებნილად გამოაცხადა. მის საქმეში ჩაბმული იყვნენ შავი ზღვის აუზის ქვეყნები, მათ შორის - საქართველოც. არსებობდა ინფორმაცია, რომ რეიჰანი თავის შავ ბიზნესს აწარმოებდა თითქმის მთელ მსოფლიოში, მაგრამ განსაკუთრებით აქტიურად - ბაქოში, ბულგარეთში, რუმინეთსა და საქართველოში. რეიჰანი საქართველოზე გამავალი ნარკოარხის გაჭრას გეგმავდა და მოახერხა კიდეც. მან შეძლო საქართველოს ხელისუფლების მაშინდელ წარმომადგენელთან კონტაქტზე გასვლა. სწორედ ამ კონტაქტების საშუალებით საქართველოზე გაიარა რამდენიმე მილიონის ჰეროინმა. სხვათა შორის, ფრედ ვუდროფის მიერ ნარკომაფიის შესახებ მომზადებულ დასკვნაში, რომელიც მან ცსს-ს დირექტორატს გაუგზავნა, ზემოთ მოთხრობილი ფაქტების გარდა, საუბარი იყო იმ თანამდებობის პირებზეც, რომლებიც საქართველოში საერთაშორისო ნარკომაფიას მფარველობდნენ. ვუდროფმა ასევე გაშიფრა ნარკობიზნესში დასაქმებული რუსი გენერლებიც, უფრო ზუსტად, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების გენერალური შტაბის იმ მაღალჩინოსანთა ვინაობა, რომლებიც, საქართველოს თანამდებობის პირებთან ერთად, ამ შავ ბიზნესს მფარველობდნენ. ცსს-ს თბილისის ბიუროს არაფორმალური ხელმძღვანელის მიერ გაკეთებულ დასკვნაში დეტალურად იყო მოთხრობილი საერთაშორისო ნარკომაფიოზთა მილიონიანი ტვირთების – ჰეროინის – გადაადგილების მარშრუტებიც.

ავღანეთი-კასპიის ზღვა(ბაქო)-საქართველო, კახეთის რეგიონი(ლაგოდეხი)-აჭარა(სარფი);

არსებობდა მეორე მარშრუტიც:

ავღანეთი-კასპიის ზღვა(ირანი)-სომხეთი-ახალციხე-ფოთი.

ვუდროფის დასკვნის მიხედვით, ფოთიდან ნარკოტრაილერთა ნაწილი აფხაზეთში შედიოდა. ოღონდ, ცსს-ს სპეციალურმა აგენტმა ვეღარ შეძლო დადგენა, უკვე აფხაზეთიდან სად და როგორ ნაწილდებოდა ჰეროინი. თუმცა, ფაქტი იყო, რომ ფოთიდან ჰეროინი ევროპაში ვრცელდებოდა.

ფრედ ვუდროფის მიერ ჩატარებული ნარკომონიტორინგის მიხედვით, ნარკოკარტელთა ცენტრი განჯაში მოქმედებდა. ავღანეთიდან შემოსული დიდძალი ნარკოტიკი იქ იყრიდა თავს და მისი განაწილება განჯაში ხდებოდა.

საქართველოს სპეცსამსახურის თანამშრომლებმა, ფრედ ვუდროფთან ერთად, მსხვილი ოპერაციები ჩაატარეს და შედეგად ის მივიღეთ, რომ მართალია, რამდენიმე წლით, მაგრამ ჩაიკეტა დასახელებული ნარკოგამტარი არხები. სწორედ მაშინ ჩაიშალა ხსენებული რეიჰანის მილიონნახევარ დოლარიანი ნარკოოპერაცია - ათას ორასი კილო სინთეტიკური ნარკოტიკის საქართველოში შემოსვლის მცდელობა. სინთეტიკური ნარკოტიკი სკანდინავიურ კომპანიას დიდ ბრიტანეთში უნდა გაეტანა ქართული კომპანიის დახმარებით. ქართული კომპანიის სათავეებთან სწორედ ვუდროფის მიერ გაშიფრული საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები იდგნენ, რომელთაც მოგვიანებით, ვუდროფის სიკვდილის შემდეგ, მიაწოდეს უშიშროების სამსახურში არსებული საიდუმლო დაშიფრული ინფორმაცია. საქმე ისაა, რომ ფრედ ვუდროფის მიერ ნარკომაფიის წინააღმდეგ დაწერილი 3-გვერდიანი დასკვნა ვუდროფის მკვლელობისა და მასთან ერთად მომუშავე უშიშროების სამინისტროს თანამდებობის პირების სამინისტროდან წასვლის შემდეგ გაიშიფრა და მანამდე გასაიდუმლოებული ოპერაციები იმ ქართველი მაღალჩინოსნებისთვის გახდა ცნობილი, რომლებიც ნარკომაფიაში იყვნენ ჩაბმულები.

ფრედ ვუდროფმა საქართველოში თავისი მისია აშშ-ს მიერ ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ფრიადზე შეასრულა და მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე უკვე ცნობილი იყო, რომ ის საქართველოდან წასვლას - სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა. მეტიც, საქართველოში ჩატარებული წარმატებული ოპერაციებისთვის ფრედ ვუდროფს ცსს-ში დანინაურება ელოდა.

1995 წლის მარტში FBI-მ შექმნა სქელტანიანი დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ვუდროფის მკვლელობის ირგვლივ წარმოებული გამოძიების შედეგები. FBI-ს მიერ "24 საათისთვის" გამოგზავნილ გამოძიების მასალებში, რომლის ყველა ფურცელს აზის შტამპი - "SECRET" და რომელზეც მითითებულია, რომ მისი გავრცელება FBI-ს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე დაუშვებელია, წერია, რომ FBI სადაზვერვო სამმართველოს აგენტის მკვლელობაში რუსულ კვალს ეძებს.

ამავე დოკუმენტში შეხვდებით ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ FBI-მ კონსულტაცია აიღო აშშ-ს სპეცდანიშნულების რაზმის წევრებისგან. კონსულტაციის მიზანი იყო, გაერკვიათ, შესაძლო იყო თუ არა მოძრავ მანქანაში მჯდომი ფრედ ვუდროფი მიზანში ადვილად ამოეღოთ. აქვეა მოყვანილი პასუხი იმ პირებისა, **"რომლებსაც გავლილი აქვთ წვრთნა სნაიპერობაზე. მათ თქვეს, რომ თუ სამიზნე ზის 10-20 მეტრით დაშორებულ მოძრავ მანქანაში და მანქანა ოდნავ შეანელებს სვლას, ის მიზანში ადვილად ამოსაღებია."**

ამ ეპიზოდიდან შესანიშნავად ჩანს, რომ ქართველი გამომძიებლების მიერ უგულებელყოფილ ვერსიას იმის შესახებ, რომ ფრედ ვუდროფი სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა, ამერიკელები სერიოზულად ამუშავებდნენ.

თუმცა, საქართველოს გენერალურ პროკურატურას არც ერთ დასახელებულ ვერსიაზე არ უმუშავიია, რაგდან **"ვერსიები იმ დროისთვის არც გვქონდა. ისეთი ნათელი იყო ყველაფერი, რომ სხვა ვერსიების ძიება არც გვიცდია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარისას ფრედ ვუდროფის საქმის გამოძიების კურატორმა, იმ დროს საქართველოს გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ვახტანგ გვარამიამ.

წლების მანძილზე არც აღარავინ დაინტერესებულა, სამართლიანად იხდიდა თუ არა სასჯელს ვუდროფის მკვლელობისთვის გასამართლებული ანზორ შარმაიძე; თუმცა 11 წლის შემდეგ ანზორ შარმაიძე გაიხსენეს. ფრედ ვუდროფის დის, ჯორჯია ვუდროფის მიერ აყვანილი ადვოკატი მაიკლ ფულარა, რომელიც 11 წელია ამ საქმეს დამოუკიდებლად იკვლევს, ბოლო 4 თვის მანძილზე საქართველოში სამჯერ ჩამოვიდა. მისი მესამე ვიზიტი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეტანილი სარჩელით დასრულდა. 11 წლის მანძილზე ამერიკელმა ადვოკატმა უსერიოზულესი მტკიცებულებები მოიპოვა და იგი მათ მოკვლევას ახლა საქართველოს გენერალურ პროკურატურას სთხოვს.

(ინტერვიუს მაიკლ ფულარასთან ამავე ნომერში, B1 გვერდზე გთავაზ-

უშიშროების გენერლის კვალს მისი ყოფილი კოლეგებიც გაჰყვებიან

პირველი გვერდიდან

საუბარია, 2000 წლის 30 ნოემბერს თბილისში, აეროპორტის გზატკეცილიდან გატაცებული ორი ესპანელი ბიზნესმენის - ხოსე ანტონიო ტრიმინონ გომესისა და ფრანცისკო როდრიგეს კაბალას საქმეზე. წელიწადნახევრიანი ტყვეობიდან დახსნილმა ბიზნესმენებმა, რომლებმაც საქართველო დაუყოვნებლივ დატოვეს, მადრიდში, ესპანეთის უშიშროებისა და შს მინისტრებს, დანაშაულთა სპეციალური დეპარტამენტისა და სხვა შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებს დეტალური ჩვენება მისცეს. ჩვენების მიცემის პროცედურა 19 საათის მანძილზე მიმდინარეობდა.

ესპანელ ბიზნესმენთა გატაცების თაობაზე მოკვლეული მასალები და ხოსე ანტონიო ტრიმინონ გომესისა და ფრანცისკო როდრიგეს კაბალას ვრცელი ჩვენებები "24 საათმა" წელიწადნახევრის წინ გამოაქვეყნა, ფრაგმენტებს ამ ჩვენებებიდან ახლა განმეორებით შემოგთავაზებთ.

"პანკისი სხვა ქვეყანაა, რომელსაც არ ჰყავს არც პრეზიდენტი და არც სხვა მმართველი. პანკისში არიან მუსულმანები, ქართველი ბანდიტები, აზერბაიჯანელები, ქისტები, ჩეჩნები და სხვები. იქ, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, ნარკოტიკებს ამზადებდნენ, ძირითადად - ჰეროინს, რომელსაც ასაღებდნენ რუსებზე, ინგუშეთში იარაღზე ცვლიდნენ...

დანამდვილებით ვიცით, რომ პანკისის ხეობაში კარგად ორგანიზებული მაფია მოქმედებს. ჩვენი გამტაცებლები ამ ორგანიზაციის რიგიდან წევრები იყვნენ. "კაპიტანი" - შოთა ჭიჭიაშვილი, რომელიც მეთვალყურეობას გვიწევდა, გვეუბნებოდა, რომ გატაცების ორგანიზატორები ლევან კენჭაძე და ალექსა იყვნენ. ჩვენ საქართველოში ჩვენება არ მიგვიცია. პოლიციის და, მთლიანად, საქართველოს მთავრობის შიშით ვერაფერი განვაცხადეთ.

სულიკო (ის ლევან კენჭაძის ჯგუფელი და მეგობარი გახლდათ - რედ.) იყო თბილისის პოლიციის უფროსი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვიცოდით. შემდეგ გავიგე ისიც, რომ გენერალი ლევანი, რომელსაც კარგად ვიცნობდი, იგივე ლევან კენჭაძე, სულიკოს შვილის, გიორგის ნათლია ყოფილა. "კაპიტანი" მეუბნებოდა, რომ ჩვენ შესახებ ინფორმაცია ვიღაც ესპანელმა ბიზნესმენმა მიაწოდა გენერალ ლევანს და ეს ყველაფერი სწორედ მან მოაწყო," - განაცხადეს ტყვედყოფილმა ესპანელებმა. ძვირფასი ქვების, ანტიკვარული ნივთებისა და ხე-ტყის ბიზნესისთვის საქართველოში ჩამოსულმა ესპანელებმა განაცხადეს, რომ მათ ბიზნესს ლევან კენჭაძე მფარველობდა, სულიკო კობიაშვილი და ესპანელი ბიზნესმენი, ვინმე ალექსა კი შუამავლები იყვნენ.

ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესი და ფრანცისკო როდრიგეს კაბალა უშიშროების ყოფილი მინისტრის ვალერი ხაბურძანიას მოწვევით გასულ ზაფხულს საქართველოში ჩამოვიდნენ და, ამჯერად საქართველოს უშიშროების მინისტრის თანდასწრებით, ქართველ გამომძიებლებს ჩააბარეს დეტალური ჩვენება. დაზარალებულებმა "ამოცნობის პროცედურაშიც" მიიღეს მონაწილეობა. ქართველი სამართალდამცველების მიერ ნაჩვენებ ფოტოებზე ამოიცნეს ადამიანები, რომლებიც მათ გატაცებაში მონაწილეობდნენ. კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების გარდა, ესპანელმა ბიზნესმენებმა "ხელი დაადეს" ყოფილ ქართველ მაღალჩინოსნებსაც. ამოსაცნობ ფოტოთა შორის ლევან კენჭაძის ფოტოც გახლდათ.

უცხოელ ბიზნესმენთა გატაცების თაობაზე საქმე თავდაპირველად საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღიძრა. გამოძიებისთვის თავიდანვე იყო ცნობილი, რომ ტრიმინო გომესი და ფრანცისკო კაბალა პანკისისხეობელი კრიმინალის - შოთა ჭიჭიაშვილის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. პროკურატურისთვის ცნობილი იყო ისიც, რომ ამ გატაცებას, და საერთოდ, ჭიჭიაშვილის ბანდას, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მაღალჩინოსნები უწევდნენ ორგანიზატორობას. ამის შესახებ ინფორმაციას ფლობდა პრეზიდენტი შევარდნაძეც. საქმე ისაა, რომ დატყვევებულთა ახლობლებმა დახმარებისათვის ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართეს. ესპანეთის შს მინისტრმა მომხდარის შესახებ ევროსაბჭოში ესპანეთის წარმომადგენელმა თანამემამულეთა გატაცების გამო, საქართველოს მკაცრი სანქციებით დასჯის საკითხიც დააყენა, **"საქართველოს სპეცსამსახურები ადამიანით ვაჭრობენ,"** – განაცხადა მან და საქართველოს მთავრობას გატაცებულების გათავისუფლება ევროსაბჭოს ტრიბუნიდან კატეგორიულად მოსთხოვა. ესპანელ ბიზნესმენთა გატაცების გამო ატეხილი საერთაშორისო სკანდალი იმით დასრულდა, რომ ესპანეთის შს მინისტრი მის ქართველ კოლეგას ჯერ ტელეფონით ესაუბრა, შემდეგ კი, ესპანეთის პრემიერ-მინისტრის დავალებით, არაოფიციალური ვიზიტით საქართველოში ჩამოვიდა და კოლეგების გარდა, ქვეყნის პრეზიდენტსაც შეხვდა. ორი ქვეყნის მთავრობებს შორის გამართული კულუარული საუბრები იმით დასრულდა, რომ შევარდნაძემ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელები თავისთან დაიბარა და მძევალთა სასწრაფო გათავისუფლების ბრძანება გასცა. მალე ესპანელი ბიზნესმენები, რომელთა გათავისუფლებაც 300 ათასი დოლარი დაჯდა და რომლებიც შოთა ჭიჭიაშვილსა და მის მფარველ მაღალჩინოსანს შორის მომხდარი გაუგებრობის მსხვერპლნი გახდნენ (საქმე ისაა, რომ შემკვეთმა მაღალჩინოსანმა ჭიჭიაშვილს გადახდილი თანხა დაუმალა), ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

"ყველაფერს მოგიყვებით და დასკვნა თქვენ გააკეთეთ. საქმე ისაა, რომ კობიაშვილს საქართველოში ჩამოყვანილი ჰყავდა ვიღაც ესპანელი, ის, ვისაც ყოფილი მძევლები ასახელებენ - ალექსა. კობიაშვილმა იგი ჩემთან მოიყვანა და გამაცნო. მე მაშინ ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი ვიყავი და ეტყობა, აჩვენა, გენერალს ვიცნობო. ამ პიროვნებას საქართველოში ბიზნესის დაწყება უნდოდა. მოკლედ, კარგი ურთიერთობა გვქონდა, სხვა არაფერი.

რაც შეეხება ესპანელების გატაცებასთან ჩემს დაკავშირებას, ეს ყველაფერი ისეთი სისულელეა, რომ ამაზე კომენტარის გაკეთება არ მინდა. მაბრალებდნენ იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობასაც, კიდევ კარგი "ეტა"-ს

ყოფილი დეპუტატი ჩვენებას იძლევა

გუშინ, ვეკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში საკუთარი სურვილით გამოცხადდა წინა მოწვევის პარლამენტის წევრი, ფრაქცია "თავისუფლების" წარმომადგენელი თამაზ გელაშვილი. ორსაათიან საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის შემდეგ, ყოფილმა დეპუტატმა პროკურატურა თავისუფალმა დატოვა.

"თამაზ გელაშვილი გამოძიებასთან თანამშრომლობს, მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება", - ასეთი კომენტარი გააკეთა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა გელაშვილის დაკითხვის შემდეგ.

საქმე ეხება სამი თვის წინანდელ ინციდენტს, როდესაც თამაზ გელაშვილმა თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ზურგში მძიმედ დაჭრილი საკუთარი მძღოლი მიიყვანა. პარლამენტარის მძღოლს სასწრაფო უმძიმესი ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა, რამდენიმესაათიანი ქირურგიული ჩარევის მიუხედავად, ექიმებმა მისი გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს. მომხდარ ფაქტზე მაშინვე აღირა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა, მაშინ სამართალდამცველები ვერაფერს ამბობდნენ იმის გამო, რომ გელაშვილი დეპუტატობის იმუნიტეტით სარგებლობდა. შესაბამისად, პარლამენტართან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაც პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

გავრცელებული ინფორმაციით, თამაზ გელაშვილმა მძღოლი თავად დაჭრა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცობილი, მას შემდეგ, რაც გელაშვილმა მძიმედ დაჭრილი მძღოლი საავადმყოფოში გადაიყვანა და ექიმებს სასწრაფოდ დახმარება სთხოვა, განუცხადებია: ჩემი ავტომანქანის გარშემო უცხო პიროვნება საეჭვოდ მოძრაობდა, ინსტინქტურად იარაღი ამოვიღე, საიდანაც მოულოდნელად ტყვია გავარდაო.

რა მოხდა სინამდვილეში და მართლაც შემთხვევითობის მსხვერპლი გახდა თუ არა დეპუტატის მძღოლი დემურ ლომიძე, ამას გამოძიება დაადგენს. გელაშვილთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, ამჯერად, დეპუტატობის იმუნიტეტთან დაკავშირებულ პრობლემებზე აღარ არის დამოკიდებული.

24 საათი

მოკლედ

საშიში დამნაშავე ლიკვიდირებულია

გუშინ წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს გულუას სპეცრაზმისა და იმერეთის სამხარეო პოლიციის დანაყოფის მიერ ჩატარებული სპეცოპარაციის დროს, ლიკვიდირებული იქნა კახა ბუცხრიკიძე. სამართალდამცავების განმარტებით, ის საშიში დამნაშავე გახლდათ და 5 მარტს თერჯოლა-ქუთაისის გზატკეცილზე ჩადენილ ყაჩაღობასა და სამი პოლიციელის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი.

**"შესაბამისი ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებაზე ჩვენი თანამშრომლები თვენახევარი მუშაობდნენ, რასაც მოჰყვა წარმატებული ოპერაცია. ჩვენ მიერ ლიკვიდირებული იქნა განსაკუთრებით საშიში დამნაშავე კახა ბუცრიკიძე, რომელიც მონაწილე იყო ყაჩაღობასა და კახათის დასახლებაში მომხდარ პოლიციელების მკვლელობაში. ამ ოპერაციის დროს ბუცხრიკიძის მიერ იყო მცდელობა წინააღმდეგობის გაწევისა. მაგრამ იგი სწორედ ამ დროს იქნა ლიკვიდირებული. გვქონდა ინფორმაცია, რომ ბუცხრიკიძე დანებებას არ აპირებდა. მივმართავ ყველა დამნაშავეს, რომელიც დათარეშობს არა მარტო იმერეთის ტერიტორიაზე. მათ მიმართ გამოცხადებ

წვევამდელთა უფლებები

26 აპრილს საქართველოში საგაზაფხულო გაწვევა დაიწყო. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, გაწვევა 30 ივლისამდე გაგრძელდება. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვევიან 18-დან 27 წლამდე ასაკის მამაკაცები.

ბოლო წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები ხშირად არღვევდნენ წვევამდელთა უფლებებს. არაერთხელ იყო შემთხვევა, როცა "ჯარში წაყვანის მიზნით," ახალგაზრდებს პირდაპირ ქუჩიდან, ბინიდან თუ სასწავლებლიდან ყოველგვარი საბუთისა თუ შემოწმების გარეშე იყვანდნენ. არ იცავდნენ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რის გამოც სახელმწიფო უამრავ პრობლემას აწყდებოდა. ხშირ შემთხვევაში კი, გაწვევა საერთოდაც ვარდებოდა.

თუ თქვენ 18-დან 27 წლამდე ასაკის ბრძანდებით და არ გაგივლიათ სამხედრო სავალდებულო სამსახური, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს ის, თუ რა უფლებებით სარგებლობთ თქვენ, როგორც წვევამდელი, რა შემთხვევაში ექვემდებარებით გაწვევას, შეგიძლიათ თუ არა გაწვევის გადავადება ანდა ალტერნატიული შრომითი სამსახურის არჩევა.

"წვევამდელი" არის 18-დან 27 წლამდე (15-დან 18 წლამდე წვევამდელი უნდა დადგეს პირველად სამხედრო აღრიცხვაზე) ასაკის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან გაწვევისაგან გადავადების კანონით გათვალისწინებული უფლება. უცხო ქვეყნის მოქალაქე სამხედრო სამსახურში შეიძლება გაწვეულ იქნეს საკუთარი სურვილითა და პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. გაწვევა ხორციელდება პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე წელიწადში ორჯერ გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ორგანიზებასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი **ცენტრალური გამწვევი კომისია**. მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას ანარმოებს რაიონის, ქალაქის (რაიონული დაყოფის გარეშე) ადგილობრივი მმართველობის ორგანო, ხოლო საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში გაწვევას – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ან შესაბამისი უწყება.

როგორ ხდება მოქალაქის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა იწყება და ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე. მას შემდეგ, რაც თქვენ მიწერილი ხართ შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილებას და შეგისრულდათ 18 წელი, გეგზავნებათ უწყება სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამწვევ კომისიაზე გამოსაცხადებლად. უწყების მიღების შემდეგ თქვენ ვალდებული ხართ გამოცხადდეთ უწყებაში მითითებულ დროსა და მისამართზე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1971 მუხლის თანახმად, სავალდებულო სამსახურში გამწვევ კომისიაზე საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაჯარიმდებით 1000 ლარის ოდენობით. ჯარიმის დადგენილ ვადაში არგადახდა კი გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღის ვადით.

დაჯარიმების შემდეგ, თქვენ კვლავ გეგზავნებათ იმავე სახის უწყება. აღნიშნულის უგულებელყოფის შემთხვევაში კი, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილება აღნიშნულ ფაქტზე ჩაატარებს მოკვლევას და მომზადებულ სათანადო მასალებს გადაუგზავნის შესაბამისი რაიონის პროკურატურას. პროკურატურა, თავის მხრივ, ვალდებულია 20 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება თქვენ მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არაღძვრის შესახებ.

თქვენ მიერ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება, ჩადენილი ამგვარი ქმედებისთვის ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიებათა გამოყენების შემდეგ, ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით 3 წლამდე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე მუხლის პირველი პუნქტი).

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისთვის ადგილზე იქმნება გამწვევი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც იქმნება სამედიცინო კომისია. გამწვევი კომისიის მუშაობა პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ:

1. სამხედრო სამედიცინო კომისიის მიერ წვევამდელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება;
2. წვევამდელის პირადი საქმის შესწავლა.

თქვენ, სამხედრო გამწვევ კომისიაზე გამოცხადებისას, გადიხართ სამედიცინო შემოწმებას. სამედიცინო კომისია პირის შემოწმებისას ხელმძღვანელობს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის N360 ბრძანების დანართით, სადაც მოცემულია იმ დაავადებათა ნუსხა, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება წვევამდელის ვარგისიანობა ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

თქვენ უფლება გაქვთ, მოითხოვოთ აღნიშნული ბრძანების გაცნობა და თავად ნახოთ, მისი დაავადების მიხედვით ხომ არ ექვემდებარებით სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისგან გადავადებას ან გათავისუფლებას.

აღნიშნულ ბრძანებაში გათვალისწინებული დაავადებების შესაბამისად, გეძლევათ შემდეგი სახის დასკვნები:

- **ვარგისი ხართ სამხედრო სამსახურისთვის/სამხედრო სასწავლებელში სწავლებისათვის;**
- **ვარგისი ხართ სამხედრო სამსახურისთვის უმნიშვნელო შეზღუდვებით** (სამხედრო სამსახურში გაწვევისას დაგიდგინდებათ სამხედრო სამსახურისათვის განკუთვნის მაჩვენებელი);
- **შეზღუდულად ვარგისი ხართ სამხედრო სამსახურისთვის** (აღნიშნული კატეგორიის პირები მშვიდობიანობის დროს არ გაიწვევიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში და ირიცხებიან რეზერვში, ომიანობის პერიოდში კი გადიან სამხედრო სავალდებულო სამსახურს);
- **დროებით უვარგისი ხართ სამხედრო სამსახურისთვის** (წვევამდელებს სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს მოგეცემათ გადავადება სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან);
- **უვარგისი ხართ სამხედრო სამსახურისთვის** (თავისუფლდებით სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან).

სამედიცინო დასკვნას კომისია გადასცემს რაიონის გამწვევ კომისიას, რომელიც აღნიშნულ დასკვნასთან ერთად, ახორციელებს თქვენი პირადი საქმის შემოწმებას, რათა განსაზღვროს, ხომ არ ექვემდებარებით სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლებით გათვალისწინებულ გათავისუფლებას ან გადავადებას.

რა შემთხვევაში თავისუფლდებით სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან

1. სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან თავისუფლდებით, თუ:

- **ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად ხართ ცნობილი** (აღნიშნულ პუნქტში იგულისხმებიან პირები, რომლებიც საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის N360 ბრძანების დანართის შესაბამისად, ცნობილ იქნებიან უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის);
- **სამხედრო სამსახური სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალებში გაქვთ გავლილი** (თქვენ ვალდებული ხართ, გამწვევ ორგანოში წარადგინოთ სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული სამხედრო ბილეთი ან ზემოაღნიშნულის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი);
- **ნასამართლევი ხართ სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის** (აღნიშნულ პუნქტში იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები, ანუ მძიმეა ისეთი განზრახ დანაშაული, რომლის ჩადენისათვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას. აგრეთვე, გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით. განსაკუთრებით მძიმე კი ის განზრახ ჩადენილი დანაშაულია, რომლის ჩადენისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა; გაწვევას არ ექვემდებარება, ასევე, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ორჯერ ნასამართლევი პირი);
- **გადიხართ არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს** (აღნიშნული პუნქტი შეგეხებათ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გადიხართ ძარასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს);
- **ხართ ასპირანტი** (თქვენ ვალდებული ხართ, გამწვევ ორგანოში წარადგინოთ სასწავლებლის შესაბამისი განყოფილების (მაგ., ასპირანტურის განყოფილება) მიერ გაცემული ცნობა. მაძიებლები და მაგისტრატურის სტუდენტები აღნიშნული პუნქტის საფუძველზე არ თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურისგან);
- **მინიჭებული გაქვთ სამეცნიერო ხარისხი და ეწევით პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას** (თქვენ ვალდებული ხართ, გამწვევ ორგანოში წარადგინოთ სამეცნიერო საბჭოს მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს თქვენთვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას ან პედაგოგიური/სამეცნიერო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ., ცნობა სამუშაო ადგილიდან);
- **ხართ ერთადერთი ვაჟი ოჯახში, რომლის ერთი წევრი მაინც დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში ან სამხედრო სამსახურის გავლისას** (თქვენ ვალდებული ხართ, გამწვევ ორგანოში წარადგინოთ სამხედრო სამსახურის გავლისას ან ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში ოჯახის წევრის დაღუპვის დამადასტურებელი ცნობა; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან ცნობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ);

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, გაგათავისუფლოთ სამხედრო ვალდებულების მოხდისგან, თუ თქვენ განსაკუთრებული ნიჭით ხართ დაჯილდოებული (თქვენ ან დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს განცხადებით და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე (სიგელები, მედლები, ჯილდოები, სხვ.) მოითხოვოთ სამხედრო ვალდებულებისგან გათავისუფლება. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, 1 თვის ვადაში გამოსცეს აქტი თქვენი სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების ან უარის თქმის შესახებ. პრეზიდენტის უარი, როგორც ადმინისტრაციული აქტი, შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში).

რის საფუძველზე შეგიძლიათ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადება

1. სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაგივადდებათ, თუ:

- **ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისთვის დროებით უვარგისად ხართ ცნობილი – ვადით ერთ წლამდე** (აღნიშნულ პუნქტში იგულისხმებიან პირები, რომლებიც საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის N360 ბრძანების დანართის შესაბამისად ცნობილ იქნებიან დროებით უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის ან შეზღუდულად ვარგისიანად სამხედრო სამსახურისათვის, მშვიდობიანობის დროს);
- **თქვენ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – შესაბამისი ორგანოების მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე** (აღნიშნული პუნქტი შეგეხებათ იმ შემთხვევაში, თუ თქვენს წინააღმდეგ სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოტანილია დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ);
- **ხართ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის სტუდენტი და სამხედრო სწავლებას გადიხართ შესაბამის სამხედრო კათედრაზე – სასწავლებლის დამთავრებამდე** (აღნიშნული ქვეპუნქტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად საჭიროა, სწავლობდეთ უმაღლეს სასწავლებელში და ამავე დროს, გადიოდეთ სამხედრო სწავლებას მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის N629 ბრძანებულებითა და მასში შესული ცვლილებებით გათვალისწინებულ უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილ სამხედრო კათედრაზე);
- **გადაიხადეთ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებისთვის „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი** (აღნიშნული მოსაკრებლის ასამოქმედებლად შეგიძლიათ განცხადებით მიმართოთ გამწვევ კომისიას და კანონით გათვალისწინებული თანხა - ყოველი კალენდარული წლისთვის 200 ლარი, ხოლო მთლიანად სამხედრო სამსახურისთვის 2000 ლარი გადაიხადოთ ბანკში შესაბამის ანგარიშზე გადარიცხვით. **თანხის გადახდის უფლება გეძლევათ უწყების მიღებიდან მხოლოდ 10 დღის ვადაში**, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლებით სამხედრო სამსახურისგან თავისამრიდებლად).

გაფრთხილებთ: მოსაკრებლის გადახდა ხორციელდება ბანკში შესაბამის ანგარიშზე და არა სამხედრო განყოფილებაში. ბანკში თქვენ მიიღებთ თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უნდა წარადგინოთ სამხედრო განყოფილებაში.

- **ხართ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, დაწყებითი პროფესიული ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლე – 20 წლის ასაკამდე, თუ თქვენ სასწავლებელში ჩარიცხვამდე არ გქონდათ საშუალო განათლება** (აღნიშნულ პუნქტში იგულისხმებიან წვევამდელები, რომლებიც გამწვევ ორგანოში წარადგენენ ზემოაღნიშნული სასწავლებლის ხელმძღვანელის მიერ გაცემულ ცნობას. აღნიშნული პირები სამხედრო სამსახურისგან თავისუფლდებიან სასწავლებლის დამთავრებამდე არაუმეტეს 20 წლის ასაკისა);
- **პატრონობთ შრომისუუნარო, თქვენს კმაყოფაზე მყოფ ბებიას ან პაპას, თუ მას არ ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა** (თქვენ ვალდებული ხართ, გამწვევ ორგანოში წარადგინოთ ზემოაღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტაცია);
- **გყავთ ორი ან ორზე მეტი შვილი** (თქვენ ვალდებული ხართ, გამწვევ ორგანოში წარადგინოთ შვილების დაბადების მოწმობები);
- **თქვენს კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არ ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა** (თქვენ უფლებამოსილი ხართ, გამწვევ ორგანოში წარადგინოთ ზემოაღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტაცია);
- **თქვენს კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას, ჰყავს ცალკე ოჯახად მცხოვრები და, რომელსაც არ შეუძლია ოჯახის შრომისუუნარო წევრის მოვლა-პატრონობა** (თქვენ ვალდებული ხართ, გამწვევ ორგანოში წარადგინოთ ზემოაღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტაცია);
- **თქვენს კმაყოფაზეა არასრულწლოვანი ან/და ობოლი დაძმა** (თქვენ ვალდებული ხართ, გამწვევ ორგანოში წარადგინოთ მშობელთა გარდაცვალებისა და და-ძმის დაბადების მოწმობები, რომლითაც დადასტურდება, რომ და-ძმის ასაკი არ აღემატება 18 წელს);
- **ხართ მღვდელმსახური ან სწავლობთ სასულიერო სასწავლებელში** (თქვენ ვალდებული ხართ, წარადგინოთ სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა ან მღვდელმსახურობის დამადასტურებელი დოკუმენტი);
- **ხართ დედისერთა** (თქვენ ვალდებული ხართ, წარადგინოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან ცნობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ);
- **მუშაობთ სოფელში მასწავლებლად ან ექიმად** (თქვენ ვალდებული ხართ, გამწვევ ორგანოში წარადგინოთ ცნობა სამუშაო ადგილიდან);
- **გაწვევის გადავადების უფლება მინიჭებული გაქვთ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით** (პრეზიდენტი უფლებამოსილია, გადავადება მისცეს იმ წვევამდელს, რომელიც არ აკმაყოფილებს 29-ე და 30-ე მუხლებით გათვალისწინებულ გათავისუფლებისა თუ გადავადების პირობებს, მაგრამ მისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან გადავადების ან გათავისუფლების საკითხი პრეზიდენტმა საჭიროდ ჩათვალა. წვევამდელი ვალდებულია, ამ პუნქტის ასამოქმედებლად განცხადებით მიმართოს პრეზიდენტს და აუხსნას, თუ რატომ ითხოვს ის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისგან გადავადებას);
- **გყავთ ერთი შვილი – შვილის შეძენის დღიდან სამი წლის ვადით** (თქვენ ვალდებული ხართ, წარადგინოს შვილის დაბადების მოწმობა, რომლის თანახმადაც, თქვენს შვილს ჯერ არ შესრულებია 3 წელი).

2. თუ თქვენ გაწვევის დღისთვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებული ხართ, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაგივადდებათ არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე. საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში კი, თავისუფლდებით სამხედრო ვალდებულების მოხდისგან (აღნიშნულის დასადასტურებლად ვალდებული ხართ, გამწვევ ორგანოში წარადგინოთ ცნობა ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან).

სამხედრო სამსახურში გადავადების საფუძვლებს, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულისა, წარმოადგენს:

- **ერთი ან ერთზე მეტი შვილის ყოლა იმ პირთათვის, რომლებიც სარგებლობდნენ ან შეეძლოთ ესარგებლათ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლებით** (აღნიშნული პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურისაგან თავისუფლდებიან ის წვევამდელები, რომლებსაც ჰყავდათ ერთი შვილი იმ დროს, როცა აღნიშნული გარემოება სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად, მას აძლევდა გადავადებას სამხედრო სამსახურისგან);
- **2002 წლის 15 ივლისამდე წვევამდელის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა – სასწავლებლის დამთავრებამდე, მაგრამ არა უმეტეს 24 წლის ასაკისა** (აღნიშნულ პუნქტში იგულისხმებიან წვევამდელები, რომლებიც გამწვევ ორგანოში წარადგენენ ზემოაღნიშნულ ცნობას უმაღლესი სასწავლებლიდან, იმისდა მიუხედავად, სასწავლებელი სახელმწიფოა თუ კერძო და გააჩნია თუ არა მას სამხედრო კათედრა).

სამედიცინო კომისიასა და პირადი საქმის შესწავლის შემდეგ გამწვევმა კომისიამ უნდა გამოგიცხადოთ კომისიის გადაწყვეტილება სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ;

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გამწვევი კომისია წარგადგენთ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრულ შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში, სადაც ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი სამხედრო სამედიცინო-საექსპერტო კომისია. კომისია, სამედიცინო შემოწმების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე დამატებითი სამედიცინო გამოკვლევის) შემდეგ, ადგენს თქვენს ვარგისიანობის ხარისხსა და კატეგორიას, ხოლო შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტი განსაზღვრავს იმ სამხედრო ძალების სახეობასა და გვარობას, სადაც უნდა გაიაროთ სამხედრო სავალდებულო სამსახური.

- წვევამდელისთვის გარკვეული ვადით გადავადების მიცემის შესახებ;

თუ თქვენ გეძლევათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისგან გადავადება, მიწერილობის მოწმობაში უნდა გაკეთდეს გადავადების დროის აღმნიშვნელი ჩანაწერი.

- წვევამდელის სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან გათავისუფლების შესახებ.

თუ თქვენ გათავისუფლდით სამხედრო სამსახურისგან და გეძლევათ სამხედრო ბილეთი, უნდა აღინიშნოს თქვენი სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლების მიზეზი.

გამწვევი კომისიის თავმჯდომარემ უნდა გამოგიცხადოთ კომისიის გადაწყვეტილება და თუ მოითხოვთ, გამწვევი კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია, მოგცეთ კომისიის გადაწყვეტილების ამონაწერი.

თქვენ გაქვთ უფლება, გამწვევი კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროთ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ცენტრალურ გამწვევ კომისიაში ან სასამართლოში.

ამ შემთხვევაში გამწვევი კომისიის გადაწყვეტილება შეჩერდება ცენტრალური გამწვევი კომისიის გადაწყვეტილების გამოცხადებამდე ან სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე. თქვენ მიერ რაიონის გამწვევი კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება ცენტრალურ გამწვევ კომისიაში არ გამორიცხავს მის გასაჩივრებას სასამართლოში, ანუ, თუ თქვენ არ დაეთანხმებით ცენტრალური გამწვევი კომისიის გადაწყვეტილებას, შეგიძლიათ, ეს უკანასკნელი გაასაჩივროს სასამართლოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებული პროცედურის ნებისმიერი დარღვევა უკანონოა და შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, სამართალდამცავ ორგანოში ან/და სასამართლოში (მაგ., პირის დაკავება და სააღრიცხვო ან გამწვევ კომისიაზე იძულებით წარდგენა სახლიდან, ქუჩიდან, სასწავლებლიდან, სამუშაო ადგილიდან და სხვა).

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად, "ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება..." აღნიშნული მუხლის საფუძველზე, წვევამდელებს მიეცათ საშუალება გააკეთონ არჩევანი სავალდებულო სამხედრო სამსახურსა და არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს შორის. არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ვადაა უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის 18 თვე, ხოლო უმაღლესი განათლების არმქონე პირთათვის 24 თვე. თუ თქვენ სამხედრო ვალდებული ხართ, მაგრამ გსურთ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა, ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვევის გამოცხადებიდან 10 დღის განმავლობაში განცხადებით უნდა მიმართოთ რაიონის გამწვევ კომისიას. რაიონის გამწვევი კომისია შეისწავლის თქვენს პირად საქმეს და 20 დღის განმავლობაში უგზავნის არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიას. აღნიშნულ კომისიას გადაწყვეტილება გამოაქვს გამწვევი კომისიის დასკვნის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

თუ თქვენ უარი გეთქვათ არასამხედრო ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევაზე, შეგიძლიათ, აღნიშნული გადაწყვეტილება 10 დღის განმავლობაში გაასაჩივროთ სასამართლოში.

მოქალაქე არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს გადის სპეციალიზირებულ არასამხედრო-შრომით ფორმირებებში, ჯგუფებში ან ინდივიდუალურად, როგორებიცაა მაგ: საავარიო-სამაშველო, ეკოლოგიური, კომუნალური მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები და სხვა.

www.24hours.ge 24 B

მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები სიცრუეზეა აგებული

ინტერვიუ ფრედ ვუდროფის ოჯახის ამერიკელ ადვოკატთან მაიკლ ფულარასთან

სოფიკო ჩხაიძე

მაიკლ ფულარა.

გიორგი ბაბაურის ფოტო

- თქვენ ქართველი ადვოკატის დახმარებით მიმართეთ გენერალურ პროკურატურას ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიების მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნის წაყენების საფუძველი კი საქმეში მოკვლეულმა ახალმა გარემოებებმა მოგცათ. რა გარემოებებია ეს?

- ახალი გარემოება არ გულისხმობს მხოლოდ ახალი მტკიცებულებების აღმოჩენას, ასეთად შეიძლება იქნას მოაზრებული ახლებური ინტერპრეტაცია იმ მტკიცებულებებისა, რომლებიც სასამართლოში იქნა განხილული. სწორედ სხვადასხვა მასალების გაანალიზებით მოხდა იმის გარკვევა, ყოველ შემთხვევაში - ჩემთვის, რომ ფრედ ვუდროფის მკვლელობაში დადანაშაულებული კაცი - ანზორ შარმაიძე აბსოლუტურად უდანაშაულოა.

მისთვის წარდგენილი ბრალდება სამ ძირითად კომპონენტს ეყრდნობა. პირველი გახლავთ მოწმეთა ჩვენებები, მეორე - საქმესთან დაკავშირებით აღმოჩენილი გარკვეული ფიზიკური მტკიცებულებები, მესამე - თავად შარმაიძის მიერ გაკეთებული აღიარება. დღევანდელი გადასახედიდან ბრალდების ამ სამივე საყრდენს თუ შეხედავთ, მით უმეტეს - ახალ გარემოებათა აღმოჩენის ფონზე, ისინი, რბილად რომ ვთქვათ, მეტად არამყარია. ჩემი საჩივრის პირველი ნაწილი ეხება იმ ფიზიკურ საგნებს, რომლებიც მკვლელობის ადგილზე აღმოაჩინეს, აგრეთვე - მანქანას, რომელშიც მკვლელობა მოხდა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ პათანატომიის ამერიკელ ექსპერტებს ქართველი კოლეგებისგან რადიკალურად განსხვავებული აზრი აქვთ. ისინი ტყვიის შეღწევობის პრეისტორიას სრულიად სხვაგვარად აღწერენ. ამასთან, თქვენ იცით, ექსპერტიზის დასკვნა ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც საქმეში არსებობს მოწმის ჩვენება, რომლის თანახმადაც, გასროლის დროს ვუდროფი მთელი სხეულით მოტრიალებული იყო - მანქანის უკანა ფანჯრიდან თვალი გააყოლა გზაზე შემხვედრ, უკან ჩამორჩენილ სამეულს. თუ ქართული გამოძიების მასალებს ვენდობით, მას ამ სამეულიდან ერთ-ერთის მიერ გასროლილი ტყვია შუბლში მოხვდა.

ქართული გამოძიების მასალების თანახმად, შარმაიძის მიერ ნასროლმა ტყვიამ მათი მანქანის უკანა მინა გაიარა, თუმცა FBI-ის ლეგატი (აგენტი) ბონიდან, რომელიც მკვლელობის მეორე დღესვე იქნა მივლინებული საქართველოში, თავის მოხსენებაში წერს, რომ "ნივას", რომელშიც, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მოკლეს ვუდროფი, არავითარი ნატყვიარი არ აღენიშნება. ასეთი ნატყვიარის არსებობას, FBI-ის წარმომადგენლები მკვლელობიდან მხოლოდ მეოთხე დღეს აღმოაჩენენ.

ამერიკული მასალების თანახმად, ლეგატი გამოიძახეს პროკურატურის ეზოში, სადაც მანქანა იდგა. ის იხსენებს, რომ კამათიც კი მოუვიდა იმ გამომძიებლებთან, რომლებიც ეზოში იყვნენ შეკრებილნი. საბოლოოდ კი, როგორც მოგახსენეთ, ნატყვიარი ოთხი დღის შემდეგ იპოვეს. დამეთანხმეთ, რომ ნატყვიარის მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ აღმოჩენა საფუძვლიან ეჭვს იწვევს, რომ მანქანის კარებზე ნატყვიარი მოგვიანებით იქნა გაკეთებული.

მოდით, სხვა კუთხით შევხედოთ მომხდარს. ყველა გამომძიებელმა იცის, რომ სისხლის მასა, ძვლების თუ თავის ქალის ნაფლეთები სხეულისთვის ტყვიის მოხვედრის შემდეგ ტყვიის გასროლის მიმართულებით მიდის. თუ ამ მასას უკანა მიმართულებით გაჰყვებით, მან ტყვიის პირველი ხვრელის ადგილამდე უნდა მიგიყვანოთ. მაგრამ პათანატომები იხსენებენ, რომ მანქანაში ნანახი სურათის მისაღებად ტყვია წინა ფანჯრებიდან უნდა შემოვარდნილიყო. როგორც მოწმეები აჩვენებდნენ, მკვლელობის მომენტში ეს ფანჯრები, მართლაც, ჩამოწეული გახლდათ. სხვათა შორის, თავდაპირველად ყველა დარწმუნებული იყო, რომ ტყვია, მართლაც, წინა ფანჯრიდან შემოვარდა, სანამ მანქანის უკანა მინაზე ნატყვიარი არ აღმოაჩინეს. სხვათა შორის, ქართველი ბალისტიკოსიც კი ამბობს, რომ მანქანაში იმ დროისთვის, როცა მას მიეცა დათვალიერების საშუალება, ძალზე დიდი მასა იყო ტვინის სისხლის და ასე შემდეგ. ჩემთან საუბრისას მან ისიც კი გაიხსენა, რომ როცა მანქანის საბარგულის კარი ასწია, იქიდან გამოვარდნილი სუნის გამო გულიც კი წაუვიდა.

რაც შეეხება ტყვიას, რომლითაც, თითქოს, ვუდროფი იქნა მოკლული: როგორც ვიცით, ანზორ შარმაიძეს, რომელიც ახლა ვუდროფის მკვლელობისთვის იხდის სასჯელს, "აკს-74" სისტემის ავტომატი ჰქონდა. იმას, რომ ვუდროფი სწორედ ამ ავტომატიდან გასროლილი ტყვიით იყო მოკლული, მანქანის უკანა მინაზე ნაპოვნი ნატყვიარით ადასტურებენ, თორემ თავად ტყვია არ არსებობს, ის გასროლისთანავე აფეთქდა. ვუდროფის სხეულიდან ამოღებული ტყვიის ფრაგმენტები კი იმდენად მცირეა, რომ ისინი ექსპერტიზას არ ექვემდებარება.

- ამასთანავე, იმ მასრის შესახებ, რომელიც მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, შემთხვევის ადგილის მახლობლად იპოვეს, მაშინდელი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის შეფი ირაკლი ბათიაშვილი ამბობს, რომ მოგვიანებით დაგდებულია...

- ჩემი ინფორმაციით, ამ ნივთმტკიცების "ფაბრიკაცია" შოთა კვირაიას თანდასწრებით მოხდა. ამდენად, ბრალდების ის საყრდენი, რომელიც ნივთიერ მტკიცებულებებს მოიცავს, ძალზე არამყარი გამოდის. თუ მანქანაზე თავდაპირველად ნატყვიარი ხვრელი არ იყო, ეს ნიშნავს, რომ ანზორ შარმაიძის ამ მკვლელობაში დადანაშაულების არავითარი საფუძველი არ არსებობს - მისი იარაღი ხელოვნურად მიება ამ საქმეს. თუ მასრის მოგვიანებით ჩაგდების შესახებ ირაკლი ბათიაშვილის მტკიცებას დავიჯერებთ, მაშინ უკვე შარმაიძის იარაღს ვეღარც მკვლელობის ადგილს მივაბამთ. რაც თავისთავად ნიშნავს, რომ ანზორ შარმაიძე არავითარ კავშირში არ არის ამ კონკრეტულ დანაშაულთან. ამის შემდეგ ვაწყდებით შედარებით მეორეხარისხოვან მტკიცებულებებს, მაგალითად - ჩვენებებს. არსებობს სამი სახის ჩვენება - მოწმეების, რომლებიც ახლდნენ შარმაიძეს; მოწმეების, რომლებიც ისხდნენ ვუდროფთან ერთად მანქანაში და მოწმეების, რომლებსაც ჩვენება არ მიუციათ. როგორც იცით, მოწმეები, რომლებიც სასამართლოს წინაშე წარდგნენ, ამბობდნენ, რომ გასროლის მომენტში ვუდროფი მიტრიალებული იყო და იყურებოდა შარმაიძის მიმართულებით. ამ ჩვენებას ადასტურებს ქართული ექსპერტიზის მასალები, რომელთა მიხედვით, ვუდროფს ტყვია შუბლში მოხვდა და კეფიდან გამოვიდა, მაგრამ თუ ამერიკელთა მიერ მოძიებულ მასალას გადავხედავთ, იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ ჩვენებას - ამერიკელი ექსპერტები იუწყებიან, რომ მოკლულს ტყვია კეფაში მოხვდა და შუბლიდან გამოვიდა.

სხვათა შორის, მე შევხვდი ქართველ ექსპერტებს, ისინი მართლაც რომ შესანიშნავი პროფესიონალები არიან, მაგრამ, სამაგიეროდ, ამერიკელ ექსპერტებს გაცილებით უკეთესი ტექნოლოგიური საშუალებები გააჩნიათ ექსპერტიზის ჩასატარებლად. ამერიკელებმა გარკვეული მიკროსკოპული ცდების, სერიებისა და რეკონსტრუქციების შედეგად დაასკვნეს ტყვიის მიმართულება. მე ვერ მივცემ თავს უფლებას, რომ ვამტკიცო, ვინ არის მათ შორის მართალი. თუმცა ხელთ მაქვს სხვა ფაქტები, რომლებიც საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ მოწმეები - ვუდროფთან ერთად მანქანაში მსხდომი მგზავრები - არ ამბობენ სიმართლეს.

სხვათა შორის, ნებისმიერი ჩვენი მცდელობა, რომ გავსაუბრებოდით იმ ქალებს, რომლებიც, გამოძიების მასალების თანახმად, მკვლელობის მომენტში მანქანაში ისხდნენ, უშედეგოდ დასრულდა. ცხადად ჩანს, რომ ისინი ძალიან შეშინებულნი არიან.

მოწმე მარინა კაპანაძე (გამოძიების მასალების მიხედვით, ის მკვლელობის მომენტში მანქანაში იჯდა) ამბობს, რომ, დაიწყო ყვირილი "დაჭრეს, დაჭრეს, გააჩერეთ მანქანა. ჩვენი მანქანის ფარები იყო ჩართული, რადგან ძალიან ბნელოდა". მანქანაში მჯდომი მეორე ქალის - ელენე დარჩიაშვილის ჩვენება გვატყობინებს, რომ მცხეთის საავადმყოფოში მიყვანისას ექიმებმა, რომლებიც შენობიდან სანთლებით გამოვიდნენ, თქვეს, რომ ფრედ ვუდროფს ჯერ კიდევ ესინჯებოდა მაჯისცემა. ეს გახლდათ საღამოს 21.30 საათი - ელენე დარჩიაშვილის თქმით, მან ამ დროს საათი ჰკითხა ელდარ გოგოლაძეს. მცხეთიდან ისინი ვუდროფთან ერთად თბილისისკენ გამოემართნენ. პრობლემა ის არის, რომ იმ პერიოდისთვის მზის ჩასვლის ფიზიკური მდგომარეობის დადასტურება ფიზიკურად შეგვიძლია. იმ დღეს 21.06 საათამდე ჯერ კიდევ დღე იყო. მაშინ როდისღა მოხდა ეს მკვლელობა? მცხეთის საავადმყოფოში მისვლამდე ხომ მანქანაში მსხდომებმა ბევრი რამის გაკეთება მოასწრეს, ანუ მკვლელობის მომენტში მათ ფარები ანთებული არ უნდა ჰქონოდათ იმ უბრალო მიზეზით, რომ იმ დროს დღე უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ საავადმყოფოში მათ უკვე ვუდროფის ცხედარი მიიტანეს, თანაც, ექიმების დასკვნის მიხედვით, იგი უკვე კარგა ხნის მკვდარი იყო. არადა, მცხეთიდან თბილისამდე არც ისე დიდი გზაა. აქ არის ერთი დიდი უზუსტობა - გოგოლაძემ ამერიკელებს უთხრა, რომ ფრედ ვუდროფის ცხედართან ერთად მანქანით სამსაათნახევარი მოუწია მოძრაობა. მაგრამ სამნახევარი საათი გასროლიდან შარმაიძის დაკავებამდეც კი არ იყო გასული, შარმაიძე ხომ სადღაც 11-11.30 საათზე, ანუ მკვლელობიდან, ყველაზე დიდი, სამ საათში დააკავეს ელდარ გოგოლაძის ხელმძღვანელობით შემთხვევის ადგილისკენ წასულმა სამართალდამცველებმა. რაში დასჭირდა ელდარ გოგოლაძეს ამ სამსაათნახევრის დასახელება? მან ეს იმიტომ თქვა, რომ ვუდროფის სხეული, საავადმყოფოში მიყვანისას უკვე გაშეშების საკმაოდ წინ წასულ სტადიაში იყო. სხეულს გაშეშების ეს სტადია გარდაცვალებიდან 6-8 საათის შემდეგ ახასიათებს. ბოლოს და ბოლოს, ვის შეუძლია თქვას, როდის მოკლეს ფრედ ვუდროფი?

- სხვათა შორის, ანზორ შარმაიძისა და მისი თანმხლები პირების ჩვენებები სწორედ დროში განსხვავდება ერთმანეთისგან. შარმაიძე ირწმუნებოდა, რომ მკვლელობის მომენტში ის და მისი მეგობრები მცხეთა-ნატახტარის გზაზე არ იმყოფებოდნენ...

- ყოველივე ამაში გასარკვევად ბევრი ფაქტისა და ჩვენების შეჯერებაა საჭირო. გამოძიებას ამის გარკვევა არ უცდია. პირიქით, გამოძიების მიერ მოკვლეული მასალები და ელდარ გოგოლაძის ჩვენება ისე შეჯერდა, რომ მიზანი მიღწეული იქნა - ფრედ ვუდროფის მკვლელობის დროდ გამოიყვანეს ის მომენტი, როდესაც ანზორ შარმაიძე მცხეთა-ნატახტრის გზაზე იდგა. გარდა მათი მცდელობისა, ანზორ შარმაიძეს სხვა ვერანაირი მტკიცებულებით ვერ მიაბამთ იმ ადგილს, რომელიც ვუდროფის მკვლელობის ადგილად მოინათლა. მეტსაც გეტყვით, როგორც კი შეგერყევათ რწმენა იმისა, რომ მკვლელობა სწორედ გამოძიებისა და ელდარ გოგოლაძის მიერ დასახელებულ ადგილზე მოხდა, მაშინ ნებისმიერი გამომძიებელი იძულებული გახდება, რომ გოგოლაძის მოგზაურობაში უფრო ღრმად ჩაიხედოს და თუ ასე მოიქცევა, იპოვის სხვა მოწმეებს - ქალებს, რომლებმაც მკვლელობის დროდ მონათლულ პერიოდამდე კარგა ხნით ადრე თქვეს - თქვენს მანქანაში მკვდარი კაცია.

- კი მაგრამ, სად არიან ეს ქალები?

- ეს უკვე ის დეტალია, რომლის დაზუსტებისგანაც ჯერჯერობით თავს შევიკავებ. არის ხალხი, რომელმაც ნახა, როგორ აწვებოდნენ ქალები მანქანას და ყვიროდნენ - "კაცი მოკლეს, კაცი მოკლეს".

- ეს მკვლელობის თვითმხილველი ქალები არიან?

- ვერ გეტყვით. საერთოდ, საკითხავია, ის ქალები, რომლებიც სასამართლოზე თვითმხილველების სახით გამოვიდნენ, რეალურად ისხდნენ თუ არა მკვლელობის მომენტში მანქანაში. საქმეში არაფერი ამტკიცებს იმას, რომ მანქანაში მსხდომი და პროცესზე გამოსული ქალები ერთი და იგივე პირები არიან.

- კი მაგრამ, ოთხივე ერთად იყვნენ ყაზბეგში, ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად. მათ მასპინძელს ამის დადასტურება ან უარყოფა შეუძლია.

- მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ მისი დაკითხვა არავის უცდია. საქმეს რომ ეცნობოდით, შეგხვდათ მისი დაკითხვის ოქმი? რა თქმა უნდა - არა, რადგან მისი ჩვენებით არავინ დაინტერესებულა. ეს ერთადერთი ფაქტი არ არის, რომელიც გამოძიების დროს დაიკარგა. ასეთი თეთრი ლაქების ამოსავსებადაა სწორედ ხელახალი გამოძიების ჩატარება აუცილებელი. უფრო კონკრეტულად გეტყვით, რატომ მეპარება ეჭვი იმაში, რომ ეს ქალები რეალურად ისხდნენ მანქანაში მკვლელობის მომენტში. ავიღოთ ყველაზე მთავარი ნივთმტკიცება - მანქანა. ის ტყუილს ვერ იტყვის - ენა არ აქვს. მთელ მანქანაში, როგორც გითხარით, ვუდროფის ტვინის მასა იყო მოსხმული. წარმოიდგინეთ, მის წინ ზის ქალი. როგორ დავიჯერო, რომ მისი თმები, ტანსაცმელი ამ მასით არ დაისვარა. ამ ქალს სასამართლოზე ჰკითხეს კიდეც, სად წაიღო ის ტანსაცმელი, რომელიც მკვლელობის დღეს ეცვა; არ მახსოვსო - უპასუხა. წარმოგიდგენიათ, რომ ასეთი შემთხვევის შემდეგ ადამიანის ტვინის მასით დასვრილი კაბა ადამიანს არ ახსოვდეს, სად წაიღო? ნამდვილად არაბუნებრივი რამ არის. განა თქვენ რომ გამომძიებელი ყოფილიყავით, მკვლელობის დღესვე არ ეტყოდით ამ ქალებს, რომ ტანსაცმელი გამოძიებისთვის გადაეცათ? თუკი ჩვენ ამ მოწმეების ჩვენებებს შევხედავთ ფიზიკური ფაქტების გაანალიზების ფონზე, გაგვიჭირდება, რომელიმე მათგანს დავუჯეროთ.

- რა შეგიძლიათ თქვათ იმ მოწმეების ჩვენებებზე, რომლებიც მკვლელობის დღეს ანზორ შარმაიძეს ახლდნენ?

- გამოძიების ხელახლა დაწყების შემთხვევაში ეს ორი მოწმე დაადასტურებს, რომ გამომძიებასაც და სასამართლოსაც ჩვენებები გარკვეული ზეწოლის შედეგად მისცეს.

მათ თქვეს, რომ თუ არ დააპატიმრებენ, მოჰყვებიან ყველაფერს, რაც მოხდა. ასე რომ, ჩვენ გავაბათილეთ ფაქტობრივი მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები. დარჩა თავად ანზორ შარმაიძის მიერ მკვლელობის აღიარება. მინდა გითხრათ, რომ ამერიკის კანონმდებლობა აღიარებით ჩვენებას მტკიცებულებად რომ მიიჩნევდეს, ამერიკის ციხეებში ჯონ კენედის ასობით მკვლელი იჯდებოდა.

თავად შარმაიძემ (მიუხედავად იმისა, რომ აღიარებითი ჩვენება მისცა) გამოძიების მანძილზე ჩვენების დეტალები არაერთხელ შეცვალა და ბოლოს თავისი აღიარება ფიზიკური ზეწოლის შედეგად გამოაცხადა.

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯერებთ, გამოვა, რომ ანზორ შარმაიძე უდანაშაულოა.

- თქვენ ამ მკვლელობის მასალებს კარგა ხანია, იკვლევთ. რაღა მაინცდამაინც ახლა გადაწყვიტეთ, სარჩელით მიგემართათ გენერალური პროკურატურისთვის და საქმის ხელახალი გამოძიება მოგეთხოვათ?

- ეს საქართველოში ხელისუფლების ცვლილებამ გადამაწყვეტინა. პრეზიდენტი სააკაშვილი სამართლიანობის ერთგულია და იღვწის სიმართლის გამარჯვებისთვის, ამიტომ ფრედ ვუდროფის ოჯახსა და მეც მოგვცა იმპულსი, საქართველოში ჩამოვსულიყავი და ეს ნაბიჯი გადამედგა, მეთქვა - ეს კაცი უდანაშაულოა და გაათავისუფლეთ. თუ საქართველოს სურს, აყვავებული ქვეყანა იყოს, მაშინ ყველამ უნდა დაინახოს, რომ ეს არის ქვეყანა, რომელიც კანონით იმართება.

- ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი და ფრედ ვუდროფის ოჯახის მიზანია, უდანაშაულო ადამიანისთვის დახმარების გაწევა. მაგრამ ვუდროფის მკვლელობის საქმეში არის ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი - მკვლელობის მოტივი. თქვენ მიერ წარმოებული გამოძიებისას თუ მიაკვლიეთ ამ თვალსაზრისით რაიმე კონკრეტულს?

- ძალიან საფრთხილოა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა და არა იმიტომ, რომ ვინმესი მეშინია. ამას პატივისცემა მალაპარაკებს. მე არ მაქვს უფლება, ჩავერიო საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების მუშაობაში და ჭკუა ვასწავლო მათ. მე ვუდროფის ოჯახის ინტერესებს ვიცავ და მათ კი არ სურთ უდანაშაულო ადამიანის ციხეში ყოფნა. რაც შეეხება მკვლელობის მიზეზს, ცხადია, ეს ფრედ ვუდროფის საქმიანობაში, კერძოდ, იმ პროექტში უნდა ვეძიოთ, რომელზეც ფრედი მკვლელობამდე მუშაობდა. მკვლელობამდე სამი კვირით ადრე ვაშინგტონში გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, რომ უნდა შექმნილიყო შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთობლივი სადაზვერვო კომიტეტი, რომლის ცენტრიც თბილისში განთავსდებოდა. ამ პროექტის განხორციელებაზე ფრედ ვუდროფი სერიოზულად მუშაობდა.

- დაბოლოს, თქვენ ამ საქმის გამოძიებას ბევრი დრო, დიდი ენერგია და საკმაოდ თანხები დაახარჯეთ. საინტერესოა, თქვენ მოქმედებთ როგორც კერძო პირი და მხოლოდ ვუდროფების ოჯახის ადვოკატი, თუ ამერიკის ხელისუფლების მანდატიც გაგაჩნიათ?

- მოდით, ახლა ამერიკაზე გეტყვით ერთ-ორ სიტყვას. ამერიკელი ხალხი, ყოველ შემთხვევაში, მისი განათლებული ფენა, ვინმეს, შესაძლოა, სულელად ან ამპარტავნად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენ საკუთარ თავს მთავრობად მივიჩნევთ. მე იურისტი ვარ და ვიცი, რომ მაქვს ძალა, ვაიძულო ჩემი მთავრობა, გააკეთოს ის, რაც მე მიმაჩნია საჭიროდ. იმისათვის, რომ ვიყოთ თავისუფლები და შევინარჩუნოთ თავისუფლება, მუდმივად კრიჭაში უნდა ვედგეთ ხელისუფლებას, ვაკრიტიკოთ, შევუსწოროთ და ასე შემდეგ. ათწლიანი სამუშაო, რომელიც მე ამ საქმესთან დაკავშირებით ჩავატარე, მთავრობისადმი ერთგვარი გამოწვევაა. ინფორმაციაც იმიტომ კი არ მივიღე, რომ მათ ეს სურდათ, არამედ - ვაიძულე. ამჟამადაც საქართველოში ჩამოვედი, როგორც კერძო პირი და იმიტომ ვარ აქ, რომ მჯერა ის, რასაც ჩვენი პრესა წერდა პრეზიდენტ სააკაშვილის შესახებ; ამიტომაც არ მეშინია! ამერიკის მთავრობა, ცხადია, ყოველთვის გააკეთებს იმას, რაც ქვეყნის ინტერესებს შეჰფერის. მე იმედი მაქვს, რომ საქართველოს ახლანდელი მთავრობაც სწორედ ასე იქცევა. თუ თქვენ და მე დავარწმუნებთ მათ, რომ სამართლიანობის განხორციელება ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება, ისინი არ გადაუხვევენ ამ ინტერესებს არც ამ კონკრეტულ და არც სხვა შემთხვევებში.

თეატრები

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ლუდვიგ მინკუსი
დონ კიხოტი
ბალეტი სამ მოქმედებად
დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე
დას: 18:00 სთ.

თეატრალური სარდაფი
"ანტიგონე"
ავტორი და რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 20.00 სთ.

თავისუფალი თეატრი
გეორგ ბიუხნერი
"ვოიცეკი"
რეჟისორი: ანდრო ენუქიძე
დას: 19:00 სთ.

კინომსახიობთა თეატრი
პრემიერა
ჯონ სინგის
"გმირი"
რეჟისორი: ზურა გეწაძე
დას: 19:00 სთ.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
რევაზ კლდიაშვილი
"მარტოობის ბინადარი"
კითხულობს სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ.

პანტომიმის თეატრი
ამირან შალიკაშვილი
"კრიმანჭული"
(პანტომიმური ნოველები)
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

კინოთეატრები

რუსთაველი
"ქრისტეს ვნებანი"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

ამირანი
"სიცოცხლის გამტაცებელი"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ.

"მომხიბლავი პოლი"
დას: 16:00; 18:00 სთ.

გამოფენა

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
სტუდენტ მხატვართა გამოფენა

სალონი "ხელოვნება"
XIX-XX საუკუნეების ქართველ და უცხოელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

"ქარვასლა"
ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ევოლუცია"

"ჰობი"
ახალგაზრდული შემოქმედებითი სტუდიის გამოფენა

თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა (I დარბაზი)

სურათების ეროვნული გალერეა
მანანა ტოროტაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

კინოდან ანიმაციაში

Мумий Тролль ოცდამეერთე საუკუნის ბავშვებისთვის

ვერა ნეფარიძე

Мумий Тролль-ს აღარ აკმაყოფილებს რუსული პოპ-როკ სცენის ვარსკვლავობა, გაყიდული მუსიკალური ალბომებისა და კონცერტებზე მოზიდული ახალგაზრდობის რაოდენობა. ახალი ფორმებისა და საკუთარ თავში უცნობი შესაძლებლობების აღმოჩენა იყო Мумий Тролль-ის კინემატოგრაფში მუშაობის მიზეზი. იგი მიზეზითა და სერიოზული მიზნებით ჯგუფი ბავშვებთან დაახლოებასა და ანიმაციის სფეროში მოღვაწეობას აპირებს. გუშინ ამ ყველაფერთან დაკავშირებით Мумий Тролль-ის ლიდერმა ილია ლაგუტენკომ "შერატონ-მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

ალბათ, ისევ და ისევ შარშანდელი თბილისური შთაბეჭდილებების დამსახურება იყო, რომ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ილია ლაგუტენკო გაცილებით გულწრფელი და უშუალო ჩანდა, ვიდრე - ქართველ ჟურნალისტებთან პირველი შეხვედრისას. თანამედროვე რუსული მუსიკალური სცენის გამოცდილი ვარსკვლავი უხეში არც შარშან ყოფილა, მაგრამ გუშინ საერთოდ ვერ შევნიშნეთ მასში შეკითხვებისა და თემების ასხლეტვის ირონიული მეთოდები, რითაც ლაგუტენკომ შარშან თავი დაგვამახსოვრა. ამჯერად მუსიკოსი შედარებით "შინაურულად" მოიქცა. თუმცა, კონცერტის ორგანიზატორი კლუბის "აჭარა მიუზიკ ჰოლის" პრომოუტერებმა პრესკონფერენციის დაწყებისას გაგვაფრთხილეს, არ დასმულიყო სტუმრის მიმართ შეკითხვები პირადი ცხოვრებისა და პოლიტიკის თემებზე - მუსიკოსი ამაზე მაინც არაფერს იტყოდა.

ბუნებრივია, რომ გუშინდელი შეხვედრა დაიწყო Мумий Тролль-ის უკანასკნელი ვიდეოკლიპის - Медведица-ს შესახებ საუბრით. როგორც ცნობილია, ამ ვიდეორგოლის ეთერში გაშვებაზე რუსულმა სატელევიზო არხებმა უარი განაცხადეს. მისი ნახვა მხოლოდ ჯგუფის უკანასკნელი

ბორის ბაბაიანის ფოტო

ლაგუტენკო ფორმაშია

ალბომის მყიდველებსა და ინტერნეტის მომხმარებლებს შეუძლიათ. Медведица გახდა ჯგუფის პირველი ვიდეონამუშევარი, რომელმაც ასეთი რეზონანსი გამოიწვია საზოგადოებაში. პრინციპში, ესაა პაროდია პორნოფილმზე. სხვათა შორის, მისი ნახვა შესაძლებელია "კომუნას" ვებ-გვერდზეც (www.komuna.ge). კლიპის გადაღებები ერთ-ერთ ინტიმ-სალონში მიმდინარეობდა. ილია ლაგუტენკოს აზრით, ალბათ, უფრო ამის გამო მიიჩნია კლიპი საზოგადოებამ პორნოგრაფიად. "მე მასში ვერაფერ პორნოგრაფიულს ვერ ვხედავ", - ამბობს ლაგუტენკო და კლიპის შექმნის ისტორიას იხსენებს. კლიპი სათამაშოების ცხოვრებაზეა. ასეთი იდეა "მუმი ტროლის" მუსიკოსებს დაებადათ და იმსჯელეს კიდეც მის განხორციელებაზე კლიპის რეჟისორთან, მაგრამ დროთა განმავლობაში მიავიწყდათ. წელიწადნახევრის შემდეგ კი ფილმის Похитители книг-ის ავტორი, რეჟისორი ლეონიდ რიბაკოვი გამოტყდა, რომ მსგავსი იდეა მასაც ჰქონდა. "სათამშოებსაც აქვთ საკუთარი ცხოვრება. ისინი დიდების ცხოვრებით ცხოვრობენ. როდესაც კლიპის საბოლოო ვარიანტი ვნახე, ძალიან სასაცილოდ მომეჩვენა. ჩემთვის ეს იყო კიდევ ერთი გასართობი ვიდეორგოლი და მეგონა, რომ ჩემს მოსაზრებებს სხვებიც გაიზიარებდნენ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, არ მოხდა ასე. პირიქით - კლიპი პორნოგრაფიულად მიიჩნიეს". სიმღერა Медведица "მუმი ტროლის" ამ ალბომის (Похитители книг) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმღერაა. სიმღერა ჩაწერილია ლატვიაში ადგილობრივ მომღერლებთან ერთად. როგორც ლაგუტენკომ თქვა, კომპოზიცია მისი ბოლო დროის ერთ-ერთი საყვარელი სიმღერაა: "მისი წყალობით, შეიძლება გავიცნო საინტერესო გოგონები, რომლებიც ამ სიმღერას იმღერებენ".

კინემატოგრაფში ჯგუფის მუშაობა დადებითად შეაფასა გუშინდელი შეხვედრის სტუმარმა. "ეს იყო ერთგვარი გზა - როგორ გაექცე ყოველდღიურ რუტინას. როდესაც შენგან იგივეს ელიან, მაგრამ ამ დროს სთავაზობ სრულიად სხვას. მუსიკოსისთვის კინოში მუშაობაც ასეა - აკეთებ ყველაფერს სწორად, როგორც აქამდე აკეთებდი, მაგრამ უკუაგდებ მიღებულ წესებს. ამ ფილმზე მუშაობისას ჩვენ ვიგრძენით შემოქმედებითი თავისუფლება. დავწერეთ სიმღერები, რომლებიც სრულიად არ არის დამახასიათებელი ჩვენი ჯგუფისთვის. ჩვენ ვცადეთ ბედი კინოში და მიგვაჩნია, რომ გამოგვივიდა კიდეც. კინემატოგრაფის წყალობით, "მუმი ტროლმა" კიდევ ერთ მუსიკალურ საფეხურზე ააბიჯა". ვფიქრობ, ვინც ჯგუფის ამ ნამუშევარს მოუსმინა, დაეთანხმება ილია ლაგუტენკოს. იმის მიუხედავად, რომ ფილმი ჯერჯერობით არ მინახავს, ალბომის მოსმენითაც ცხადი ხდება, რომ "მუმი ტროლმა" დაკისრებულ მოვალეობას აშკარად თავი გაართვა. მართალია, ჩანაწერი ჟანრობრივად ერთფეროვანი არ არის, მაგრამ მაინც საერთო განწყობას ქმნის.

"მუმი ტროლი" კმაყოფილია კინემატოგრაფში გამჟღავნებული საკუთარი შესაძლებლობებით. მაგრამ, მუსიკოსებს მიაჩნიათ, რომ დარჩათ ნიშა, რომლის ამოვსებას ისინი, სავარაუდოდ, წლის ბოლოდან დაიწყებენ - უფრო სწორად, წლის ბოლოსთვის გამოვა ანიმაციური ფილმი, რომლის მუსიკის ავტორიც კვლავ "მუმი ტროლი" იქნება. Новые приключения Незнайки, ილია ლაგუგენტკოს თქმით, 21-ე საუკუნის ბავშვების მოთხოვნილებებს აუცილებლად დააკმაყოფილებს. "ანიმაციური ფილმების მხატვრებიც ამბობენ, რომ თანამედროვე მულტფილმებში გაცილებით ექსპერიმენტული მუსიკაა საჭირო. ჩვენ გადავწყვიტეთ, ვიმუშაოთ და გავიგოთ, რით ცოცხლობს თანამედროვე ბავშვი, და რისი მოსმენა სურს მას; არ უნდა დავაძალოთ, უსმინონ იმ ზღაპრების მუსიკას, რაზეც გავიზარდეთ ჩვენ და ჩვენი მშობლები. ისინი სხვა დროში, სხვა საუკუნეში ცხოვრობენ. მათ სხვაგვარი მუსიკა სჭირდებათ, რათა მათაც ჰქონდეთ საამაყოდ საკუთარი ბავშვობა". იმედია, ვლადივოსტოკელი მუსიკოსი ამ მნიშვნელოვან მისიასაც წარმატებით გაართმევს თავს და ისევე აიყოლიებს პატარა მსმენელს, როგორც ეს, თუნდაც, "აჭარა მიუზიკ ჰოლში" მოახერხა.

"გმირი" უგმიროდ

თეონა ჯაფარიძე

საბჭოთა ეპოქიდან შემორჩენილ თეატრალურ ჟარგონს თუ ვიხმართ (ისე, დღესაც ხმარებაშია ეს გამოთქმა), გუშინ კინომსახიობთა თეატრში "პრაგონი" ითამაშეს. ჰოდა, როგორც წინასაპრემიერო ჩვენებას შეეფერება, გაცილებით უფრო თეატრალური საზოგადოება შეიკრიბა, ვიდრე ეს ოფიციალურ პრემიერაზე ხდება ხოლმე. პროგრამას თვალი რომ გადავავლე, სპექტაკლის დადგმაშიც იქ შეკრებილი საზოგადოების იდენტური, მოდური პერსონები მონაწილეობდნენ. ეს "გაპრანჭული" მომენტი, რასაკვირველია, მსოფლიოში აპრობირებული მომენტია (ყოველთვის სელინჯერის "თამაში ჭვავის ყანაში მახსენდება") და რაღაცნაირი დამაინტრიგებელ-არტისტული ხიბლიც ახლავს, მაგრამ თბილისში მაინც ყველაფერი ზეაღმატებულ ხარისხშია: აქ პუბლიკა უფრო სანახაობრივია, ვიდრე - ამ ბოლო დროს დადგმული სპექტაკლები. არც გუშინდელი დღე ყოფილა გამონაკლისი, მაგრამ ყველაფერი თავიდან დავიწყოთ: ზემოთ პროგრამა და "მოდური" მონაწილეები ვახსენე. მოდური ხანდახან ნიჭიერსაც გულისხმობს: ცხადია, ფაქტს ვერსად გავექცევით, იმიტომ, რომ ილიკო სუხიშვილის კონსულტაციით დადგმული ცეკვები და გოგი ძოძუაშვილის მუსიკალური გაფორმება აშკარად საინტერესო გამოვიდა. სცენოგრაფია და კოსტიუმებიც თავის ადგილზე იყო (მხატვრები ნინო ქორიძე და მარიამ ქორიძე) მსახიობები მეტ-ნაკლები ნიჭიერებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ გიორგი ყიფშიძის, ზურაბ ბეგალიშვილის, ონისე ონიანის, ნინო ბურდულისა და გიორგი ნაკაშიძის თამაშის ყურება ნამდვილად ღირდა. მაშინ რატომ გაუჭირდა მაყურებელს, მიეღო ირლანდიელი დრამატურგის ჯონ მილინგტონ სინგის " გმირი"? - სინგისა და ირლანდიური ხასიათის გაგება გაუჭირდა, თუ მსახიობ ზურა გეწაძის დებიუტანტური რეჟისურის? ჩემი აზრით, მაყურებელი ირლანდიური პრობლემების უფრო მწვავედ გადმოცემასა და პიესაში გაბნეული ნიუანსების წინ წამოწევას ელოდა. სპექტაკლი კი, რეჟისორულად, მდორედ მიდიოდა, მხოლოდ ვიზუალური გაფორმება და აქსესუარები (მუსიკა, მხატვრობა) ახარებდა თვალს. არადა, პიესა მწვავე რეჟისორული ფეიერვერკების საშუალებას ნამდვილად იძლეოდა: ბოლოს და ბოლოს, ის ხომ იმ ჩვეულებრივ ირლანდიელზე მოგვითხრობდა, რომელსაც საზოგადოება გმირად აქცევდა, როცა თავად სჭირდებოდა, ხოლო როცა საზოგადოებისათვის გმირის არსებობა ზედმეტი ხდებოდა, მას, უბრალოდ, ივიწყებდა. ფაბულა, თავისთავად, აქტუალურია და, თავისუფლად შეიძლებოდა, სწორედ ამ მომენტისათვის და სწორედ აქ, საქართველოში კიდევ უფრო აქტუალური გამხდარიყო; ისე კი, შეგიძლიათ, მიბრძანდეთ კინომსახიობთა თეატრში და წყნარად უცქიროთ ჩვეულებრივ ირლანდიურ ამბავს. შეგახსენებთ, რომ თეატრის რეკონსტრუქციის შემდეგ ეს პირველი ახალი დადგმაა.

ბორის ლეონიდოვიჩის ფოტო

სინგის „გმირი“ კინომსახიობთა თეატრში

"მამას მოეწონებოდა", - ამბობს აკაკი ბაქრაძის ახალ წიგნზე მისი შვილი

ნანა კობაიძე

გუშინდელმა პრეზენტაციამ "წიგნის სახლში" კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, როგორი საზოგადოება გვყავს. თითქოს ყინული დაიძრა, თითქოს წიგნს გამოუჩნდა მკითხველი, მაგრამ იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვის და რას კითხულობენ (ამ შემთხვევაში ახალგაზრდებზე მაქვს აქცენტი). სამწუხაროდ, დღეს ლიტერატურული "ტუსოვკა" რამდენიმე მოდური ავტორით შემოიფარგლება, მწერალს კი, რომლის წიგნის პრეზენტაციაც გუშინ გაიმართა, თანამედროვე ახალგაზრდობა ნაკლებად იცნობს. გაგიკვირდებათ და, ეს მწერალი აკაკი ბაქრაძეა.

გაგიკვირდებათ-მეთქი, შემთხვევით არ მითქვამს, რადგან პირადად მე განცვიფრებული დავრჩი, როდესაც პრეზენტაციაზე მისულს "წიგნის სახლში" მცირერიცხოვანი აუდიტორია დამხვდა (ძირითადად, მწერლის ახლობლები). ეს მაშინ, როდესაც რატი ამაღლობელის, ლაშა ბუღაძისა და ამ თაობის ნებისმიერი ავტორის პრეზენტაცია მათი ფანებისა და მასმედიის გაძლიერებული ყურადღების ცენტრში ექცევა. კონკრეტულად ამ ორი ავტორის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თავად ტენდენციაა შემაშფოთებელი. როგორც ჩანს, ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე ადამიანების დამოკიდებულება სულიერი ღირებულებების მიმართ ძალიან შეიცვალა. ბატონი ლევან ღვინჯილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, - ისეთი ცხოვრებით ვცხოვრობთ, ინტელექტუალური კაცის ირგვლივ თავმოყრისა და მისი მოსმენის საჭიროება აღარ არისო. არადა, არცთუ დიდი ხნის წინათ აკაკი ბაქრაძის ლექციებზე უნივერსიტეტში ნემსს ვერ ჩააგდებდით. სამწუხაროდ, ამ პერიოდს ვერ შევესწარი, მაგრამ ლეგენდები მათ შესახებ უხვად მსმენია. ამბობენ, რომ მას აუდიტორიის მონუსხვის საოცარი უნარი ჰქონდა. იმის მიუხედავად, რომ მის გარეგნობაში არაფერი იყო განსაკუთრებული და არც ხმა ჰქონდა გამორჩეული - ყველა გასუსული უსმენდა, რადგან მათ წინ იდგა ადამიანი, რომელიც მსმენელის თვალწინ აზროვნებდა. ეს არ იყო ლექციები ლიტერატურათმცოდნეობაში; ეს იყო გეზი, საით უნდა ევლო საქართველოს. მივდივართ თუ არა მისი გზით, არ ვიციო, - ბრძანა ლევან ღვინჯილიამ და ისურვა ისეთი ადამიანის გამოჩენა, რომელიც აკაკი ბაქრაძის ღვაწლს ისევე ღირსეულად აღწერს, როგორც მან აღწერა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გრიგოლ რობაქიძის და სხვათა ცხოვრება.

ვიდრე ასეთი კაცი გამოჩნდება, ნომერ პირველ საკითხად მისი მემკვიდრეობის გამოცემა რჩება. შარშან, ბატონი აკაკის დაბადების 75 წლის აღსანიშნავად საზეიმო ღონისძიებათა ციკლი იყო დაგეგმილი, თუმცა მწერლის მემკვიდრეებმა იუბილეს მისი ნაწერების მრავალტომეულის გამოცემა ამჯობინეს (და სწორადაც მოიქცნენ). სავარაუდოდ, ეს იქნება რვატომეული, რომელიც თავად ავტორის მიერ შედგენილი გეგმით გამოვა (ეს გეგმა ბატონი აკაკის გარდაცვალების შემდეგ მისსავე არქივში აღმოჩნდა).

პირველ ტომში შევიდა ნაშრომები ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის შესახებ. თუმცა, როგორც კრიტიკოსმა მერაბ ღაღანიძემ აღნიშნა, ძნელია, განსაზღვრო ამ ტექსტების ზუსტი ჟანრი, - სამეცნიერო ნაშრომია თუ ბიოგრაფიული რომანიო. აკაკი ბაქრაძის შემოქმედების მოყვარულნი ამ ნაწერებს იცნობენ. უფროს თაობას ისიც ახსოვს, რა აჟიოტაჟი გამოიწვია მათმა გამოქვეყნებამ. დღევანდელი გადასახედიდან ცოტა უცნაურია, რა უნდა დაწერილიყო მეოცე საუკუნის დასასრულს ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის შესახებ, რომ ხელისუფლების მხრიდან აკრძალვა მოჰყოლოდა. დიახ, სწორედ ასეთი რამ დაწერა აკაკი ბაქრაძემ - სააშკარაოზე გამოიყვანა ილიას ნამდვილი მკვლელები და განსხვავებული კუთხით დაგვანახა აკაკი, და არა მხოლოდ აკაკი. მიხეილ ჯავახიშვილის მისეულ გააზრებას მოჰყვა თემურ ჩხეიძის ცნობილი ტელესპექტაკლი "ჯაყოს ხიზნები", რომელმაც საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

ბორის ლეონიდოვიჩის ფოტო

მერაბ ღაღანიძე და ლაშა ბაქრაძე

ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის ნამდვილი შოკი იყო, როდესაც გვითხრა, - აფხაზეთს დავკარგავთო. ეს იყო მისი კიდევ ერთი უნარი - სწორად გაეანალიზებინა მოვლენები, - ამბობს სოციოლოგი ემზარ ჯგერენაია. ასეთი ფაქტი არაერთხელ ყოფილა. ალბათ, ამის გამო ეშინოდა მისი მაშინდელ ხელისუფლებას, ამის გამო აუკრძალეს ლექციების კითხვა უნივერსიტეტში და მის ნაწერებსაც მკაცრად აკონტროლებდნენ.

აკაკი ბაქრაძის ადგილი დღეს ცარიელიაო, - მიიჩნევს ლევან ღვინჯილია.

ამ სიცარიელეს ნაწილობრივ მაინც ამოავსებს მისი თხზულებები, რომლებიც სრულად ორ-სამ წელიწადში გამოვა. პირველი ტომი კი - საკმაოდ სიმპათიური და სოლიდური გამოცემა, უკვე დევს თბილისის წიგნის მაღაზიის თაროებზე. მამას მოეწონებოდაო, - აღნიშნა მწერლის ვაჟმა ლაშა ბაქრაძემ. ვიმედოვნებთ, მკითხველსაც მოეწონება.

ძიება საზღვრების გარეშე

კურატორული საქმიანობის როლი თანამდროვე ხელოვნებაში

ნინო ჟოღოშვილი

"...იმისათვის, რათა განვავითაროთ ახალი ინფრასტრუქტურები ხელოვნების სფეროში, მნიშვნელოვანია, მოვიძიოთ ახალი საშუალებები, გავხდეთ მეტად მოქნილები, უფრო სპონტანურები და ამრიგად მივესადაგოთ იმ ახალ კულტურულ ვითარებას, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით. ის საზოგადოებრივი სისტემა, რომელსაც დიდი მუზეუმები და გავლენიანი ელიტური ფენებიც ექვემდებარებიან, ძლიერ ზღუდავს ხელოვნების თავისუფლებას. ამიტომაც, საჭიროა ახალი სტრუქტურების განვითარება, ახალი "ნიშებისა" და "თავისუფალი სივრცეების" შექმნა"...
ჰოუ ჰანრუ; "იფა" - ჟურნალი კულტურათაშორისი გაცვლისათვის; 2/2002

ვინ არის კურატორი და რა როლს ასრულებს იგი თანამედროვე ხელოვნებაში? კურატორის პროფესიის ჩამოყალიბება ბიენალეებს - თანამდროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენებს უკავშირდება. მსოფლიოში უძველესი ვენეციის ბიენალე XIX საუკუნის მიწურულიდან არსებობს. XX საუკუნის 50-60-იან წლებამდე იგი სრულიად არ ითვალისწინებდა კურატორულ საქმიანობას და, ძირითადად, ოფიციალურ, აკადემიურ სახელმწიფო ხელოვნებას წარმოადგენდა. ამ მხრივ, ხელოვნების სამყაროსთვის მნიშვნელოვანი შემოტრიალების პერიოდად 1955 წელი ითვლება, როდესაც გერმანიაში, ქალაქ კასელში **დოკუმენტა** დაარსდა. იგი იმთავითვე თანამედროვე ხელოვნების ახალი ტიპის გამოფენას წარმოადგენდა, რომელიც სამუზეუმო ექსპონატებისთვის განკუთვნილ გაწკრიალებულ დარბაზებში კი არა, მუზეუმის ნანგრევში, ჯერ დაუმთავრებელ, დროებით საგამოფენოდ განკუთვნილ სათავსებში მოეწყო. ეს ინსცენირებული გამოფენა იყო, ხოლო **დოკუმენტას** დამაარსებელი არნოლდ ბოდე არც ხელოვნების ისტორიკოსი გახლდათ და არც მუზეუმის თანამშრომელი. მიუხედავად ამისა, მან თავისი მოღვაწეობით საფუძველი ჩაუყარა იმას, რაც შემდგომში პროფესიად უნდა ქცეულიყო - კურატორულ საქმიანობას.

მოგვიანებით, 1970-იან წლებში "გამოფენის მომწყობის" - ანუ კურატორის პროფესია ინსტიტუციურად დამკვიდრდა და 1972 წელს, **დოკუმენტა 5**-ის დროს იგი უკვე ერთ-ერთ ყველაზე ელიტურ პროფესიას წარმოადგენდა.

1950-იანი წლების შემდეგ ახალი ბიენალეების დაარსება სხვა ქვეყნებშიც დაიწყეს - მათ შორის, ერთ-ერთი პირველია სან პაულოს ბიენალე. სან პაულოს ბიენალე, პირველ რიგში, იმით გახდა გამორჩეული, რომ პერიფერიაში, ლათინურ ამერიკაში დაფუძნდა და არა - ცენტრში, ცენტრალურ ევროპაში. ეს კი, თავის მხრივ, ახალ სივრცეებთან, ახალ ფასეულობებთან ზიარების საშუალებას აძლევდა ხელოვნების სამყაროს. XX საკუნის 70-იანი წლებიდან კი ახალი ტიპის ბიენალეებს ჩაეყარა საფუძველი. ასეთი იყო, თუნდაც, სიდნეის ბიენალე - ანუ "კურატორთა ბიენალე". შემდგომში ეს მოდელი ნიმუშად იქცა სტამბულის, იოჰანესბურგის, ბერლინის, ლიონის, შანჰაის, იოკოჰამას და სხვა თანამედროვე ბიენალეებისა თუ საერთაშორისო გამოფენებისთვის.

დღეს თანამედროვე ხელოვნების სამყაროში კურატორს, შეიძლება ითქვას, იგივე მნიშვნელობა მიენიჭა, რაც ხელოვანს. კურატორები ეძებენ და არჩევენ ხელოვანებს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილობრივი თუ საერთაშორისო გამოფენებისთვის. გარკვეული დროით ისინი განსაზღვრავენ ამა თუ იმ მიმდინარეობის, ცალკეული პირისა და, შესაძლოა, მთელი რეგიონის წარმატებასაც საერთაშორისო სარბიელზე. თუ რამდენად გადამწყვეტია და პრესტიჟული თანამედროვე კურატორის ავტორიტეტი, ამაზე, თუნდაც, დანიელ ბირნბაუმის ცნობილი წერილის სათაურიც მიუთითებს - Der kurator als Star ("კურატორი, როგორც ვარსკვლავი").

საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე კურატორი ხელოვნების სამყაროში ცენტრალურ ფიგურად იქცა. მისი სტატუსი ხშირად ცნობილი ხელოვანისას აღემატება. კურატორებს ხშირად რეჟისორებს ადარებენ. ამავე დროს ნებისმიერს, მიუხედავად ცოდნისა და გამოცდილებისა, შეუძლია კურატორობის "დაბრალება", განურჩევლად იმისა, იქნება ის ხელოვნების ისტორიკოსი, გალერეის მფლობელი, თავად ხელოვანი, თუ ხელოვნების სარბიელზე სრულიად სხვა სფეროდან მოსული ადამიანი.

თანამედროვე ხელოვნების ბაზარი მუდამ ახალი ტერიტორიების ათვისებას მოითხოვს. კურატორისთვის ისევე, როგორც ხელოვანისთვის "მობილურობა" წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. თანამედროვე ხელოვანიც და კურატორიც ხშირად ხანგრძლივი დროით ტოვებს სამშობლოს, რათა უცხოეთში განავითაროს თავისი საქმიანობა. ცხადია, ეს სავალდებულო სულაც არ არის. და რადგან თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის გაცვლისა და კომუნიკაციის პროცესი სულ უფრო მარტივდება, რაც გლობალიზაციის დადებით გავლენად აღიქმება, კულტურათაშორისი გაცვლაც არ ხორციელდება მხოლოდ ერთი მიმართულებით. თუმცა, ბევრი ხელოვანი თვლის, რომ ამ პროცესმა, შესაძლოა, საშიშროება შეუქმნას მისი საკუთარი კულტურისა და თვითმყოფადობის დაკარგვას. მსგავსი პრობლემები საქართველოსთვისაც უაღრესად აქტუალურია.

გასაგები მიზეზების გამო, მთლიანად აღმოსავლეთ ევროპასა და, ცხადია, საქართველოშიც კურატორულ საქმიანობას არ გააჩნია ტრადიცია და არ განვითრებულა იმ სახით, როგორც დასავლეთში.

კავკასიაში მოღვაწე კურატორებისთვის 2004 წლის 6-12 მაისს **მაფ-მედია არტ ფერმაში** ჩატარდება ვორკშოპი, ხოლო 14-16 მაისს თბილისის გოეთეს ინსტიტუტი კურატორების საერთაშორისო სიმპოზიუმს უმასპინძლებს.

რას ნიშნავს, იყო შუამავალი კულტურათაშორის დიალოგში? რას გულისხმობს კულტურათაშორისი გაცვლის ახალი ფორმების ძიება, ან კიდევ -კურატორული საქმიანობა გლობალიზაციის ეპოქაში? ამ და მრავალ სხვა საკითხს განიხილავენ შვეიცარიელი, გერმანელი, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მონაწილეები სამდღიან სიმპოზიუმზე - "ძიება საზღვრების გარეშე".

ნინია კაკაბაძის სვეტი

რეკლამა იქ და რეკლამა აქ

რეკლამის დამზადებას საქართველოში შეიძლება ითქვას, საკმაოდ ხანმოკლე ტრადიცია აქვს. სარეკლამო რგოლის გადაღების არც სკოლა არსებობს და არც ვიზუალური თუ ტექსტუალური სახელმძღვანელოებია შემოსული მასიურად, რომელთა მიხედვითაც ქართველი "რეკლამშიკები" იხელმძღვანელებდნენ. თავდაპირველად ყველაფერი ისე დაიწყო, რომ რეკლამებს კინო და ტელე-რეჟიოსორები იღებდნენ. შემდეგ ისეთი პირები გამოჩნდნენ, რომელთა სახელებიც მანამდე უცნობი იყო და მხოლოდ ახალი რეკლამების მეშვეობით გახდა ცნობილი. დამოკიდებულება რეკლამების მიმართ სხვდასხვაგვარია. თუ ვინმე რეკლამის დამზადებისას პირველ ყოვლისა, დამკვეთის სურვილს ითვალისწინებს, მეორე - მომხმარებლის, ისეთებიც არიან, რომელნიც ხმამაღლა აცხადებენ, რომ ეს მათთვის პატარა ფილმია და მისი შექმნისას მხოლოდ საკუთარ და მათ გარშემო არსებულ ვიწრო საზოგადოების, ამ შემთხვევაში, გემოვნებას უწევენ ანგარიშს. ეს, ალბათ, წმინდა ქართული დამოკიდებულებაა საქმისადმი, როდესაც რეალური დამკვეთი ახლობელთა წრე ხდება და არა რომელიმე ფიზიკური პირი თუ კომპანია. საერთოდ ეს არა მხოლოდ რეკლამის შექმნასთან მიმართებაში შეიძლება განვიხილოთ; სამწუხაროდ ხელოვანთა უმეტესი ნაწილი, შემოქმედებითი პროცესის დროს თვალწინ ახლობელთა და მისთვის კომპეტენტურ ადამიანთა წარმოსახვას ხედავს და მისი, ამ შემთხვევაში შემოქმედის ნახელავი, სწორედ ამ რამდენიმე ერთეულისთვის იქმნება. ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყანს, ამიტომ ისევ რეკლამებს და რეკლამის შემქნელებს დავუბრუნდეთ. რეკლამის წარმატებულობასთან დაკავშირებით უამრავი კვლევა ჩატარებულა და ერთმნიშვნელოვნად ითქვა, რომ რეკლამის ხანგრძლივობა თუ შინაარსი არ არის კონკრეტული პროდუქტის მომავალი წარმატების საბაბი. შესაძლებელია დამოუკიდებელ, ხელოვნების ნებისმიერ ნაწარმოებში, ფერწერულ ტილოზე, მხატვრულ ფილმში, თეატრალურ დადგმაში თუ სხვაგან, გაიელვოს მაგალითად "კოკა-კოლას", "მალბოროს" თუ სხვა ნებისმიერი პროდუქტის სახელწოდებამ ან გამოსახულებამ და ამის შემდეგ მის მოხმარებელთა რაოდენობამ მეორე დღიდანვე დაიწყოს ზრდა. ასე რომ, არა მხოლოდ რეკლამის შიანარსობრიობა, მაღალმხატვრულობა, ან სხვა ფაქტორი არის გადამწყვეტი წარმატებისთვის. თუმცა, ყველაზე წარმატებულ რეკლამად ის ითვლება, რომელიც ყველაზე მეტად რჩება მაყურებლის მეხსიერებაში. აქედან გამომდინარე ითვლება, რომ იუმორით, სასაცილო პასაჟებით გამორჩეული რეკლამები, ყველაზე მეტად მომგებიანია. შესაძლებელია, იმ შემთხვევაში თავად რეკლამირებული პროდუქტი ნაკლებად იყოს აქცენტირებული, მაგრამ ამბავი, რომელსაც რეკლამა მოგვითხრობს იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდეს, რომ სწორედ ის გვაიძულებდეს კონკრეტული პროდუქტის დამახსოვრებას, შეძენას და მოხმარებას. ერთი სიტყვით, რეკლამის შექმნისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ორიგინალური იდეის განსხვავებული ფორმით წარმოდგენა.

ასე ხდება დასავლეთში, რომელსაც უკვე რეკლამის დამზადების გაცილებით დიდი ტრადიცია აქვს, ვიდრე საქარველოს, მაგრამ ეს, ბუნებრივია, არ გახლავთ საყოველთაოდ აღიარებული კანონი, რომელსაც ყველა ცალსახად ითვალისწინებს. ყველგან არსებობს კარგი და ცუდი რეკლამა, რომელთაგანაც ზოგი აკმაყოფილებს საერთო გემოვნების კრიტერიუმებს, ზოგი კი მხოლოდ დამკვეთის და მომხმარებლის. და რეკლამა, რომელიც შესაძლებელია სინამდვილეში კინოსთან იყოს მიახლოებული, ანუ რეკლამა, როგორც პატარა ფილმი, რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს ყოველთვის უმცირესობაშია.

რა ხდება საქართველოში?1 ჩვენთვის საინტერესოა ამ შემთხვევაში, რა სიტუაციაა ქართულ ტელე-ეთერში, სადაც მოხვედრილია ქართული და ამავე დროს უცხოური რეკლამები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული რეკლამის ისტორია თითქმის არ არსებობს, ამიტომ მათი შეფასებისას, ვითვალისწინებ რა ზემოხსენებულ სიტუაციას, ვცდილობ ნაკლებად მომთხოვნი ვიყო მათ მიმართ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელ პერიოდში ქართული რეკლამების ხარისხი საგრძნობლად გამოსწორდა. მათი უმეტესი ნაწილი ქართულ ბანკებზე და ჭამა-სმის ობიექტებზე თუ პროდუქტებზეა შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ სურათი არც ისე ტრაგიკულია, შიგადაშიგ ისეთებიც არის, როგორიც მაგალითად საოჯახო ლოტოს რეკლამა. ახალგაზრდა მომხიბვლელი გოგონა, რომელიც ანაწილებს მოგებულ 100 ათას ლარს: - წავა სამოგზაუროდ ესპანეთში, იყიდის შესანიშნავ სახლს, იყიდის კარგ მანქანას, და ჯანდაბას მისი დიეტა. აი, ამ დიეტის არსი ვერ გავიგე, რა კავშირი აქვს 100 ათას ლართან?1 სულ ვფიქრობ, ეს წინადადება ფანტაზიის უქონლობის გამო მოხვდა ამ მდარე ხარისხის რეკლამაში, თუ დიეტა, მართლაც, შემოსავლებთან არის დაკავშირებული. სათითაოდ ყოველი რეკლამის განხილვას ვერ მოვახერხებთ, ამიტომ ზოგადად შეგვიძლია შევაფასოთ ქართული ტელე-პროდუქცია. გარდა რამდენიმე უხარისხო რეკლამისა, რომელიც თავს, და არა რეკლამირებულ პროდუქციას, მხოლოდ საკუთარი უშინაარსობით, უფორმობით, გაუმართაობით და უნიჭო მსახიობებით დაგვამახსოვრებს, უკანასკნელ პერიოდში საერთო სურათი საშუალოა. ჩვენ ბევრი უხარისხო რეკლამა გვაქვს, ცოტა კარგი და, ძირითადად, უსახური, რომელიც არც ერთ კატეგორიას არ მიესადაგება. მაგრამ, სამაგიეროდ, საქართველოში უცხოეთიდან შემოდის რეკლამები, რომელთა ფონზე ქართული რეკლამა შედევრებად გამოიყურება. ეჭვი მაქვს, რომ თურქულ პროდუქციასთან ერთად შემოსული რეკლამები - ძირითადად, ქალის ჰიგიენური საფენები, ტამპონები (ცისფერი სითხე, რომელიც ბავშვების მსგავსად უკვე მეც ძალიან მაინტერესებს, რა არის), ბავშვის საფენები, კბილის პასტა, ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნი, ოფლის სუნის საწინააღმდეგო დეზოდორი, ზედმეტი ბალნების მოსაცილებელი მოწყობილობა და ა.შ. ყოველი რეკლამა არა მხოლოდ გულისხმობს, არამედ დაბეჯითებით გვკარნახობს მოხმარების წესებს. გარედან შემოსული რეკლამებიდან უმეტესობას ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქცია წარმოადგენს და საერთოდ, რეკლამებისთვის განკუთვნილი ტელე-ეთერი, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, ძირითადად, ქართველი ადამიანის დასუფთავება-გასუფთავებისთვის არის განკუთვნილი. შესაძლოა, ჩვენ ეს გვჭირდებოდეს, მაგრამ ჩემი სურვილი იქნება, თუკი მომავალში ახალი პროდუქტის იმპორტის თუ ქართული წარმოების რეკლამირებისას, ქართული ტელე-სივრცე უფრო პატარა ფილმებით, ანუ შემოქმედებასთან მიახლოებული რეკლამებით იყოს სავსე, ვიდრე მკაცრად და პირდაპირ ნაკარნახევი მარტივი ჰიგიენის დაცვის წესებით. მომავალში, ალბათ, როგორც ქართველი "რეკლამშიკები", ასევე ბიზნესმენები, რომელთაც უცხოური რეკლამა შემოქვთ საქართველოში, მიხვდებიან, რომ ორიგინალური ამბავი უფრო დასამახსოვრებელია მომხმარებლისათვის, ვიდრე უხარისხო და უსახური გამოსახულება.

რეცენზია

მოდის ლექსო მშვიდი რიდით

ნიკო ნერგაძე



ქართული პოპ-მუსიკის ლანძღვა ადვილი საქმეა. უაზრო ტექსტი და მუსიკა, მოპარული სიმღერები, გაცვეთილი მელოდია, სრული უგემოვნობა ძალიან უტეხავს სახელს ქართულ მუსიკალურ სცენას. ხარისხიანი პოპ-სიმღერები თითზე ჩამოსათვლელია და, ზოგადად, საშინელ ფონზე ამ მცირედის დანახვაც ჭირს. თუმცა, ავისთვის ავის წოდების გარდა, ალბათ, უპრიანია კარგსაც თავისი სახელი დავარქვათ.

კარგის მაგალითებია: გიგა მიქაბერიძის "როგორც მე მინდა, სად არის"; სოსო თოლორაიას და მარიკა თხელიძის "ქვეყანა აირია"; სტეფანეს "ხელები" და ბუკა მანაგაძის "მენატრება ბავშვობა". კარგი, ვთქვათ, ბუკაზე ვიხუმრე - არ არის ამ სიმღერაში კარგი არაფერი, მაგრამ დანარჩენ სიმღერებს არ უნდა დავუკარგოთ დამსახურება, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ტელევიზიით და რადიოთი დათო გომართელის ან ლელა წურწუმიას გვერდით გადის. რა თქმა უნდა, ეს სიმღერები მაღალ მხატვრულ ღირებულებებს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ ეს არც არის მათი დანიშნულება. მათი დანიშნულებაა, წაგაცეკვოს ან გაგამხიარულოს, თან ისე, რომ სინდისმა არ შეგაწუხოს, - ეს რა სურამელაშვილობას ვუსმენო. ამ ამოცანას კი ისინი მშვენივრად ასრულებენ. ჩემი აზრით, ლექს-სენიც ამავე, "კარგების" კატეგორიაში გადის.

ლექს-სენის ალბომის - "ლექსს არ ვყიდი", რეცენზიის წერისას შემეძლო, მელაპარა ლექს-სენზე როგორც რეპერზე და მელანძღა, იმიტომ, რომ რეპს, ისევე როგორც როკს, უფრო მაღალი მოთხოვნები აქვს, და რაც პაპსის ხარებს ეკადრებათ, რეპის, როკის ან ჯაზის იუპიტერები ვერ იკადრებენ. მაგრამ, ლექს-სენი არც ქართველი თუპაქია და არც ემინემი, ის უფრო უილ სმიტისნაირების კატეგორიას მიეკუთვნება.

როგორც "პაპსავიკი", ლექს-სენი ნიჭიერი შემსრულებელია. ამასთან, ეტყობა, რომ მან ბევრი იმუშავა ალბომზე. მასში შემავალი 10 სიმღერიდან ბალასტი არც ერთი არ არის, თუმცა სამი აშკარად ჩამოუვარდება დანარჩენს. ათიდან შვიდი არ არის ცუდი შედეგი არც დასავლური სტანდარტებით, სადაც, ისევე როგორც საქართველოში, ხშირად უშვებენ დისკებს, რომლებშიც მხოლოდ ორი სიმღერაა კარგი, დანარჩენი კი ისე, ადგილის შესავსებად არის ჩასმული.

განსაკუთრებით კარგია "მოდი, ადე" და "გაბედე". ერთსაც და მეორესაც აქვს ადვილად დასამახსოვრებელი, ამგდები მისამღერი, რომელიც ღრმად გებეჭდება თავში. "მოდის ეგზომ მშვიდი რიდით/ ენერგია შენში დიდი" და "რაც იყო გუშინ, დარჩა გულში" დღეების განმავლობაში მქონდა აკიდებული და თავიდან მოსაშორებლად ტრევისის ახალი სიმღერის დიდი დოზით მიღება დამჭირდა.

მელოდიურებია, აგრეთვე, "ვაპირებ", "დილამდე", "არ თქვა უარი". ლექს-სენი ახერხებს, რომ ალბომი ერთფეროვანი არ იყოს - ყველა სიმღერას თავისი მელოდია აქვს. ის ფაქტიც, რომ ლექს-სენი ტექსტსაც და მუსიკასაც თვითონ წერს, ნამდვილად დასაფასებელია. ალბომში მხოლოდ ერთი სიმღერა - "ვაპირებ" არის რემიქსი, ისიც - ნორმალურად გაკეთებული. ამისთვის ლექსო ქებას ნამდვილად იმსახურებს.

ლექსოს ყველაზე დიდი მინუსი ისაა, რომ, მართლაც, ლექსის სენი აქვს და არა ნიჭი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ მოვისმინე თითოეული სიმღერა, თან ტექსტშიც ვიჭყიტებოდი (კომპაქტდისკს თან სიმღერების ტექსტებიც ახლავს), აზრი მაინც ვერაფერი გამოვიტანე. თითქოს, ყველა სიტყვა ცალ-ცალკე მესმის, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირება ძალიან ჭირს. აყრის და აყრის ლექსუსა რითმებს და შინაარსი სულ ფეხზე ჰკიდია. აი, მაგალითი - "დაიწყო უკვე ახალი ერა/ვერა და ვერა, ვერა, ვერ დამაჯერა/ამ ენამ, ენამ ვინმე თუ გაახარა/ჩემს გარდა ნეტავ, ეს იცოდი განა? - და, თითქოს, ეს საკმარისად დამაბნეველი არ იყოს, აქედანვე აგრძელებს, - რომ მე ჩემი ანბანის ამბავით მოვედი/ და სწორედ აქ არის საშენო მომენტი".

ამ აბდაუბდას უკან შინაარსი მაინც კრთება ხოლმე. შინაარსი ყველა სიმღერას ერთი აქვს - ლექს-სენს ვიღაცის გაჟიმვა უნდა, გოგოს კი ძალიან დიდი შებმა სჭირდება. "მენდე"; "შენ ჩემი აკორდი ხარ ჩემთან გაგორდი"; "საოცარი ნეტარების დრო მოვიდა", - არწმუნებს ლექსო იმ ვიღაც გოგოს; "იყავი ნაღდი, მოდი დაგასვა დაღი", - ეუბნება მას და ხელებს იფშვნეტს. ამ რომანტიკის შემდეგ (ვიცი, "მოდი, დაგასვა დაღი" არაა დიდი რომანტიკა, მაგრამ ტექსტებში მრავლადაა მხარზე თავის დადება, ბაგეები, ხუმრობა, შორს მოგზაურობა და მსგავსი ვარდები) ლექსო უცებ უხეშდება და ასეთ რამეს "თხრის" - "მითხარი, მითხარი აზრები საღი/ ვიცი, რაც გინდა შენ, რომ გინდა/ შენ დღეს გინდა შენ და ყ... გინდა". კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი, პირველად რომ მოვისმინე.

ტექსტი ძალიან ხელს უშლის რეპერ ლექს-სენს, მაგრამ "პაპსავიკი" ლექს-სენისთვის ეს დიდი პრობლემა არაა - მთავარია, მელოდიაა თავის ადგილას და რითმსაც არა უშავს. ეს უკვე საკმარისია, რომ ლექსო ქართული მუსიკალური სცენის წარმომადგენელთა უმეტესობაზე ორი თავით მაღლა იდგეს. ამიტომაც წერენ ბავშვები მის სახელს კედლებზე და არა - "სთეისის" ან ქუჩის ბიჭებისას. ამიტომაც, მის კონცერტზე სპორტის სასახლე სავსე იქნება. რაც მთავარია, დარწმუნებული ვარ, კარგადაც იმღერებს.

ფეხბურთი

"რეალის" მომავალ ტრანსფერს პერესის იახტა ეწირება

სამეფო კლუბი მაურინიოს გადაბირებას აპირებს

აკა ტონია

ზაფხულის დადგომასთან ერთად მორიგი სატრანსფერო სეზონი გაიხსნება და ევროპული ფეხბურთის გრანდები ვარსკვლავების ყიდვა-გაყიდვას შეუდგებიან. უკვე ტრადიციად იქცა, რომ მადრიდის "რეალი" ყოველ ზაფხულს თითო "გალაქტიკელს" ყიდულობს. ფიგუ, ზიდანი, რონალდო... საუბარი იმის შესახებ, თუ ვის შეიძენს სამეფო კლუბი წლევანდელ ზაფხულს, შემოდგომიდან დაიწყო. ტიერი ანრი, რუდ ვან ნისტელროი, ფრანჩესკო ტოტი - დასავლური პრესა სწორედ ამ ფეხბურთელებზე აკეთებდა აქცენტს და "რეალის" მომავალ შენაძენად რომელიმე ეს ფეხბურთელი ესახებოდა. გავიდა დრო და მადრიდელთა საქმე არცთუ ისე კარგად წავიდა. კარლოს კეირუშის სამეფო კლუბი ჩემპიონთა ლიგას და ესპანეთის თასის გათამაშებას გამოეთიშა, პრიმერა-დივიზიონში კი უკანასკნელად მოსისხლე მტერთან, "ბარსელონასთან" დამარცხდა (1:2). ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ამ ზაფხულს "რეალმა" მხოლოდ მორიგი ვარსკვლავის შეძენაზე კი არა, ახალ მწვრთნელზეც უნდა იფიქროს. რაც შეეხება ფეხბურთელს, ის აუცილებლად დაცვითი ყაიდისა უნდა იყოს. ასე და ამრიგად, ანრიზე, ტოტიზე და ნისტელროიზე ახლა აღარავინ საუბრობს.



ფლორენტინო პერესი მორიგ დიდ ტრანფერს გეგმავს

დავიწყოთ მწვრთნელით. მადრიდელთა ახლანდელი დამრიგებელი, პორტუგალიელი კარლოს კეირუში საკუთარი "წარმატებებით" საკმაოდ კმაყოფილი ჩანს და გუნდიდან წასვლაზე არ ფიქრობს. სამაგიეროდ, კეირუშის წასვლაზე სერიოზულად დაფიქრდა კლუბის ხელმძღვანელობა, სწორედ ის ხელმძღვანელობა, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში განუწყვეტლივ იმეორებდა, კეირუში "რეალში" რჩებაო. პორტუგალიელი სპეციალისტის შემცვლელებზე საუბარი ინტენსიურად დაიწყო. "რეალის" კულისებიდან ინფორმაციამ გაჟონა და საქვეყნოდ გახდა ცნობილი, რომ კლუბის ხელმძღვანელობა რომის "ლაციოს" მწვრთნელთან, რობერტო მანჩინისთან აპირებდა შეხვედრას. მიუხედავად იმისა, რომ ამას მანჩინიც უარყოფდა და "რეალიც", ყველამ გაიგო, რომ ეს შეხვედრა, მართლაც, შედგა. სამეფო კლუბის ხელმძღვანელები იტალიელ მწვრთნელთან შეხვედრით არცთუ კმაყოფილები დარჩენილან. მათ არც მისი საფეხბურთო ფილოსოფია მოსწონებიათ და არც მისი მადა. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ "რეალმა" უარი თქვა შედარებით მცირე გამოცდილების მქონე ახალგაზარდა მწვრთნელის სამსახურზე, თანაც, ეს მწვრთნელი იმდენს მოითხოვდა, რომ მისი გადახდა მდიდარ "რეალსაც" არ შეუძლია. "ლაციოში" მანჩინი ყოველწლიურად 4 მილიონ ევროს გამოიმუშავებს და "რეალის" მიერ შეთავაზებული 2 მილიონი, ალბათ, სასაცილოდაც არ ეყო...

ასე რომ, მანჩინის კანდიდატურა გამოირიცხა. მაგრამ ის ხომ არ ყოფილა ერთადერთი, ვისაც კეირუშის შემცვლელად განიხილავდნენ. არგენტინული "ბოკა ხუნიორსის" თავკაცი კარლოს ბიანკი და პორტუგალიის "ბენფიკას" ესპანელი დამრიგებელი ხოსე ანტონიო კამაჩო - "რეალში" ამ კანდიდატურებსაც განიხილავდნენ. მაგრამ "ბოკა ხუნიორსის" ხელმძღვანელობამ უკვე გააკეთა ოფიციალური განცხადება და მადრიდელებს შეუთვალა, რომ ბიანკის გაშვებას არ აპირებენ. არგენტინულ კლუბთან მისი კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს იწურება და მის ვადამდე გაწყვეტას არც "ბოკა ხუნიორსი" აპირებს და არც თავად ბიანკი.

დიდად რეალური არც კამაჩოს საკითხი ჩანს. ცნობილია, რომ ეს ადამიანი "რეალის" ყოფილი მწვრთნელის, ვისენტე დელ ბოსკეს დიდი მეგობარია. ესპანელები ფიქრობენ, რომ ამ ფაქტის გამო "რეალის" ხელმძღვანელობას კამაჩოსთან საქმის დაჭერა დიდად არ სურს.

ნუთუ "რეალი" უმწვრთნელოდ დარჩება? - არა, "რეალი" ნამდვილად არ არის ის კლუბი, რომელსაც თავისი გუნდისთვის ძლიერი მწვრთნელის მოძიება გაუჭირდება. არ იქნება მანჩინი, არ იქნება ბიანკი, მაგრამ იქნება... მაურინიო?!

უკანასკნელი წლების ტრიუმფატორის, "პორტოს" ახალგაზრდა მწვრთნელის, ჟოზე მაურინიოსადმი ინტერესი სულ ცოტა ხნის წინათ გამოამჟღავნა ლონდონის "ჩელსიმ". არ გასულა ერთი თვეც და მაურინიოს გვარი ფლორენტინო პერესის ბლოკნოტშიც გაჩნდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ "რეალი" პირველად არ დაინტერესდა მაურინიოს კანდიდატურით. ეს მწვრთნელი მადრიდელებს ვისენტე დელ ბოსკეს შემცვლელად ესახებოდათ, თუმცა, ბოლოს კარლოს კეირუშს მიანიჭეს უპირატესობა. ახლა კი მაურინიო კეირუშის შემცვლელად მოიაზრება...

ახლა ძნელი სათქმელია, თუ ვინ დაიკავებს "რეალის" მწვრთნელის პოსტს, ისევე როგორც იმ ფეხბურთელის დასახელება, რომელიც სამეფო კლუბის მორიგ "გალაქტიკელად" მოინათლება. მაგრამ იმის თქმა, რომ მომავალ ზაფხულს "რეალი" კვლავაც უმაღლესი დონის კაშკაშა ვარსკვლავს შეიძენს, ალბათ, დარწმუნებით შეიძლება.

სავარაუდოა, რომ მომავალი ტრანსფერის ობიექტი დაცვითი სტილის ფეხბურთელი იქნება, ალბათ, უფრო ცენტრალური ან საყრდენი ნახევარმცველი. კვლავ გაისმა, თანაც, ძალიან ხმამაღლა, "ვალენსიას" არგენტინელი მცველის, რობერტო ფაბიენ აიალას გვარი. აქვე უნდა ვთქვათ, რომ აიალას შეძენა აბრამოვიჩსაც სურს. მაგრამ თუ "რეალმა", მართლაც, აიალას გადაბირება გადაწყვიტა, "ჩელსი" მათ ვერავითარ პრობლემას ვერ შეუქმნის. თავად ფეხბურთელმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ უზომოდ ბედნიერია, რაკი "რეალის" დაინტერესება შეძლო. აიალაზე რომ მიდგეს საქმე, "ჩელსისა" და "რეალს" შორის ის უკანასკნელზე გააკეთებს არჩევანს.

მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ "რეალმა" უკანასკნელი წლების ტრადიცია დაარღვიოს და ერთი სუპერვარსკვლავის ნაცვლად ორი ან მეტი ფეხბურთელი შეიძინოს. მცველები, შემტევი ყაიდის მოთამაშეებთან შედარებით, ნაკლებად ფასობენ. ხოლო თუ "რეალს" მხოლოდ ერთი მცველის შეძენა სურს, მაშინ ფლორენტინო პერესის კუთვნილი იახტის გაყიდვაზე არ უნდა დაწყებულიყო საუბარი. ვერ გაიგეთ? - ახლავე აგიხსნით.

ორიოდე დღის წინათ მადრიდელთა პრეზიდენტმა პერესმა მეტად უცნაური გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა. იმ შემთხვევაში, თუ მორიგი ტრანსფერის განსახორციელებლად "რეალს" თანხა არ ეყოფა, პერესი საკუთარი ფეშენებელური იახტის გაყიდვას და მიღებული თანხის ახალ ფეხბურთელში დაბანდებას აპირებს. პრეზიდენტის სუპერ-იახტას "Pitina II" ჰქვია და ექსპერტების მიერ 18 მილიონ ევროდ არის შეფასებული. ეს იახტა საზღვაო ტექნიკის ნამდვილი საოცრებაა. აქვს რვა კაიუტა, სამი დიდი დარბაზი, ხუთი სააბაზანო ოქროთი შესრულებული სანტექნიკით, ჯაკუზი, ღია აუზი გემბანზე და ერთიც გადახურული, ორი სამზარეულო - ერთი სამხრეთამერიკული ნაციონალური კერძებით, მეორე კი - ესპანურით. "Pitina II"-ის ბორტზე კინოთეატრიც კი არის.

ფლორენტინო პერესის ეს იახტა უკვე შესულია მადრიდის "რეალის" ისტორიაში. სწორედ ის მასპინძლობდა უმაღლესი დონის საიდუმლო მოლაპარაკებებს ლუიშ ფიგუს "ბარსელონადან" "რეალში" გადასვლის შესახებ. "Pitina II"-ზე წყდებოდა რონალდოს ტრანსფერის საქმეც. აქ არაერთხელ ყოფილან მადრიდის "რეალის" ფეხბურთელებიც - პერესი მათ ხშირად პატიჟებს თავის იახტაზე. "Pitina II"-ზე პერესს მოწყობილი აქვს მადრიდის "რეალის" სპეციალური ოთახიც კი, რომელსაც "Salon Galactico" ეწოდება. ამ ოთახის კედლები სავსეა სამეფო კლუბის ვარსკვლავთა სურათებით. აქ არის ყველაფერი, რაც კი სამეფო კლუბს ეხება.

ფლორენტინო პერესი კი ამ საოცრების გაყიდვას აპირებს! ნეტა, ვინ იქნება ის ფეხბურთელი, რომლისთვისაც "რეალის" პრეზიდენტი "Pitina II"-ს გამოეთხოვება?

"ფოქს კიდსი" ფეხს იდგამს

გიგა გურასაშვილი

რამდენიმე დღეც და პატარა საფეხბურთო მოედნებზე დაიწყება "ფოქს კიდსის" (FOX KIDS CUP 2004) თასის გათამაშება - უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, 13 წლამდე ასაკის გოგონათა და ბიჭუნათა (იგივე პატარა მელაკუდების) მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, ჩემპიონატი, რომელმაც 1999 წელს აიდგა ფეხი და ახლა მეორედ ეწვია საქართველოს.



სულ მალე „ფოქს კიდსი" აიღებს სტარტს

ზოგადად, წლეულს "ფოქს კიდსის" თასის მეხუთე გათამაშებაა. პირველ წელს გათამაშებაში ოთხმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა, ახლა კი იგი ბევრად მასშტაბურია - მილიონამდე ბავშვს ევროპიდან, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკიდან საშუალება ეძლევა, აისრულოს საფეხბურთო ოცნება! უფრო ზუსტად, პატარა მელაკუდები არგენტინიდან, ბრაზილიიდან, მექსიკიდან, აშშ-დან, ბულგარეთიდან, საფრანგეთიდან (რომელიც წლევანდელი გათამაშების მასპინძელია), გერმანიიდან, უნგრეთიდან, ისრაელიდან, იტალიიდან, ჰოლანდიიდან (2003 წლის გათამაშების მასპინძელი), ნორვეგიიდან, რუსეთიდან, ესპანეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და საქართველოდან. ერთი სიტყვით, სამი კონტინენტის 16 ქვეყნის მილიონამდე ბავშვი.

ეს ისე, ზოგადად, საქართველოში კი "ფოქს კიდსის" საფეხბურთო მოედნებზე ითამაშებს დაახლოებით 3600 ბავშვი. სამწრიანი შესარჩევი ტურნირი გამოავლენს იმათ ვინაობას, რომლებიც ფინალურ ასპარეზობაში მიიღებენ მონაწილეობას. 2004 წლის ფინალური მატჩები 63 ქვეყანაში 15 ენაზე გაშუქდება და მას 173 მილიონი ოჯახი მიადევნებს თვალყურს.

შარშან, როდესაც საქართველომ პირველად უმასპინძლა "ფოქს კიდსის" გათამაშებას, ბევრმა წინდაწინვე შეიტანა ეჭვი ამ ტურნირის სამართლიანობაში - ეგონათ, რომ წარმატებაზე ფიქრი არარეალური იქნებოდა, რადგან არათბილისურ გუნდს ჰოლანდიის საგზურს არ დაუთმობდნენ. თბილისელთა ერთი ნაწილი კი თვლიდა, რომ ყველაფერი წინასწარ იქნებოდა გადაწყვეტილი და ბავშვებს ტყუილად გული უნდა სტკენოდათ. სინამდვილეში კი გოგონათა შორის საუკეთესო გუნდი "დიანა" ხაშურიდან გახლდათ, ხოლო ბიჭუნათა გუნდი "ნადიკვარი" - თელავიდან! ამაში წლეულსაც დავრწმუნდებით, თუ, რა თქმა უნდა, ურწმუნო თომასთან არ გვექნება საქმე.

და კიდევ, თუ შარშან "ფოქს კიდსმა" 20 ქვეყანა გააერთიანა, წლეულს გათამაშების ორგანიზატორებმა მათი რაოდენობა ოთხით შეამცირეს. რომ არა საქართველოს მხარის, ანუ ტურნირის ორგანიზატორის, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის მიერ აღებული ვალდებულებების ზედმიწევნით დაცვა, რომელიც პარტნიორ ტელეკომპანიებთან ერთად აშუქებდა ასპარეზობების მიმდინარეობას, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, უიღბლოთა ოთხეულში საქართველოც აღმოჩნდებოდა.

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება, "ფოქს კიდსის" შტაბბინიდან, შარშანდელ გათამაშებაზე ინგლისიდან მოვლინებული გრაჟინა კროფსტის შეფასება გაგვეხსენებინა: "დიდი ხანია, ასეთი ფანტასტიკური შეჯიბრება არ მინახავს. გამოგიტყდებით, ასპარეზობის დონემ მოლოდინს გადააჭარბა. მინდა, გაზეთ "24 საათის" მეშვეობით დიდი მადლობა გადავუხადო "რუსთავი 2-ს", რომელმაც უზრუნველყო ტურნირის საინფორმაციო მხარდაჭერა და არა მარტო ეს. ტურნირი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ერთადერთი სხვაობა, რაც თვალში მომხვდა, ეს შეჯიბრების დონე, მასმედიისა და გულშემატკივართა ყურადღება გახლდათ. ვფიქრობ, თქვენმა ენთუზიაზმა "ფოქს კიდსის" მიმართ სხვა ქვეყნებისგან გამოგარჩიათ".

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ "ფოქს კიდსი" ერთადერთი საფეხბურთო შეჯიბრებაა, რომლის ორგანიზებაც მედიის მესვეურთა ხელშეწყობით ხდება.

წლევანდელ გათამაშებაში "რუსთავი 2"-ს კვლავაც გვერდში უდგანან პარტნიორი ტელეკომპანიები, რომლებიც, იმავდროულად, ტურნირის ორგანიზატორები არიან რეგიონებში: თანამგზავრი, ლაგოდეხის ტელევიზია, მეთორმეტე არხი, თრიალეთი, დია, ლომსია, არგო, იმერვიზია, მეცხრე ტალღა, "ოდიში", "ჯიხა", "კოლხეთი", "გურია", "ეგრისი", "მეგა ტივი", "თვალი", "ფარვანა", "ბორჯომი" და დამოუკიდებელი წარმომადგენელი რუსთავიდან.

რაც შეეხება პრესის მხრიდან საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფას, ისევე როგორც შარშან, მასში საკუთარ წვლილს შეიტანს გაზეთი "24 საათი" და მისი შვილობილი საბავშვო ყოველკვირეული გაზეთი "12"-მდე, რომელიც, სხვათა შორის, საკუთარი გუნდით გამოვა გათამაშებაში.

ინფოთეკა

ფეხბურთი. ინგლისურ "ბოლტონსა" და ბრაზილიელ რივალდოს შორის მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ 32 წლის ფეხბურთელი ამ კლუბში გააგრძელებს კარიერას. კლუბის ხელმძღვანელები ამ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ადასტურებენ, თუმცა, არც უარყოფენ. სავარაუდოა, რომ რივალდო ამავე კვირას, "ლიდსის" წინააღმდეგ მატჩში მოირგებს "ბოლტონის" ფორმას.

■ ■ ■

ფეხბურთი. "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ უარყო ინფორმაცია იმის შეახებ, თითქოს მისი კლუბი ფრანჩესკო ტოტის შეძენას გეგმავს. "ბევრს ჰგონია, რომ სილვიო ბერლუსკონის "მილანის" რიგებში ტოტის ხილვა სურს. ეს არ არის მართალი. ტოტი რომში დაიბადა და გაიზარდა, მან "რომაში" უნდა ითამაშოს", - განაცხადა გალიანიმ.

■ ■ ■

ფეხბურთი. მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე "მილანის" მიტოვებას აპირებს დანიელი მცველი მარტინ ლაურსენი. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ, შესაძლოა, ლაურსენი შოთა არველაძის თანაგუნდელი გახდეს. სწორედ "გლაზგო რეინჯერსში" თამაში სურს ლაურსენს. შოტლანდიური კლუბი ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ცდილობდა დანიელი ფეხბურთელის გადაბირებას, თუმცა, მაშინ "მილანი" უარზე იყო. ახლა კი იტალიური კლუბი ყაბულსაა და ლაურსენიც იმედოვნებს, რომ "რეინჯერსს" კვლავინდებურად სურს მისი გადაბირება.

■ ■ ■

ფეხბურთი. კორეული პრესა იუწყება, რომ თურქეთის ნაკრების ან უკვე ყოფილ მწვრთნელს, შენოლ გიუნეშს სამხრეთ კორეის ნაკრებში მუშაობის დიდი სურვილი აქვს. "თუ სამხრეთ კორეის ფეხბურთის ფედერაციას მიაჩნია, რომ მე მათი პრობლემების მოგვარებას შევძლებ, მაშინ მე დიდი სიამოვნებით დავთანხმდები მათთან მუშაობას. ჯერჯერობით მათგან არავინ შემხმიანებია, თუმცა, არც სხვა ნაკრებ გუნდებთან და კლუბებთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას. ეს იმას ნიშნავს, რომ კორეელთა მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში ულაპარაკოდ დავთანხმდები მათ წინადადებას", - აცხადებს გიუნეში.

■ ■ ■

ფეხბურთი. ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ გერმანიის ნაკრებისა და დორტმუნდის "ბორუსიას" ნახევარმცველი კრისტოფ მეცელდერი მომავალ ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს. მძიმე ტრავმის გამო მეცელდერი ჯერ კიდევ 2003 წელს ჩამოშორდა ფეხბურთს. ფეხბურთელი და მისი ექიმები იმედოვნებდნენ, რომ ის ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ ცხადი გახდა, რომ მეცელდერის მომჯობინება ვერ მოესწრება.

■ ■ ■

ფეხბურთი. მადრიდის "ატლეტიკომ" დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კლუბი მარსელის "ოლიმპიკის" ეგვიპტელი თავდამსხმელის, აჰმედ მიდოს შეძენას აპირებს. საფრანგეთში გადასვლამდე მიდო უკვე თამაშობდა ესპანეთში, კერძოდ, ვიგოს "სელტაში". ამსტერდამის "აიაქსის" ყოფილი ვარსკვლავის საქმეები "მარსელში" არც ისე კარგად აეწყო. მას უთანხმოება აქვს კლუბის ხელმძღვანელებთან იმის გამო, რომ სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. "ატლეტიკოს" გარდა, მიდოს გადაბირებით სხვა ევროპული კლუბებიც არიან დაინტერესებული და მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ის, ალბათ, დატოვებს "მარსელს".

■ ■ ■

ფეხბურთი. 28 აპრილს 91 წლის ასაკში გარდაიცვალა მადრიდის "რეალის" პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის დედა, სოლედად როდრიგესი. რამდენიმე ხნის წინათ მან ფილტვების ანთება გადაიტანა, რის შემდეგაც ველარ მომჯობინდა.

■ ■ ■

ფორმულა 1. კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია მომავალი სეზონიდან მიატოვებს "უილიამსს" და "მაკლარენში" გადავა. "უილიამსის" შეფს ფრენკ უილიამსს კი მის ნაცვლად "ბარის" ინგლისელი პილოტის ჯეისონ ბატონის გადაყვანა სურს. ბატონის კარიერა სწორედ "უილიამსში" დაიწყო 2000 წელს, შემდეგ კი ის გადავიდა "ბარში", რომლის რიგებშიც დიდ წარმატებებს აღწევს. მიმდინარე სეზონში ბატონმა უკვე სამჯერ დაიკავა საპრიზო ადგილი. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა პილოტით "ფერარიც" არის დაინტერესებული.

■ ■ ■

ჩოგბურთი. წარსულში სახელგანთქმულმა გერმანელმა ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა ვარჯიში დაიწყო და ბოლო დროს ხშირად თამაშობს ჩოგბურთს. ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს ეს ამბავი არ გამოეპარათ და მყისვე დაიწყეს იმაზე საუბარი, თითქოს გრაფი დიდ ჩოგბურთში აპირებს დაბრუნებას. მაგრამ თავად შტეფიმ ყველა ეს ჭორი კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ კარიერის განახლებაზე არც უფიქრია. გრაფმა თქვა, რომ არც ჩოგბურთში აპირებს დაბრუნებას და არც მეუღლესთან, ანდრე აგასისთან ერთად წყვილებში თამაშს.

რაგბი

კავშირი თასით იწყებს მუშაობას

ბორჯღალოსნები ახალი მრწვრთნელის მოლოდინში არიან

ჰაატა თოთაძე

რას მოუტანს ქართულ რაგბის ხელმძღვანელობის შეცვლა? პასუხი ამ კითხვას მომავალში გაეცემა, მანამდე კი კავშირის ახალი ხელმძღვანელობა მემკვიდრეობაში გარკვევით, კადრების შეცვლით და თასის გათამაშების ორგანიზებითაა დაკავებული.

პრეზიდენტის ამბავი არჩევნებზე გაირკვა, გენერალური მდივანი ირაკლი გვენეტაძე იქნება, საშეჯიბრო კომიტეტს გოჩა აბაშიძე უხელმძღვანელებს. ძველ თანამდებობაზე დარჩა გია ჭუმბურიძე, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში რაგბის განვითარების მენეჯერია. მედიასთან ურთიერთობას, გია კუბლაშვილის ნაცვლად, სხვა უზრუნველყოფს, თუმცა, ვინ იქნება ეს სხვა, ჯერ გაურკვეველია. მუშაობას აგრძელებენ ეროვნული ნაკრების მწვრთნელებიც. ირაკლი გვენეტაძის თქმით, მიხეილ ბურძგლას განვლილი მატჩების ანგარიში აქვს ჩასაბარებელი, შემდეგ კი მასზეა დამოკიდებული, გააგრძელებს თუ არა ნაკრებში მუშაობას, თუმცა, ესეც, ალბათ, დროებითი იქნება, რადგან, როგორც გაირკვა, კავშირის ხელმძღვანელობა ნაკრების მწვრთნელის პოსტზე უცხოელი სპეციალისტის მოწვევას აპირებს. როდის მოხდება ეს ან ვინ იქნება ნაკრების მწვრთნელი, არაა დაზუსტებული. ირაკლი გვენეტაძის თქმით, ნაკლებად სავარაუდოა, ეს ამბავი წლეულს მოესწროს. რაც შეეხება კანდიდატურას, ერთნი ამბობენ, ის ფრანგი იქნებაო, მეორენი კი სამხრეთ ნახევარსფეროს წარმომადგენელს ვარაუდობენ.

სანამ ეს საკითხები გაირკვევა, ქართულ კლუბებს თამაში მოუწევთ ეროვნული თასის გათამაშებაში, რომელიც ხვალ დაიწყება. ტურნირში 14 გუნდი მიიღებს მონაწილეობას - 13 ქართული და ერთიც აზერბაიჯანული, რომელსაც გურამ მოდებაძე წვრთნის. გუნდები შარშანდელ ჩემპიონატში დაკავებული ადგილების მიხედვით არიან გადანაწილებულნი:

1. ლოკომოტივი (თბილისი)
2. ყოჩები (თბილისი)
3. იმედი L - აკადემია (თბილისი)
4. დათვები (ბათუმი)
5. ლელო (თბილისი)
6. აია (ქუთაისი)
7. უნივერსიტეტი (თბილისი)
8. დათვები 2 (ბათუმი)
9. ხულიგანა (თბილისი)
10. დინამო (თბილისი)
11. იმედი L - აკადემია 2 (თბილისი)
12. არმაზი (თბილისი)
13. ყოჩები 2 (თბილისი)
14. ბაქო

პირველ ეტაპზე მე-7-14 ადგილზე მყოფნი შეხვდებიან ერთმანეთს. მოგებულები გააგრძელებენ ბრძოლას თასისთვის, დამარცხებულნი კი წრიულად ერთმანეთში ითამაშებენ. მეორე ეტაპზე პირველ ეტაპზე გამარჯვებულებს დაემატებათ მე-3-6 ადილზე მყოფი გუნდები. მესამე ეტაპიდან კი ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ჩაებმებიან ბრძოლაში. პირველი სამი ეტაპის მიხედვით გუნდები გადანაწილდებიან ადგილების მიხედვით, რის შემდეგაც მეოთხე ეტაპზე პირველ-მეოთხე ადგილზე გასულები გაითამაშებენ თასს, დანარჩენები კი - ყველა მომდევნო ადგილს.

ხვალ, თასის პირველ ეტაპზე, "დინამო" "იმედი L-აკადემია 2"-ს შეხვდება, "ხულიგანა" - "არმაზს", კვირას კი უნივერსიტეტი ბაქოს გუნდს გაეჯიბრება. კალენდრის მიხედვით თასის გათამაშება 18 ივლისს უნდა დასრულდეს. ამის შემდეგ მორაგბეები ერთ თვეს დაისვენებენ, აგვისტოს ბოლოს (ან სექტემბრის დასაწყისში) კი ჩემპიონატი დაიწყება.

კრივი

ვლადიმირ კლიჩკო რევანშს ითხოვს

უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო ძმის გაჩემპიონების შემდეგ გულზე მოვიდა და ლემონ ბრიუსტერთან მატჩ-რევანშს ითხოვს. შეგახსენებთ, რომ ამას წინათ ბრიუსტერმა საშინლად გალახა უმცროსი კლიჩკო და ნოკაუტით გაიმარჯვა. თუმცა, ორთაბრძოლის შემდეგ გაირკვა, რომ კლიჩკოს ორგანიზმში შაქრის შემცველობა დაშვებულ ნორმას სამჯერ აღემატებოდა, რაც, ბუნებრივია, ბრძოლის დროს უარყოფითად იმოქმედებდა კლიჩკოს ბრძოლისუნარიანობაზე. კლიჩკოს მიაჩნია, რომ ვიღაცამ საგანგებოდ იზრუნა იმაზე, რომ მის ორგანიზმში ბრძოლის წინ შაქრის შემცველობა გაეზარდა, ამიტომ ის მატჩ-რევანშს ითხოვს. უკრაინელს სურს, განმეორებითი ბრძოლით დაამტკიცოს, რომ ბრიუსტერის გამარჯვება არაკანონზომიერი იყო. მოკრივის წარმომადგენლებმა შესაბამისი თხოვნა უკვე გაუგზავნეს WBO-ის ხელმძღვანელობას.

კლიჩკო ჩივის

10 აპრილს WBO-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ვლადიმირ კლიჩკო ლემონ ბრიუსტერთან შესახვედრად ფავორიტის როლში გამოვიდა, მაგრამ მე-5 რაუნდში რინგის იატაკზე გაიშხლართა და ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო. მატჩის შემდეგ მოკრივემ და მისმა გუნდმა გააკეთეს განცხადება, რომლის მიხედვითაც კლიჩკო დაამარცხა არა ბრიუსტერის მუშტებმა, არამედ საკმაოდ უჩვეულო მოვლენებმა. კერძოდ, მოკრივის ორგანიზმში შეიძლება მოხვედრილიყო ნივთიერება, რომელსაც შეეძლო მკვეთრად გაერთულებინა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ანალიზის შედეგები, რომელსაც კლიჩკოს გუნდის გამონათქვამების საფუძვლიანობა უნდა დაედასტურებინა, დღემდე არ გამოქვეყნებულა. ასე რომ, ეს ვერსია მეტისმეტად საეჭვოა. სამაგიეროდ გაათავისუფლეს ძმების სეკუნდანტი ჯო სოუზა, რომელმაც მოკრივეს ბრძოლის წინ თითქოს ისეთი მალამო წაუსვა, რომელმაც ფორებიდან ოფლის გამოყოფა შეზღუდა და ხელი შეუშალა კანის სუნთქვის პროცესს. ამან კი კლიჩკოს ძალები გამოაცალა.

ამ ასევე საეჭვო გამართლების შემდეგ უნდა დაწყებულიყო მსოფლიო კრივის სამყაროში უმცროსი კლიჩკოს იმიჯის აღდგენა, იმიჯისა, რომელიც ვლადიმირ კლიჩკოს, მართლაც, ძალიან შეერყა. ერთი წლის განმავლობაში მან ორი ნოკაუტი იწვნია, თანაც, ისეთი მეტოქეებისგან, რომლებიც კრივის სამყაროში საუკეთესოებად არ მიიჩნევიან.

BBC-ის ცნობით, კლიჩკოს წარმომადგენლებმა WBO-ის თხოვნა მატჩ-რევანშის შესახებ უკვე გაუგზავნეს. პასუხი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ბრძოლა უახლოეს მომავალში მაინც არ გაიმართება. საქმე ის არის, რომ WBO-მ ლემონ ბრიუსტერს მოსთხოვა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უახლოეს 120 დღეში ჯეიმს ტონისთან ბრძოლაში დაიცვას.

მთავარი სირთულე კი ის არის, რომ ვლადიმირ კლიჩკო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის ნომინალური პრეტენდენტების რიცხვშიც არ შედის. ბრიუსტერთან წაგების შემდეგ ის რეიტინგში მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა. მიუხედავად ადვოკატ რონ დინიკოლის თხოვნისა, რომ კლიჩკო რეიტინგში პირველ ადგილზე აღედგინათ და, შესაბამისად, პრეტენდენტადაც ეღიარებინათ, WBO-ის ხელმძღვანელობამ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა.

პრობლემა კიდევ ის არის, რომ ბრიუსტერთან დამარცხების შემდეგ კრივის სამყაროში მეტად პატივცემულმა და გავლენიანმა პიროვნებებმა კლიჩკოზე ხელი ჩაიქნიეს. როი ჯონს-უმცროსმა და პრომოუტერმა დონ კინგმა მას ურჩიეს, რინგი დაეტოვებინა, ვიდრე ამის საშუალება ჯერ კიდევ იყო. ამის შემდეგ კლიჩკოს ერთადერთ იმედად ანალიზების პასუხი რჩებოდა, მაგრამ...

პრინციპში, სოუზას გათავისუფლებამაც ვერ გასცა ბევრ კითხვას პასუხი, რადგან კითხვები მაინც ჩნდება. მაგალითად, როგორ შეიძლება, პოტენციური მსოფლიო ჩემპიონის გუნდში მოხვედრილიყო არაპროფესიონალი, რომელმაც მოკრივეს ისე წაუსვა მალამო, რომ მისი თვისებები არ იცოდა? ან სოუზა ყეყეჩია, რომელმაც შეგნებულად ჩაიდინა სისულელე იმისთვის, რომ შემდეგ სახალხოდ გაეკიცხათ და გაეთავისუფლებინათ.

როგორც ჩანს, ასეთი მისტიკური დავიდარაბა კლიჩკოს იმისთვის სჭირდება, რომ მანევრებისთვის სივრცე შეინარჩუნოს. სწორედ ამისთვის უმცროსმა კლიჩკომ მოახდინა ცნობილ სურათზე აპელირება. "მე არ ვიცი, რატომ მოხდა ეს ყველაფერი. ბრიუსტერთან ბრძოლის წინ შესანიშნავ ფორმაში ვიყავი. მე ძლიერ დარტყმებს არ ვუშვებდი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ნოკაუტში აღმოვჩნდი და დამოუკიდებლად წამოდგომა ვერ შევძელი. ძალიან მინდა, ბრიუსტერს კიდევ ერთხელ შევხვდე, რათა კრივის სამყაროს ვუჩვენო, რომ ხუთ რაუნდზე მეტხანს შემიძლია ბრძოლა", - განაცხადა ვლადიმირ კლიჩკომ.

კლიჩკო-ბრიუსტერის მატჩს მაიკ ტაისონის ბანაკმაც გაუკეთა კომენტარი. ხუთშაბათს ტაისონის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ "რკინის მაიკი" რინგზე ბრუნდება.

მაიკ ტაისონმა უკანასკნელად 2003 წლის თებერვალში იჩხუბა, როცა კლიფორდ ეტიენი დაამარცხა. ახლა მას ირლანდიელ კევინ მაკბრაიდთან მოუწევს ბრძოლა. კლიჩკოსთან ან ბრიუსტერთან შესაძლო შეხვედრას კი ტაისონის ახალმა მწვრთნელმა ფრედი როუჩმა ასეთი კომენტარი გაუკეთა: "მაიკმა მითხრა, დარწმუნებული ვარ, ორივეს მოვუგებო".

მოკლედ

იყიდება ნისტელროი

"მანჩესტერ იუნაიტედი" მოულოდნელ და არაორდინარულ გადაწყვეტილებას იღებს: მზად არის, თავის სუპერფორვარდს, ჰოლანდიელ რუუდ ვან ნისტელროის შეელიოს. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი მზად არის, განიხილოს ნისტელროის ტრანსფერთან დაკავშირებული წინადადებები - იუწყება ბრიტანული ტაბლოიდი "სანი". "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი 28 მილიონ გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული.

რუუდ ვან ნისტელროიმ 2004 წლის იანვარში მანჩესტერულ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ მას შემდეგ ურთიერთობა გაუფუჭდა სერ ალექს ფერგიუსონთან და გუნდის ზოგიერთ წევრთან. ასე რომ, ნაკლებად სავარაუდოა, ნისტელროი მანჩესტერში დიდხანს გაჩერდეს.

ნისტელროისთვის ძირითადი ბრძოლა ესპანურ გრანდებს - მადრიდის "რეალსა" და "ბარსელონას" შორის გაჩაღდება. სეზონის მიმდინარეობისას "რეალის" ხელმძღვანელობა დაუკავშირდა ჰოლანდიელის აგენტ როჯერ ლინსეს, მაგრამ "მანჩესტერ იუნაიტედი", ალბათ, უფრო "ბარსელონისკენ" გადაიხრება, რადგან მადრიდის "რეალი" ევროპულ სარბიელზე ინგლისელების ერთ-ერთი სერიოზული კონკურენტია.

თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ესპანური გრანდები "მანჩესტერ იუნაიტედის" კიდევ ერთ ლიდერზე, დევიდ ბექჰემზე შარშანაც დავობდნენ. მაშინ ინგლისელებმა უპირატესობა მადრიდის "რეალს" მიანიჭეს და ბექჰემი ფლორენტინო პერესის გუნდს მიჰყიდეს.

აღსანიშნავია, რომ რუუდ ვან ნისტელროი "მანჩესტერ იუნაიტედში" ჰოლანდიის "პსვ ეინდჰოვენიდან" სამი წლის წინათ გადავიდა და 142 მატჩში 106 გოლი გაიტანა.

ლაპორტა რონალდინიოს არ დათმობს

გუშინ პრესკონფერენცია მოიწვია საფეხბურთო კლუბ "ბარსელონას" პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ. მან განაცხადა, რომ ამ ბოლო დროს სხვადასხვა გუნდების პრეზიდენტები რონალდინიოს ყიდვას ცდილობენ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რონალდინიოს გაყიდვით "ბარსელონა" ბევრად მეტ ფულს მიიღებს, ვიდრე კლუბმა ფეხბურთელში გადაიხადა, ლაპორტა აცხადებს, რომ რონალდინიოს არაფრით არ შეელევა. შეგახსენებთ, რომ სულ რაღაც ერთი წლის წინათ ჟოან ლაპორტამ არჩევნებში გაიმარჯვა და "ბარსელონას" კლუბის პრეზიდენტი გახდა. მან თავიდანვე მიზნად დაისახა რონალდინიოსა და დევიდ ბექჰემის ყიდვა. ახლა კი ლაპორტა უაღრესად გახარებულია, რომ მან იყიდა რონალდინიო და არა ბექჰემი. ჟოანმა განაცხადა, რომ ბექჰემი უდავოდ შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ რონალდინიო თავის პოზიციაზე საუკეთესოა. კლუბ "ბარსელონას" ხელმძღვანელობა ძალიან კმაყოფილია ლაპორტას მუშაობით. ისინი აცხადებენ, რომ მან იყიდა ფეხბურთელი, რომელმაც გუნდს "რეალთან" შეხვედრაში მოაგებინა და ბევრი სხვა ძლიერი გუნდის წინააღმდეგაც გამოიჩინა თავი. ბარსელონაში მიაჩნიათ: სწორედ რონალდინიოს დამსახურებაა, რომ კატალონიური კლუბი სატურნირო ცხრილში მესამე პოზიციაზე დამკვიდრდა. ამჟამად ბარსელონა მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩება პირველ ადგილზე მყოფ "ვალენსიას".

ბრაიანტმა "ლეიკერსი" ჩემპიონებს დაუჯახა

"ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" მოიგო პლეი-ოფის სერია "ჰიუსტონ როკეტსთან" შეხვედრაში და გავიდა დასავლეთ კონფერენციის ფინალში, სადაც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მოქმედ ჩემპიონს "სანანტონიო სფურსს" შეხვდება. შარშანდელ სეზონში სწორედ "სფურსმა" მოხსნა შაკილსა და კამპანიას NBA-ის ჩემპიონის უფლებამოსილებანი.

გუშინ, გამთენიისას, ლოს-ანჯელესის "სტეპლს-ცენტრში" გაიმართა "ლეიკერსისა" და "როკეტსის" მეხუთე მატჩი. მასპინძლებმა საკმაოდ იოლად - 97:78 დაამარცხეს მეტოქე. "რაკეტებმა" მხოლოდ პირველი მეოთხედის მოგება მოახერხეს. დანარჩენ სამ მეოთხედში კი "ლეიკერსის" ვარსკვლავები დომინირებდნენ. კალიფორნიელთა უპირატესობა ამ მატჩში საგრძნობი იყო. მატჩის მიმდინარეობისას ფილ ჯექსონის შეგირდების უპირატესობა 27 ქულას აღწევდა, მაგრამ ბოლოს "როკეტსმა" მოახერხა და ანგარიშში სხვაობა ოდნავ შეამცირა.

მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა კობი ბრაიანტი, რომელმაც 31 ქულა მოაგროვა. ამ ქულათა მარაგს "ლეიკერსის" შემტევმა მცველმა 6 მოხსნა და 10 შედეგიანი გადაცემაც დაუმატა. "ჰიუსტონ როკეტსის" შემადგენლობაში აქტიურობით ჯიმ ჯექსონი გამოირჩეოდა. მის ანგარიშზე 17 ქულა და 5 მოხსნაა.

შვეიცარიაში ფრანგი ალპინისტი გარდაიცვალა

საქვეყნოდ ცნობილი ფრანგი ალპინისტი პატრიკ ბერო შვეიცარიის მთებში გარდაიცვალა. ადგილობრივი პოლიციის ცნობით, უბედური შემთხვევა მოხდა კანტონა ვალეს მთიან მასივში, სადაც ბერო უპრეცედენტო პროგრამის განხორციელებას აპირებდა - მას სურდა, განეხორციელებინა 82-ე ასვლა მთაზე, რომლის სიმაღლე 4 ათას მეტრს აღემატება.

ალპინისტის გვამი გუშინ დილით აღმოაჩინეს და ვერტმფრენით ქალაქ ცერმატში გადაასვენეს. ტრაგედია მაშინ მოხდა, რაც ბერომ განიზრახა, დაელაშქრა ტეხორნი, რომლის სიმაღლე 4491 მეტრია. პირველადი მონაცემებით, ალპინისტი მწვერვალამდე 100 მეტრით ადრე მოწყდა.

გარდაცვლილის პარტნიორი, ასევე ცნობილი ალპინისტი ფილიპ მანიენი მაშველებმა შემთხვევის ადგილიდან ვერტმფრენით ცერმატში გადაიყვანეს.

TV-სპორტი

პარასკევი. 30 აპრილი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
13:20 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი" - "ლაციო"
15:10 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - რუსეთის თასი. ფინალი. "ტერეკი" - "როტორი". საპასუხო მატჩი
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 "FUTBOL MUNDIAL"
17:45 "ფეხბურთი ანიდან ჰაეიდე"
18:15 სუპერლიგის დებიუტანტი. მინი-ფეხბურთის კლუბი "არბატი"
20:00 "ექსპერტიზა"
20:30 "გაიტანე"! მიხაელ ბალაკთან ერთად
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 "დარტყმა გოლისთვის"
21:20 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "პორტუ" - "დეპორტივო". პირველი მატჩი
23:15 თავისუფალი დარტყმა
23:30 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:25 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:25 "ექსპერტიზა"
01:55 01:55-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2003. პირველი წრე. "UTAH JAZZ" - "SACRAMENTO KINGS". მე-3 თამაში
06:00 NBA TV. დღიური
06:30 NBA TV. პლეი-ოფი. პირველი წრე. "MINNESOTA TIMBERWOLVES" - "DENVER NUGGETS". მე-5 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ + СПОРТ
11:00, 14:00, 17:10, 20:00, 22:00 პრესცენტრი
11:20, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. "MONTREAL CANADIENS" - "TAMPA BAY LIGHTNING". მე-4 მატჩი
14:35 "მოტოვებული კვირა"
15:20 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
15:50 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
17:25 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
17:55 "NHL - პლუს"
18:10 ბოულინგი. "ABC მასტერსი"
19:05 ტაილანდური კრივი
20:15 "ყინული და ქვა". გადაცემა კერლინგზე
20:45 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
21:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. "MONTREAL CANADIENS" - "TAMPA BAY LIGHTNING". მე-4 მატჩი
00:45 "NHL - პლუს"
01:00 ახალი ამბები
01:15 "ყინული და ქვა". გადაცემა კერლინგზე
01:45 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე

EUROSPORT
11:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ისტორია
12:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ამხანაგური მატჩი
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ამხანაგური მატჩი
14:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
17:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ამხანაგური მატჩი
18:30 ველორბოლა. რომანდის ტური შვეიცარიაში
20:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
21:30 ფეხბურთი. ევრო-2004-ის ჩემპიონთა თაობა
22:00 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი ჰოლანდიაში
00:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 ყველაზე ძლიერი ადამიანი. სუპერ სერია - ჰოლანდიის გრან-პრი
03:45 ფეხბურთი. ევრო-2004-ის ჩემპიონთა თაობა
04:15 ახალი ამბები

ქართული ავია-მაფიის კორიფეები - 1

ანუ მოსალოდნელი საფრთხე

A1 გვერდიდან

"ქართული ავია-მაფიის კორიფეები - 1" პირველი ნაწილია იმ შავბნელი ავია-ისტორიებისა, რომელსაც *"24 საათი"* ექსკლუზიურად შემოგთავაზებთ.

ავიაციის სრული განსაზღვრება, თუ მის ეტიმოლოგიურ განმარტებას არ ჩავთვლით, რთული საქმეა, რადგან ათობით მიმართულება გააჩნია. შეიძლება ითქვას, რომ ის სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა რამდენიმე თვალსაზრისით: ეკონომიკური თვალსაზრისით ავიაცია ბიზნესის უზარმაზარ სეგმენტს მოიცავს და ათასობით ადამიანს ასაქმებს; ფინანსური – მისი წილი ერთ-ერთი ყველაზე სოლიდურია საბიუჯეტო შენატანებში; სამხედრო-პოლიტიკური – ერთი შეცდომა და შესაძლოა, მსოფლიოში ყველაზე ცხელ საომარ პოლიგონად ვიქცეთ; დაზვერვისა და უშიშროების – საქართველოს რომ ზუსტად ეკონტროლებინა ნავიგაცია, პანკისში რუსული ბომბდამშენები ცეცხლოვან აღლუმს ვერ მოაწყობდნენ, აჭარის თავზე ნარკო-გადამზიდავები არ იფრენდნენ და, საერთოდ, ქართულ ცაზე დომხალი არ იქნებოდა.

ორიოდე წლის წინათ საქართველო საერთაშორისო სკანდალში გაეხვია. პარიზისა და მაიამის გავლით თბილისიდან იამაიკაზე მიმავალი ასზე მეტი ქართველი პარიზში დააპატიმრეს და დეპორტით სამშობლოში დააბრუნეს. რა თქმა უნდა, იამაიკაზე არავინ მიფრინავდა და მიზანი შტატებში მოხვედრა იყო. სხვათა შორის, ამ გზით აშშ-ში უკვე ათასობით არალეგალი ქართველია და თითოეულ მათგანს ეს სიამოვნება 5000 დოლარი დაუჯდა. სკანდალი აგორდა, თუმცა არაფერი ითქვა იმაზე, რომ ეს ცნობილი სომხური "ბიზნესია", რომელიც საქართველოს უშიშროების სამინისტრომ 1998 წელს ჩაიგდო ხელში. რაღა თქმა უნდა, არც საგარეო საქმეთა სამინისტრო დარჩებოდა "დაჩაგრული". ალბათ, ოდესღაც ამასაც აეხდება ფარდა, მაგრამ დღეისათვის ამ თეორიის დასტური, უფრო სწორად შედეგი, ის არის, რომ პარიზის "დე გოლის" აეროპორტი ქართველ მგზავრს არც საფრანგეთში შეუშვებს, არც სხვაგან გააფრენს, თუ მას უკან – თბილისში – დასაბრუნებელი ბილეთი არა აქვს შეძენილი. შედეგია ისიც, რომ საერთაშორისო ავია-ქსელში სახელწოდებით "ამადეუსი" საქართველო ყველაზე შავ სიაშია კონგოსთან ერთად და თუნდაც ის, რომ ქართული წარმოშობის ჰომოსაპიენსებს შტატების აეროპორტები ლამის დედიშობილა ჩხრეკენ.

არანაკლებ საინტერესოა ის, რომ თბილისის აეროპორტს თავის დროზე 13 მილიონი დოლარის კრედიტი გამოუყვეს თანამედროვე ინტერ და ექსტერიერის შესაქმნელად, ამავე საქმისთვის აეროპორტს ძველი ხელისუფლებისაგან ნება დაერთო, თითოეული ბილეთიდან მიეღო 18 დოლარი (კატასტროფული ტარიფი). ანუ რემონტის ფულს ჩვენ, მგზავრები ვიხდიდით. რა მივიღეთ? დამხვედრები წვიმასა და ქარში მაინც ქუჩაში ელოდებიან ახლობელსა თუ სტუმარს.

რა ბედი ეწია კომუნისტების ეპოქის დანატოვარ 14 ერთეულ "ტუ-154"-ს, 10 ცალ "ტუ-134"-ს და 15 ცალ "იაკ-40"-ს? დაჭრეს, კორუფციული გზებით საკუთარ თავს ან ახლობლებს მიჰყიდეს, ჩამოწერეს, ჩალის ფასად გაანიავეს და არ ვიცი, კიდევ რა შეიძლება მოიგონოს ქართველის ტვინმა. აწდაპატიმრებული სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჭანკოტაძე გულმოდგინედ ამტკიცებდა, ჩვენი თვითმფრინავები არავის არაფერში ჭირდებოდა და კაპიკებში იმიტომ ჩაიბარესო. მაგრამ, როგორი წარმოსადგენია, 40-ტონიან "ტუ-154"-ს რომ 15 ათას ლარად გაყიდიან, მაშინ, როცა ჩვეულებრივ ჯართის მიმღებ პუნქტში ერთ კილოგრამ ალუმინს 1.5 ლარად იბარებენ. თვითმფრინავის ლამის 80 პროცენტი კი სწორედ ეს მეტალია. ან რატომ დაფრინავს ერთ-ერთი "ტუ-154" აფრიკაში? ამაზე სხვა დროს...

ახლა კი იმაზე ვისაუბროთ, როგორ შეხვლიპა ერთმა კლანმა მთელი ნავიგაცია, როგორ იქცა "საქაერონავიგაცია" პირად კანტორად და რას წააგებს ქვეყანა, თუ ნავიგაცია არ დაალაგა?

შპს "საქაერონავიგაცია" 1993 წელს დაარსდა და დაკავებულია საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების მოძრაობის ორგანიზაციით, აფრენა-დაფრენის დისპეტჩერული მომსახურებით თბილისის აეროპორტში – ეს ოფიციალურად. არაოფიციალურად კი მისი ხელმძღვანელობა კორუფციის თეორიის მეტრებად შეიძლება ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, აქაურ "საგმირო საქმეებს" ტომები არ ეყოფა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ იმათზე ვისაუბრებთ, რომლებიც დოკუმენტურად გვაქვს დასაბუთებული.

მაშ ასე, 1998 წლის 4 მარტს სასამართლოში რეგისტრაციაში გატარდა შპს ბანკი "რესპუბლიკა". მის სადამფუძნებლო პარტნიორთა რიგებში, როგორც სასამართლო დადგენილება გვაუწყებს, ვკითხულობთ: შპს "BIG"-ს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ცალკე მის სოხუმის ფილიალს, ავიაკომპანია "ორბი"-ს, ილია ბაბუციძეს, ლაშა პაპაშვილს, ნუგზარ კახიშვილს და სხვა მარავალს. მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი დამფუძნებელი ორგანიზაციები და პირები: შპს "ავიასაწავსერვისი", სს "თბილისის აეროპორტი", "საქაერონავიგაცია", შპს "არქსტუდია" და ჯიმშერ ქანდაურაშვილი.

ბესო ბელაგეულის ფოტო

ქართული ავიაცია დაცარიელების გზაზეა.

მთელი არსი ამ საინტერესო ისტორიისა ის არის, რომ "საქაერონავიგაცია" ბანკ "რესპუბლიკიდან" იღებდა კრედიტებს და მათ შორის არჩევდა მხოლოდ ისეთებს, რომლებიც მაღალ პროცენტს დაუტოვებდა მომსახურე ბანკს. საერთოდ, საბანკო მომსახურებაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირი სიამოვნება მოკლევადიანი სესხებია და მათ შორის ე.წ. "ოვერდრაფტი". ამ შემთხვევაში საქმე სწორედ მასთან გვაქვს.

ცნობისათვის: *ბანკირების განმარტებით, ოვერდრაფტი არის იურიდიული პირების მოკლევადიანი დაკრედიტების მოქნილი ინსტრუმენტი. მისი მიზანია საბრუნავ საშუალებებში დროებითი დეფიციტის დაფინანსება. ოვერდრაფტის სახით თანხა გაიცემა მიმდინარე ანგარიშიდან. მომხმარებელს დაუწესდება გარკვეული ლიმიტი, რომლის ფარგლებში და დროის განსაზღვრულ პერიოდში მას შეუძლია, გადააჭარბოს ანგარიშის საკრედიტო ბალანსს.*

რა შეიძლება ითქვას, მაგალითად, იმაზე, რომ "საქაერონავიგაციამ" 2003 წლის 31 მარტს აიღო სესხი მილიონ 750 ათასი ლარის ოდენობით და იგი მეორე დღესვე, 1 აპრილს გაისტუმრა პროცენტთან ერთად. ასეთი გარიგებები ბანკსა და "საქაერონავიგაციას" შორის ბევრია. ჩვენ ხელთ სიაც კი გვაქვს 1998-2004 წლებში ეროვნულ თუ უცხოურ ვალუტაში მიღებული კრედიტებისა, რომელსაც ხელს "საქაერონავიგაციის" ბუღალტრები აწერენ (ტაბურჩინსკაია და მიშჩენკო). ვფლობთ ასევე საკრედიტო ხელშეკრულებების ასლებს, თუმცა მათი ცალკეულად გამოქვეყნება შორს წაგვიყვანს. მსგავსი შეთანხმება ხსენებულ წლებში 22-ჯერ გაფორმდა, ჯამში კრედიტის სახით აღებულმა თანხამ შეადგინა 15 მილიონ ლარზე მეტი (ეს, რაც ჩვენ ვიცით), რისი პროცენტიც (წლიური 30 პროცენტი) გახლავთ 4.5 მილიონზე მეტი.

ცალკე საკითხია ის, რომ პროცენტი მაღალია (მაგალითად, "თიბისი ბანკში" ოვერდრაფტს 24 პროცენტად მიიღებთ). რა თქმა უნდა, არავინ ამბობს, რომ ბანკმა კრედიტის ერთი დღით გაცემით კანონი დაარღვია, მაგრამ ჰქონდა კი ამის უფლება სახელმწიფო საწარმოს "საქაერონავიგაციის" ხელმძღვანელს ალექსანდრე სილაგაძეს. ერთდღიანი სესხის შედეგად ხომ სახელმწიფომ იზარალა. ანუ სილაგაძემ გაამდიდრა მის მიერვე დაფუძნებული ბანკი, ამონაგები თანხის ნაწილი კი საბოლოოდ საკუთარ ოჯახში მიმართა, რამეთუ ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი სილაგაძის სიმამრი ჯიმშერ ქანდაურაშვილია.

ძალიან საინტერესოდ გვეჩვენა ხელშეკრულებების მთელი სერია "საქაერონავიგაციასა" და შპს "არქსტუდიას" შორის. სხვათა შორის, ბანკ "რესპუბლიკას" დამფუძნებელი "არქსტუდიაც" არის. ხელთ გვაქვს ოთხი ხელშეკრულება და ყურადღებასაც სწორედ მათზე გავამახვილებთ. პირველი ორი ხელშეკრულება მიზნად ისახავს თბილისის აეროპორტის ზონაში საჰაერო მოძრაობის მართვის სამსახურის შენობის დაპროექტებას. ერთის ღირებულება 113 432 დოლარია, მეორისა კი – 19 799 დოლარი. რა საჭიროა ორჯერ ამხელა თანხის გადახდა ერთ საქმეში, არავინ იცის. დანარჩენი ორი შენობის მშენებლობასა და დიზაინს ეძღვნება, 458 693 დოლარის ღირებულებით ერთ შემთხვევაში და 4 065 138 დოლარის – მეორე შემთხვევაში. ჯამში "საქაერონავიგაციის" ახალი ოფისი დაჯდა 4 677 062 დოლარი. თუ ამ თანხას გავყოფთ შენობის ფართზე (2800 კვ/მ), მივიღებთ, რომ ერთი კვადრატული მეტრი დაახლოებით 1700 დოლარი დაჯდა. ალბათ, თეთრი სახლი თუ დაჯდებოდა ამდენი. ისე, ინფორმაციისთვის, "არქსტუდიაშიც" დავრეკეთ სავარაუდო კლიენტის სტატუსით და ვიკითხეთ, რა დაჯდებოდა ახალი შენობის აგება და გარემონტება. ასე გვითხრეს – **"მაქსიმუმ 450-500 დოლარიო".**

ამ ფასთან შედარებით, გამოდის, "საქაერონავიგაციის" ხელმძღვანელობამ კვადრატულ მეტრზე სულ ცოტა 1000 დოლარი ჩაიდო ჯიბეში, რაც ჯამში დაახლოებით 3 მილიონ დოლარს შეადგენს. მეტიც, ხსენებული შენობა საერთოდ უკანონოა იმიტომ, რომ ადგილი, სადაც ის არის განთავსებული, "საქაერონავიგაციას" დამტკიცებული არა აქვს. გასაოცარ ინფორმაციას იძლევა საჯარო რეესტრი. ირკვევა, რომ "საქაერონავიგაციის", რომელიც ჯამში ქვეყნის მასშტაბით 46 ობიექტს (შენობა-ნაგებობები, სადგურები, გადამცემები და ა.შ.) ფლობს, საჯარო რეესტრის მიხედვით მხოლოდ ერთი აქვს დამტკიცებული კანონის სრული დაცვით.

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ "პანასონიკის" ფირმის საშუალო ზომის ე. წ. "სახლის კინოთეატრი" ამავე ფირმის მაღაზიაში 3500 დოლარი ღირს, "საქაერონავიგაციის" კი 29 ათას ლარად აქვს შეძენილი. არც იმაზე დავწვრილმანდებით, რომ სილაგაძის შვილმა "საქაერონავიგაციის" კუთვნილი 80 ათას ლარიანი "ფორდის" ჯიპი დაამტვრია და მისი გარემონტება ან ზარალის ანაზღაურება აზრად არავის მოსვლია. მანქანის ნარჩენები ახლაც "საქაერონავიგაციის" ტერიტორიაზეა. მასთან დაკავშირებული ოქმი კი იუწყება, რომ მანქანის შეკეთება არამიზანშეწონილია და ამასთან ავტოინსპექციაშიც არავის გაუკეთებია განცხადება. ესეც კიდევ ერთი კანონდარღვევა.

საერთოდ, ტრანსპორტირების თემა, მობილურ კავშირთან ერთად, ძალიან საინტერესოა. ირკვევა, რომ, მაგალითად, 2003 წელს "საქაერონავიგაციას" მობილური საუბრები 135 ათასი დოლარი დაუჯდა, მობილური ტელეფონების აპარატები - 15 ათასი ლარი, მანქანის საწვავი – 130 ათასი დოლარი, მივლინენები – 560 ათასი ლარი და ა.შ. რისთვის და ვისთვის?

ეს თანხები არ გაგვკვირვებია, როცა გავიგეთ, რომ თურმე სწორედ "საქაერონავიგაცია" აფინანსებდა სხვა სახელმწიფო ორგანიზაციის - სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის - ხელმძღვანელის ზურაბ ჭანკოტაძისა და მისი მოადგილეების მობილურ კავშირს, ავტოტრანსპორტს, საწვავსა და მივლინებებს. ასეთი კიდევ რამდენი იქნება?

ალექსანდრე სილაგაძეს, რომელიც 11 წელი ხელმძღვანელობდა "საქაერონავიგაციას", ტალანტი სხვა სახის მაქინაციებშიც აღმოაჩნდა. წლების მანძილზე ის ნისიად ემსახურებოდა სხვადასხვა ავიასაწარმოებს, რომლებიც შემდეგ კოტრდებოდნენ და "საქაერონავიგაციას" არაფერს უხდიდნენ. ასეთი ბევრია და იმ მოვალეთა სიაში, რომელიც ჩვენ ხელთ გვაქვს, ყველაზე საინტერესო სომხური ავიაკომპანიაა, რომელსაც "საქაერონავიგაციის" 1997 წლიდან დღემდე 400 ათასი დოლარი მართებს, მაგრამ მისი მოთხოვნა და სასამართლოში ჩივილი აზრად არავის მოსვლია. მეტიც, საქართველოში თურმე არსებობს ე.წ. ავია-აფერისტთა ჯგუფი, რომელიც ძირითადად დასაქმებულია ახალი ავიაკომპანიების დაარსებით, ვალზე მუშაობით, შემდეგ კი – გაკოტრებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ "საქაერონავიგაცია" ასეთებს "ხელს უწყობს", გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სხვადასხვა ავიაკომპანიებსა თუ აეროპორტებს ჯამში საქართველოს სახელმწიფოს დაახლოებით 420 ათასი დოლარი მართებთ, მაგრამ მომთხოვნი არავინაა.

დღეს შეიძლება ითქვას, რომ "საქაერონავიგაცია" არის იმპერია და ის "სილაგაძეების" წოდებას ატარებს. ეს არის აუღებელი ციხესიმაგრე, რომელშიც სილაგაძეს მთელი მისი სანათესაო ჰყავს დასაქმებული. ბევრი რომ არ გავაგრძელო, საგვარეულო იერარქიიდან უბრალოდ ჩამონათვალის ნაწილს გაგაცნობთ: ავთანდილ სილაგაძე - "საქაერონავიგაციის" დირექტორი; თამარ სილაგაძე, მეუღლე – ტექნიკური განვითარებისა და ინვესტიციების განყოფილების ინჟინერი; სერგო სილაგაძე, ძმა – სარემონტო საექსპლუატაციო სამსახურის მეტროლოგიის ინჟინერი; ლუდმილა სილაგაძე, ძმის ცოლი – ურთიერთანგარიშსწორების ცენტრის ოპერატორი; ქეთი თოდუა, ძმის ცოლი – მოძრაობის სამსახურის ექიმი; დალი თოდუა, ძმის ცოლის და – ბუღალტერი; გიორგი თოდუა, ძმის სიმამრი – რ/ნავიგაციის მძღოლი; გიორგი სართანია, ძმის ცოლის სიძე – საერთო საცხოვრებლის ინსპექტორი; ნანული ქანდაურაშვილი, მეუღლის და – მოძრაობის სამსახურის ინჟინერი; მარინა ქანდაურაშვილი, ცოლის და – სააერნაოსნო სამსახურის ინჟინერი; სამველ კარაგულიანი, ცოლის დის ქმარი – მოძრაობის სამსახურის ინჟინერი; ნიკოლოზ ხამუტოვი, ძმის სიძე – სააერნაოსნო ინფორმაციის სამსახურის უფროსი; ოლღა ხამუტოვა, ძმის შვილი – სააერნაოსნო დოკუმენტაციის მომზადების ჯგუფის ტექნიკოსი და ა.შ. გრძელდება აღმავალი თუ დაღმავალი კავშირით, სანათესაო თუ საახლობლო გვარები: ტაბურჩინსკაია (მთავარი ბუღალტერი), მიშჩენკო, ტაცენკო, კანდელაკი, ბერიძე, ხვედელიძე, ლონდარიძე, კულინიჩი, პროკოფიევა, კაზაკოვი, მალეევა, თევდორაშვილი, ზაქაიძე თავიანთი შვილებით, რძლებით, სიძეებით, სიძის რძლებით. რძლების სიძეებით და ა.შ. არავინ უწყის, სადამდე. მათი ხელფასი 1000 ლარზე ნაკლები არ არის, როგორც ამბობენ, მათი ნახევარი საერთოდ არ დადის სამსახურში, არც უმაღლეს-განათლებულები ჭარბობენ... მოკლედ – "ნინიას ბაღი". ჯამში, "საქაერონავიგაციაში" 600-ამდე ადამიანია დასაქმებული.

მაგრამ, მარტო სილაგაძე როდია ავიაციის კორიფე. ჭანკოტაძე, რომელიც, სხვათა შორის, სულ სხვა, უმნიშვნელო მიზეზით არის დაკავებული, ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარეობამდე, "საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ყოფილა რამდენიმე წლით. საერთოდ, "საქაერონავიგაციას" მეტსახელად ჭანკოტაძის კანტორასაც ეძახიან თურმე.

კიდევ ერთი, არსებობს ინფორმაცია, რომ სილაგაძე ამჟამად ციურიხშია. ნებისმიერ შემთხვევაში, გადადგომამდე რომ იყო, ჩვენმა ინკოგნიტო წყარომ დანამდვილებით იცის (გადადგა თებერვლის ბოლოს). გავიგეთ ისიც, რომ გადადგომამდე ერთი დღით ადრე სილაგაძემ რუსეთში, ჯერ გაურკვეველი მიმართულებით და მიზნებით 250 ათასი დოლარი გადარიცხა "საქაერონავიგაციის" ანგარიშიდან. საერთოდ სილაგაძე, ისევე როგორც მთელი მისი ნათესაობა, რუსული მენტალიტეტის კაცი ყოფილა. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი რუსული კავშირები საქართველოს სახელმწიფო უშიშროებისა თუ დაზვერვის დონეზე გამოსაკვლევი საკითხია. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთ დროს ჩვენს ცაზე რუსები იოლად აწყობდნენ პანკისურ ვოიაჟებს. რა თქმა უნდა, ქვეყნის ნავიგაციას ეს არ გამოეპარებოდა, თუმცა ჩვენთვის ეს ნავიგატორებს არ უთქვამთ, რუსების სტუმრობა ბომბებით ვიწვნიეთ, მაგრამ ნავიგაციას ეს ინფორმაცია ბომბის ჩამოგდებამდე ექნებოდა. მოკლედ, ამ სფეროში საოცრება ტრიალებს და იმედია, ახალი ხელისუფლება რაღაცას იღონებს.

ყოველ შემთხვევაში, ეს ინფორმაცია პროკურატურაში უკვე ორი თვეა, დევს, მაგრამ გამომძიებლები, რატომღაც, აყოვნებენ.

გოგა შაშიაშვილი, *გამომძიებელი:*

- რამდენადაც ვიცით, "საქაერონავიგაციასთან" დაკავშირებით აღძრულ საქმეს თქვენ აწარმოებთ, რა გაარკვიეთ ამ დროისთვის?

- ამ ეტაპზე დანიშნულია რევიზია და უახლოეს მომავალში ველოდებით რევიზიის შუალედურ აქტებს. კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ჯერ საუბარი არ მინდა.

- რა მუხლით აღიძრა საქმე?

- 220-ე და 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

- საქმე კონკრეტულად სილაგაძეზეა აღძრული?

- სილაგაძეზე ჯერ არა. საქმე ცალკეულ თანამდებობის პირებზე აღიძრა. ნავიგაციის გარდა, საქმე აღიძრა საჰაერო ტრანსპორტის ადამიანისტრაციის ხელმძღვანელის ჭანკოტაძის მიმართ, რომელიც ამჟამად პატიმრობაში იმყოფება.

- ჭანკოტაძეს, რამდენადაც ვიცით, ისეთი ბრალდება წაუყენეს, რომლიდანაც თავის დაძვრენა არ გაუჭირდება და ეს საჰაერო ადმინისტრაციაში მოღვაწეობას უკავშირდება. მე მაინტერესებს, უშუალოდ ნავიგაციასთან მიმართებაში რა ინფორმაცია გაქვთ, ჭანკოტაძე "საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო რამდენიმე წელი?

- ნავიგაციაში ამჟამად მიმდინარეობს რევიზია. ადმინისტრაციასთან დაკავშირებით შუალედური აქტი მივიღეთ და მივიღეთ კიდეც გადაწყვეტილება დაპატიმრების შესახებ. რაც შეეხება იმას, რომ ჭანკოტაძე "საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო, ეს გამოძიებისთვისაც არის ცნობილი.

- რევიზიას ვინ ატარებს?

- დადგენილებით ჩვენ დავნიშნეთ და იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და გამოკვლევების ცენტრი ატარებს.

- როდის აღიძრა საქმე?

- 13 თებერვალს.

- კანონით, რა ვადაში უნდა დასრულებულიყო რევიზია, მგონი საკმაო დროა გასული?

- ასე განსაზღვრული არ არის. მასალა ძლიან დიდი მოცულობისაა. ხუთი რევიზორი მუშაობს. ჩვენ ვადებს არ ვადგენთ, ეს თავად ცენტრის გადასაწყვეტია, რა დროსაც მოითხოვს სრულყოფილი შესწავლა, ის დრო დაიხარჯება.

- შეიძლება ერთი წელიც გაგრძელდეს?

- წელიწადი გამორიცხულია. მაქსიმუმ ოთხი თვე.

- გასაგებია, რომ ოფიციალური კომენტარის გაკეთება ჯერ არ გსურთ, იქნებ, ის მაინც გვითხრათ, გსემნიათ თუ არა რამე ბანკ "რესპუბლიკას" დაფუძნების და იქიდან გამოტანილი კრედიტების შესახებ?

- შესაძლოა, მათ ამ ბანკში ანგარიშები ჰქონდეთ, ვიცით ისიც, რომ "საქაერონავიგაცია" ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელია, ინფორმაციას ჯერ მხოლოდ ამ დონეზე ვფლობ.

- შენობასთან დაკავშირებით რა იცით, რემონტზე არარეალურად დიდი თანხაა გადახდილი, რაც ასევე კანონდარღვევებზე მიუთითებს.

- რევიზორებისგან გადმოცემით ვიცი, რომ რემონტი 1000 დოლარზე მეტი დაჯდა. ეს საკითხიც მოწმდება და აქტში აისახება.

- თქვენი პირადი აზრი მაინტერესებს, თუნდაც, 1000 დოლარი ბევრი არ არის?

- ბევრი თავისთავად არის, მაგრამ შესამოწმებელია, რა დონის მშენებლობაა ჩატარებული.

- რაც არ უნდა იყოს, ასეთი ფასი გამორიცხულია. ამ ფირმას სხვა ბევრი რამ აქვს აშენებული. საქართველოში ასეთი თანხა მშენებლობა და რემონტი არ ჯდება...

- ესეც შემოწმდება.

- ეს შენობა საერთოდ კანონიერია, თუ იცით?

- არ მსმენია-თქო, ნამდვილად არ ვიტყვი, მაგრამ ჯერ საჭიროა დოკუმენტების გაცნობა.

- ის, რომ სილაგაძეს მთელი მისი ნათესაობა ყავს დასაქმებული უწყებაში?

- ამის შესახებ შეგვატყობინეს.

- ის, რომ სილაგაძის შვილმა ძვირადღირებული ავტომობილი დაამტვრია?

- ესეც შესწავლის სტადიაშია.

- ჭანკოტაძესთან დაკავშირებით, თუ იცით, რომ მის ხარჯებს ხშირ შემთხვევაში "საქაერონავიგაცია" აფინანსებდა...

- ყველა საკითხი დაფიქსირდება აქტში. ყველა ხარჯებს შევისწავლით. კიდევ გეუბნებით, მე ჯერ შუალედური აქტი არ მაქვს და შეფასებებს ვერ გავაკეთებ.

ნებისმიერ შემთხვევაში, შაშიაშვილისთვის არც ერთი ინფორმაცია, გარდა სილაგაძის მიერ რუსეთში განხორციელებული ფინანსური გადარიცხვისა, უცხო არ ყოფილა. თუმცა, საუბრის ბოლოს მაინც ითხოვა, **"კავშირებზე ნურაფერს იტყვითო"**. ანუ, გამოდის, ესეც იცოდა. ჯერჯერობით პროკურატურას ვერაფერს მოედავები...

საქმე ისევ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრშია. აი, აქ კი, ჟურნალისტის ვიზიტზე მართლაც ელდა ეცათ. ამ საქმის კურატორმა ნოდარ კბილაშვილმა, რა თქმა უნდა, ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა. ისინი რევიზიას ანარმოებენ, მაგრამ ჟურნალისტებთან ურთიერთობა მათი კომპეტენცია არ არის. კბილაშვილი არც იმაზე დაგვთანხმდა, მის მიერ გამოთქმული უარი დიქტოფონზე ჩაგვეწერა და ბოლოს ისიც გამოგვიცხადა – "**აუცილებლად ვიტყვი, რომ მე თქვენთან არ მისაუბრიაო.**" ვადებთან დაკავშირებით თავად კბილაშვილიც ამბობს, რომ რევიზიას წელიწადი არ დასჭირდება, თუმცა განსაზღვრული დრო მაინც არ არსებობს – "რასაც მოითხოვს" და მორჩა. ისე ასეთ პასუხებს შევარდნაძის ეპოქაში ვიყავით მიჩვეული და იმედია, ამ შემთხვევაში მის გადმონაშთებთან არ გვაქვს საქმე. თუმცა, საბოლოოდ მაინც არაფერი გაგვაკვირვებს. რატომ? იმიტომ, რომ ნავიგაცია და საერთოდ ავიაცია ყველაზე შავი, სისხლიანი და იდუმალებით მოცული სფეროა.

რაც შეეხება "საქაერონავიგაციას", მას ჯერ ახლოსაც ვერ მიეკარები, იქ დიდი რეორგანიზაციებია დაგეგმილი. დაბოლოს, რას წააგებს სახელმწიფო, თუ ნავიგაცია არ დაალაგა?

კობა ლიკლიკაძე, *ექსპერტი:*

- არსებობს მცნება - ნავიგაციური უსაფრთხოება, რომელიც ზოგადად ქვეყნის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. საჰაერო მიმოსვლა, გადაყვანა და მასთან დაკავშირებული ყველა ტექნიკური დეტალი, ცოდნა იმისა, თუ რამდენად თავისუფალია საჰაერო სივრცე ფორსმაჟორული პირობებისგან და სხვა მრავალი სწორედ ამ სფეროში შედის. სამხედრო, ისევე, როგორც სამოქალაქო ავიაცია, ამის გარეშე მკვდარია.

- როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება მოჰყვეს იმას, თუ ნავიგაციის ინფორმაციაზე სხვა ქვეყანას მიუწვდა ხელი?

- საერთოდ, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია ინფორმაციის გაცვლას თავისთავად გულისხმობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვიღაცას მართვის პულტზე მიუწვდებოდეს ხელი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მოძრაობის კოორდინატების არევა, შეჯახების პროვოცირება და სხვა ბევრი რამ.

- როგორც მახსოვს, ნავიგაცია არ აკეთებდა არავითარ ინფორმაციას, როცა რუსული ბომბდამშენები პანკისში შემოდიოდნენ და ამას, ძირითადად, ბომბების ჩამოყრის შემდეგ ვიგებდით ხოლმე. შეეძლოთ თუ არა ნავიგატორებს ამ ყველაფრის გაგება ბომბების ჩამოყრამდე?

- საერთოდ, კავკასიის ქედის კონტროლირება ძალიან რთულია. ამასთან, ეს ბომბდამშენები, პრაქტიკულად, წამებს ანდომებდნენ ბომბების ჩამოყრას და ისევ უკან გადიოდნენ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ნავიგაციას ამის გაგება მაინც შეეძლო.

ორშაბათი 3.05

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** „ტელეღიპუ-ცები“ **09.40** სერიალი „შურისძიება“ **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** „დისკავერი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი „მაშ-ველები“ **18.20** „ტელეღიპუცები“ **19.10** „დის-კავერი“ **19.45** სერიალი „შურისძიება“ **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. „დე-პორტივო“-“პორტო“

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ **10.10** მხ. ფილმი „პარმის სავანე“ **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „სოლედა-დი“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნ-ნიერების შესახებ“ **15.15** მხ. ფილმი „ფორსა-იტების საგა“ 11-12ს. **17.00** მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ **17.30** „ამბობენ“ (განმ.) **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი **19.05** „იმღერე რამე“ **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი „სოლედადი“ **22.00** სერიალი „ფსიქ-ფაქტორი“ 1-ლი ს. **00.00** მხ. ფილმი „პარმის სავანე“ მე-2ს.

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტროროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** პროფათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** „ბრავო“ „ვირტუალური ქალიშვილი“ **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი „ველური მთვარე“ **11.10** დღის კინოდარბაზი **12.00, 15.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **18.30** მულტსერიალი „რედვოლი“ **19.00** სე-რიალი „ველური მთვარე“ **20.00** საინფ. გა-მოშვება „მზერა“ **21.00** მხ. ფილმი „ცოფიან გზაზე“ (დანიელ ბრეტი) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი „ელენე ტროადან“ (სიენა გვილორი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ **19.30** კინოსეანსი „ჩემი ამერიკელი ბიძა“ 19-20ს. **21.00** დოკ. სერიალი „გაცოცხლებული ქვები“ **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი „მელოდია სარდაფიდან“

კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი „გასწირე შენი თა-ვი“ **15.00** მხ. ფილმი „ცისფერი კრუიზი“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფილმი „იამაკა-სები“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ბრი-ლიანტის პოლიციელი“ **22.30** „საქმე და ეკო-ნომიკა“

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონი-კა **07.10, 11.20, 13.15, 17.20, 01.25** იმედის მე-ლოდიები **07.30** „იმედის“ დილა **10.00** დროე-ბა **11.30** სპ. პროგრამა „ასი“ **12.10** სერიალი „კლონი“ **13.25, 00.55** ტვ-მარკეტი **14.05** თა-მაში „უდაბნოს სამჭედლოები“ **15.00, 16.00, 17.00** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი „მაისის ღვი-ნო“ **17.25** ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ **18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.40** ქრონიკა **18.05** სერიალი „ტყუპე-ბი“ **19.35** სერიალი „ულონი“ **20.30** ქართ. სე-რიალი „ცხელი ძაღლი“ მე-3 ს. **21.30** „ვაკა-ჭი-ნიუსი“ **23.00** სპორტ. პროგრამა „გოლი“ **23.30** სერიალი „გაზაფხულის 17 გაელვება“ მე-5 ს.

არხი

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** კომე-დია „ოქროს ციებ-ცხელება“ **11.20** დოკუმე-ნტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. „დღეს“ **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **12.20** დეტექტივი „კინდჯაიტი“ **13.55** მუსიკა **14.10** მელოდრამა „ქარწაღე-ბული“ 1 ს. **16.20** მულტფილმი „ნოტერდამ-ის კუნიანი-შშ“ **17.25, 19.50, 23.20, 02.45, 04.35** მუსიკა **18.20** ვესთერნი „განდევნილი“ **19.50** მუსიკა **20.10** თრილერი „მაჰუნის სა-კუთრება“ **23.00** საინფ. გამოშვება აზერბა-ჯანულ და სომხურ ენებზე **00.40** საინფ. გა-მოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** კომედია „სულელები არა ვართ“ **03.00** დრამა „ობობა“ **05.00** დოკუმენტური ფილმი

1 ОРТ

07.00, 11.00, 19.00 Новости **07.10 Сериал „Все путешествия команды Кусто“ 08.00 Худ.фильм „Приключения принца Флоризеля“. 3 с. 09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** „Смак“ **11.30** Песня года. Финал. Часть 3 **13.40** „По следам „Всадника по имени Смерть“ **14.10** Мультфильм „Принцесса Мононоке“ **16.20** „Марку Фрадкину - 90“ **17.10 Худ.фильм „Добровольцы“ 19.10** „Смешные люди“ **20.20** Церемония вручения народной премии „Золотой Граммофон“ **22.00** Время **22.20** Церемония вручения „Золотой Граммофон“. Продолжение **00.00 Худ.фильм „Анна и Король“ 02.40 Худ.фильм „Красная роза“. 3 с. 04.20 Комедия „Любить воспрещается“**

НТВ

07.25 Худ.фильм „Цирк“ 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня **09.20** „Растительная жизнь“ **09.50 Комедия „Берегите женщин“. 1 с. 11.20** Свидетель века **11.35** „Государственная граница“. Фильм 1-й. „Мы наш, мы новый...“. 1-2 с. **14.55** Едим дома **15.35** „Принцип „домино“ **17.20** „Женский взгляд“ **17.55** „Однажды в России. Китаец моей мечты“ **18.25** „Внимание! Розыск!“ **19.05** Неизвестная война. „От Балкан до Невы“ **20.35 Комедия „В джазе только девушки“**

სამშაბათი 4.05

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** „ტელეღიპუ-ცები“ **09.40** სერიალი „შურისძიება“ **11.00** სერიალი „ჯაშუში“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** „დისკავერი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი „მაშ-ველები“ **18.20** „ტელეღიპუცები“ **19.10** „დის-კავერი“ **19.45** სერიალი „შურისძიება“ **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. „დე-პორტივო“-“პორტო“

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ **10.10** მხ. ფილმი „პარმის სავანე“ **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „სოლედა-დი“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნ-ნიერების შესახებ“ **15.15** მხ. ფილმი „ფორსა-იტების საგა“ 11-12ს. **17.00** მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ **17.30** „ამბობენ“ (განმ.) **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი **19.05** „იმღერე რამე“ **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი „სოლედადი“ **22.00** სერიალი „ფსიქ-ფაქტორი“ 1-ლი ს. **00.00** მხ. ფილმი „პარმის სავანე“ მე-2ს.

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტროროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორა-დიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეუ-ლი **02.00** „ბრავო“ „წყალი თავს ზემოთ“ **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი „ველური მთვარე“ **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მუ-ლტსერიალი „რედვოლი“ **19.00** სერიალი „ვე-ლური მთვარე“ **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **21.00** მხ. ფილმი „ლევიაფანი“ (პიტ-ერ უელმური) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი „იქ სადაც ოცნებები ხდება“ (რობინ უილიამსი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ **19.30** სერიალი „ეშმაკუნა“ **21.00** „პალიტრა“ **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი „ყველაფ-რის ფასად“

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ბრილიანტის პოლიციელი“ **13.30** „საქმე და ეკონომიკა“ **14.30** მხ. ფილმი „არმაგედონი“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინ-ფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფი-ლმი „სახიფათო ჩაძირვა“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი“ **00.30** მუ-სიკა

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრო-ნიკა **07.15, 11.05, 13.15, 14.35, 17.20, 02.20** იმედის მელოდიები **07.30** „იმედის“ დილა **10.10** სერიალი „ტყუპები“ **11.05** „არტ-ბულ-ვარი“ **11.25** სპ. პროგრამა „გოლი“ **12.10** სე-რიალი „კლონი“ **13.25, 01.50** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოე-ბა“ **15.00, 16.00, 17.00** ქრონიკა **15.15** სერია-ლი „გაზაფხულის 17 გაელვება“ **17.25** ანიმა-ციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვე-ფხვი“ **18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.35** ქრო-ნიკა **18.05** სერიალი „ტყუპები“ **19.35** სერია-ლი „კლონი“ **20.30** ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი“ **21.30** ლარის მახე **23.00** ერთხელ ჰოლივუდში **23.30** მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება“ **00.40** სპ. პროგრამა „გოლი სერია ფ“

არხი

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** დო-კუმენტური ფილმი **10.10** კომედია „სულე-ლები არა ვართ“ **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. „დღეს“ **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **12.20** თრილერი „მაჰოუნის სა-კუთრება“ **14.10** მელოდრამა „ქარწაღებულ-ნი“ 2 ს. **16.20** მულტფილმი „ახალი ბრემენე-ლები“ **17.05** ისტორიული ფილმი „ახალგაზ-რდა აივენჰო“ **19.00** „დღეს მსოფლიოში“ **19.20** დოკუმენტური ფილმი **20.10** ფანტას-ტიკა „თვითმარქვია“ **21.50, 02.55** მუსიკა **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფიმილი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერ-მანულ ენებზე **01.00** კომედია „ორლეტი“ **03.20** მხ. ფილმი „ქარაფშუტობა“ **05.00** დო-კუმენტური ფილმი

1 ОРТ

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости **07.10 Сериал „Все путешествия команды Кусто“ 08.00 Худ.фильм „Приключения принца Флоризеля“. 3 с. 09.20** Служу Отчизне! **10.10** „В мире животных“ **11.10** „Непутевые заметки“ **11.30** Пока все дома **12.00** „Лошадиная энциклопедия“ **12.30** „Угадай мелодию“ **13.10 Худ.фильм „Летят журавли“ 15.00** „Пестрая лента“. Татьяна Самойлова **15.50** Концерт „Народная марка“ в Кремле **17.30** Праздничный „Ералаш“ **18.00** Живая природа. „Глазами зверя“ **19.10 Мюзикл „Золушка“ 21.20 Худ.фильм „К-19“ 23.50** „Карнавал на берегу мечты“ **00.40 Бокс.** Крис Берд - Анджей Голота **01.40** Церемония вручения премии „Радиомания“ **03.10 Худ.фильм „Рейд на Роммеля“**

НТВ

07.15 Худ.фильм „Волга-Волга“ 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня **09.20** „Растительная жизнь“ **09.50 Комедия „Берегите женщин“. 2 с. 11.20** Свидетель века **11.35** „Государственная граница“. Фильм 2-й. „Мирное лето 21-го года“. 1-2 с. **14.55** Едим дома **15.35** „Принцип „домино“ **17.20** „Женский взгляд“ **17.55** „Однажды в России“. „Колея“ **18.25** „Внимание! Розыск!“. „Убить дракона“ **19.05** Неизвестная война. „Освобождение Польши“ **20.35 Худ.фильм „Вокзал для двоих“ 23.25 Футбол. Лига чемпионов. Полуфинал. „Депортиво“** (Испания) - **„Порту“** (Португалия) **01.40 Худ.фильм „Странная история Ольги О.“**

ოთხშაბათი 5.05

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** „ტელეღიპუ-ცები“ **09.40** სერიალი „შურისძიება“ **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** „დისკავერი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩე-მპიონთა ლიგა **17.05** სერიალი „მაშველები“ **18.20** „ტელეღიპუცები“ **18.55** „დისკავერი“ **19.45** სერიალი „შურისძიება“ **22.00** სერიალი „სოპრანოს კლანი“ **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. „ჩელსი“-“მონაკო“

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ **10.10** მხ. ფილმი „პარმის სავანე“ **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „სოლე-დადი“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი „ლეგენდე-ბი მეცნიერების შესახებ“ **15.15** მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა“ 13-14ს. **17.00** მულტსე-რიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადა-სავალი“ **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი **19.05** „იმღერე რამე“ **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი „სოლედადი“ **22.00** „ღამის მატარებელი“ **23.20** „ღამის მატარებელი“ **00.00** მხ. ფილმი „სტიკსი“

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტროროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** „ბრავო“ „დიდი ტურნე“ **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი „ველური მთვარე“ **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მუ-ლტსერიალი „რედვოლი“ **19.00** სერიალი „ვე-ლური მთვარე“ **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **21.00** მხ. ფილმი „29 დღის შემდეგ“ (სილიან მარფი) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი „ზღვათა მბრძანებელი“ (რასელ ქროუ)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ **19.30** სერიალი „ეშმაკუნა“ **21.00** „გემრიელ-ად მიირთვით ბავშვებო“ **21.30** ჩვენი მისამა-რთია **22.00** მხ. ფილმი „ყვარყვარე“

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი“ **14.00** მხ. ფილმი „გლადიატორი“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფილმი „დრაკონის კოცნა“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 2“ **00.30** მუსიკა

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 13.15, 16.35, 17.20, 01.25** იმედის მელოდიები **07.30** „იმედის“ დილა **10.05** სერიალი „ტყუპები“ **11.05** სპ. პრო-გრამა „ბოლი სერია ფ“ **12.10** სერიალი „კლონი“ **13.25, 00.55** ტვ-მარკეტი **14.05** სე-რიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ **15.15** მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება“ **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.40** ქრონი-კა **17.25** ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ **18.05** სერიალი „ტყუპე-ბი“ **19.35** სერიალი „კლონი“ **20.30** ქართ. სე-რიალი „ცხელი ძაღლი“ **21.30** „პირველი ნა-ხევარი“ **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილ-მი „გაზაფხულის 17 გაელვება“ მე-7 ს.

არხი

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** ფილ-მი-ზღაპარი „დაბრუნება ოზის ქვეყანაში“ **11.10** დკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. „დღეს“ **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საი-ნფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **12.20** ფანტას-ტიკა „თვითმარქვია“ **14.10** კომედია „ითამა-შე, როგორც ბეკჰემი“ **16.20** მულტსერიალი **16.55** მუსიკალური კომედია „გაუფრთხილ-დით ქალებს!“ 1 ს. **18.20** თრილერი „შოუ იწყება“ **19.55, 03.00** მუსიკა **20.10** კომედია „შესისხლხორცებულნი“ **23.00** საინფ. გამო-შვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გა-მოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** „მკვდარი“ **03.10** ისტორიუ-ლი ფილმი „ატილა დამპყრობელი“

1 ОРТ

07.00 Телеканал „Доброе утро“ **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Худ.фильм „К-19“ 12.40** Дисней-клуб: „Мышиный дом“ **13.20 Худ.фильм „Жду и надеюсь“. 1 с. 14.30** Док.детектив „Опасен и склонен к побегу“ **15.00** Город женщин **16.20 Сериал „Берег мечты“ 17.20** „Угадай мелодию“ **17.50** „Большая стирка“ **19.20** „Природа вещей“ **19.50 Сериал „Клон“ 20.50** „Стирка на миллион“ **21.00 Худ.фильм „Как бы не так“. 1 с. 22.00, 00.30** Время **22.35 Сериал „Улицы разбитых фонарей“ 23.40** Кремль-9. „В.Молотов. Школа выживания“ **00.50** „Фабрика звезд“ **01.10** Искатели. „Мятежный форт“ **01.40** „Крылья“. „Небесные рыцари“ **02.10** Максим Никулин в программе „Форганг“ **02.40 Худ.фильм „Война Мерфи“ 04.20 Худ.фильм „Взлом“**

НТВ

07.20 Худ.фильм „Светлый путь“ 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня **09.20** „Растительная жизнь“ **10.00** Кулинарный поединок **11.20** „Государственная граница“. Фильм 3-й. „Восточный Рубеж“. 1-2 с. **14.55** Едим дома **15.35** „Принцип „домино“ **17.20** „Женский взгляд“ **17.55** „Однажды в России“. „Переход“ **18.25** „Внимание! Розыск!“. „Чертова дюжина“ **19.05** „Неизвестная война“. „Союзники“ **20.35 Худ.фильм „Разрушитель“ 23.30** „Театр имени СССР“ **00.20 Худ.фильм „Улица наслаждений“ 02.05** Сегодня

ხუთშაბათი 6.05

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** „ტელეღიპუ-ცები“ **09.40** სერიალი „შურისძიება“ **11.00** სერიალი „სოპრანოს კლანი“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** „დისკავე-რი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა **17.05** სერიალი „მაშველები“ **18.20** „ტელეღი-პუცები“ **18.55** „დისკავერი“ **19.45** სერიალი „შურისძიება“ **22.00** სერიალი „სოპრანოს კლანი“ **22.50** ღამის კურიერი **01.00** მხ. ფილ-მი „სერპიკო“. მთ. რ-ში: ალ პაჩინო, ჯონ რე-ნდოლფი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ **10.10** მხ. ფილმი „კეთილი კაცი“ **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „სოლედა-დი“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნ-ნიერების შესახებ“ **15.15** მხ. ფილმი „ფორსა-იტების საგა“ 15-16ს. **17.00** მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ **17.30** ჯანმრთელობა **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი **19.05** „იმღერე რამე“ **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი „სოლედადი“ **22.00** სერიალი „ფსიქ-ფაქტორი“ **00.00** მხ. ფილმი „სისი“

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტრო�oლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** „ბრავო“ „ამაზონი ცეცხ-ლში“. მთ.რ-ში სანდრა ბალოკი, კრეიგ შეფე-რი. **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი „ველური მთვარე“ **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მუ-ლტსერიალი „რედვოლი“ **19.00** სერიალი „ვე-ლური მთვარე“ **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **21.00** მხ. ფილმი „სიკვდილის ზღვა-რზე“ (ჯეიმი ჯოელ ოსმენტი) **22.45** არჩევან-ის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი „ვის ეშინია ვი-რჯინია ვულფის“ (ელიზაბეტ ტეილორი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ **19.30** სერიალი „ეშმაკუნა“ **21.00** დოკ. სერი-ალი „მოგზაურობა“ 1-ლი ნ. **21.30** „ჩემი მშვენიერი ლედი“ **22.00** მხ. ფილმი „პროზაკ-ის თაობა“

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 2“ **14.00** მხ. ფილმი „ტაქსი“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფილმი „ბარი ველური კოიოტი“ **19.20** სპექტ-რი **21.00** მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 3“ **00.30** მუსიკა

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა **07.15, 13.15, 16.35, 17.20, 01.25** იმე-დის მელოდიები **07.30** „იმედის“ დილა **10.10** სერიალი „ტყუპები“ **11.05** ჩ -კლუზივი **12.10** სერიალი „კლონი“ **13.25, 00.55** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოე-ბა“ **15.15** მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელ-ვება“ **16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.40** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ **18.05** სერია-ლი „ტყუპები“ **19.30** სერიალი „კლონი“ **20.30** ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი“ **21.30** საქმე ! **23.00** „ესტაფეტა“ **23.30** მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება“ მე-8ს.

არხი

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** ის-ტორიული ფილმი „ნაპოლეონი“ 1 ს. **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. „დღეს“ **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საინფ. გამო-შვება „ნოვოსტი“ **12.20** კომედია „შესისხლ-ხორცებულნი“ **14.25** სათავგადასავლო ფი-ლმი „ზევსი და როქსანა“ **16.20** მულტფილმი **16.55** მუსიკალური კომედია „გაუფრთხილ-დით ქალებს!“ 2 ს. **18.20** დოკუმენტური ფი-ლმი **19.00** „დღეს მსოფლიოში“ **19.30, 21.40, 23.20, 02.45, 05.40** მუსიკა **20.10** მხ. ფილმი „საჰაერო ტერორისტები“ **23.00** საინფ. გა-მოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრან-გულ ენებზე **01.00** ფილმი-ფანტასტიკა „ეკ-ვილიბრიუმი“ **03.00** მხატვრული ფილმი „მო-ცეკვავის დრო“

1 ОРТ

07.00 Телеканал “Доброе утро”. **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.35 Сериал „Улицы разбитых фонарей“ 11.20, 19.50** Сериал **“КЛОН” 12.20** Мультсериал “Кошки-мышки”. **12.40** Дисней-клуб: “Тимон и Пумба”. **13.20** Олег Меньшиков в фильме **“ЖДУ И НАДЕЮСЬ”. 2** с. **14.30** Искатели. “Мятежный форт”. **15.10** Город женщин. **16.20** Сериал **“БЕРЕГ МЕЧТЫ”. 17.20** “Угадай мелодию” **17.50** “Большая стирка” **19.20** Док. фильм “Невеста для адмирала”. **20.50** “Стирка на миллион”. **21.00** Евгений Сидихин в боевике **“КАК БЫ НЕ ТАК”. 2** с. **22.00, 00.30** Время. **23.35** Кремль-9. “В.Молотов. Арест жены и опала”. **00.50** “Фабрика звезд”. **01.10** Новые чудеса света. “Евротоннель”. **01.40** Теория невероятности. “Зарождение жизни”. **02.10** “Гении и злодеи”. **02.40** Патрик Берджин в боевике **“СТРАЖА АПОКАЛИПСИСА” 1-2с.**

НТВ

06 07.15 Любовь Орлова в комедии **“ВЕСНА” 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00** Сегодня. **09.20** “Растительная жизнь”. “Малайзия-II” **10.00** Квартирный вопрос: пять дочек. **11.20** Свидетель века. **11.30** Худ. фильм **“ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА”**. Фильм 4-й. **14.55** Едим дома. **15.35** “Принцип “домино”. “Сексапильна - значит вооружена”. **17.20** “Женский взгляд”. Лариса Рубальская. **17.55** “Однажды в России. Для тех, кому за...” Фильм Александра Зиненко. **18.25** “Внимание: розыск!” “Большое рязанское сафари”. **19.05** Неизвестная война. Битва за Берлин. **20.35** Джим Кэрри в комедии **“ТУПОЙ И ЕЩЕ ТУПЕЕ” 23.30** “Театр имени СССР”. Фильм В. Такменева из цикла “Новейшая история”. **2с. 00.20** Джон Кьюсак в вестерне **“ДЖЕК БУЛЛ” 02.30** Сегодня. **02.50** “Ночные музы”. “Стиль от...” Ренаты Литвиновой.

პარასკევი 7.05

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** „ტელეღიპუ-ცები“ **09.40** სერიალი „შურისძიება“ **11.00** სერიალი „სოპრანოს კლანი“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.20** „დისკავე-რი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი „მაშველები“ **18.20** „ტელეღიპუცე-ბი“ **18.55** „დისკავერი“ **19.45** სერიალი „შურ-ისძიება“ **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვი-ლთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.20** მხ. ფილმი „წყალქვეშა ნავი“. მთ. რ-ში: იურგენ პროხნოვი, ხერბერტ გრუნმეიერი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ **10.10** მხ. ფილმი „სისი“ **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოა-მბე **12.15** ტელესერიალი „სოლედადი“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. ფილმი „აერობუსი“ **15.15** მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა“ 17-18ს. **17.00** მულტსე-რიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადა-სავალი“ **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერია-ლი **19.05** „იმღერე რამე“ **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი „სოლედადი“ **22.00** „ღამის მატარებელი“ **23.20** „ღამის მატარებელი“ **00.00** ჯაზ-ფესტივალი **01.15** მხ. ფილმი „ლა-მაზი ჯონი“

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტროროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.15** სოლო **02.00** „ბრავო“ „დიდი დღე“ მთ.რ-ში ჯულიანა მარგულისი, აივენ სერჯი. **03.45** პაუზის გარეშე

მზე

09.00 არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი „ველური მთვარე“ **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მუ-ლტსერიალი „კლიფორდი“ **19.00** სერიალი „ველური მთვარე“ **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა“ **21.00** მხ. ფილმი „განთიადი“ (ენტო-ნი ჰოპკინსი) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი „აზუმი“ (იოჰირო ჰარადა)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ **19.30** სერიალი „ეშმაკუნა“ **21.00** დოკ. სერი-ალი „მოგზაურობა“ მე-2 ნ. **21.40** აფხაზეთის ტვ. **22.00** მხ. ფილმი „სახიფათო პროფესია“

კავკასია

12.00 მხ. ფილმი“კერკეტი კაკალი 3“ **14.00** მხ. ფილმი „ტაქსი 2“ **15.30** მხ. ფილმი „პაპარ-ლი ხმალთევზა“ 17.000, **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფილმი „არც ცოცხალი არც მკვდარი“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „გმირი“ **00.30** მუ-სიკა

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა **07.15, 13.15, 15.50, 17.50, 02.25** იმე-დის მელოდიები **07.30** „იმედის“ დილა **10.10** სერიალი „ტყუპები“ **11.05** სპ. პროგრამა „ეს-ტაფეტა“ **11.30** „ლარის მახე“ **12.10** სერიალი „კლონი“ **13.25, 01.55** ტვ-მარკეტი **14.05** სე-რიალი „ნირო ვ

მცირე ბიზნესს მაიკროსოფტის ეშინია

მამუკა ქირია

როგორც Yankee-ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ გამოკვლევებში ჩანს, მცირე და საშუალო ზომის კომპანიების უმეტესობა მაიკროსოფტის პროგრამულ უზრუნველყოფაზე მასიურად დამოკიდებულნი გახდნენ, რის გამოც დიდ შიშს და შეშფოთებას გამოთქვამენ.

ზემოთხსენებული ანალიტიკური ფირმის მიერ ოთხშაბათს გამოქვეყნებული დასკვნა მიუთითებს იმაზე, რომ მცირე და საშუალო ზომის კომპანიების 43 პროცენტი, მაიკროსოფტის პროდუქციაზე და მომსახურებაზე ძლიერ დამოკიდებულნი არიან. გამოკვლევა ჩაუტარდა 600-მდე მცირე კომპანიის 500 ადამიანს.

ამაზე საკუთარი კომენტარი გააკეთა მაიკროსოფტის ხელმძღვანელობამ. ისინი თვლიან, რომ გამოკითხვის შედეგები მოულოდნელი და სენსაციურია. ისინი ყველანაირად ხელს უწყობენ და აკმაყოფილებენ მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მოთხოვნებს, მათი მიზანი შეკვეთების შესრულება და პარტნიორებთან ერთად განვითარებაა, მცირე კომპანიების ჩაძირვა ან ზეგავლენა მათზე მათ არ აწყობთ, რომ მათთვის მცირე და საშუალო დონის კომპანიების შეკვეთების შესრულება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და საფრთხე აქ არ არსებობს.

სენსაციურ განცხადებას აკეთებს გამოკითხულთა 72 პროცენტი. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, ალტერნატიული გამოსავალი იპოვონ ამა თუ იმ სოფტის შეძენის დროს და რაც შეიძლება შეასუსტონ მაიკროსოფტის გავლენა.

Microsofti-ის საყოველთაოდ ცნობილი ლიცენზირებული სოფტი

რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია მაიკროსოფტისთვის არასასიამოვნოა და შესაძლოა, ბაზრის ნაწილიც დაკარგოს. ფაქტია, რომ ანალიტიკოსები არაფერში არ ტყუიან და ამ გიგანტს საშიშროებისკენ მიუთითებენ.

მცირე და დიდი ზომის კომპანიებს საკმაოდ საინტერესო წინადადებები აქვთ სოფტის გიგანტთან. ისინი მოითხოვენ, რომ ლიცენზირების სისტემა გაადვილდეს და მაიკროსოფტმა გააკეთოს შეღავათები მცირე კომპანიებისთვის. მოთხოვნა მარტივია; მოხდეს ლიცენზირებული პროგრამებისა და სერვის-მომსახურების ფასდაკლება, რაც არა მარტო შეუნარჩუნებს მაიკროსოფტს ამ ნაწილში ბაზარს, არამედ გაუზრდის კიდევაც. მოგეხსენებათ, ბაზრის ამ ნაწილში მაიკროსოფტს მომავლისთვის საკმაოდ ბრძოლისუნარიანი კონკურენტები ეყოლება - ისეთები, როგორებიცაა Corel, Intuit, NetSuite და Peachtree (Software). მათი კოზირი სწორედ ასეთი შიშის სინდრომია, რომელმაც მცირე და საშუალო კომპანიები შეიპყრო. ეს მიზეზი თუ შეძლებს ამ ბაზრის ნაწილი ჩამოთვლილ კომპანიებს გადაუნაწილოს, სხვაგვარად მაიკროსოფტი უახლოეს მომავალში ვერავინ ვერაფერს ვერ დააკლებს. უფრო ძლიერ კონკურენციას მცირე ბიზნესში SAP, Oracle, Siebel Systems და IBM გაწევენ. რა თქმა უნდა, მათ მეტი გამოცდილება და აღიარება აქვთ. უკანასკნელ ხანებში ასპარეზზე დიდი წარმატებით გამოდის კომპანია Dell, რომლის მიღწევა ისაა, რომ მან უმოკლეს ვადაში ფასი/ხარისხის ფორმულით იმუშავა და მომხმარებელთა 20 პროცენტი დაიპყრო. ასე რომ, მაიკროსოფტი მცირე ბიზნესში ჯანყთან ერთად, შეიძლება კონკურენტების დარტყმებმაც შეაწუხოს.

მარსზე ქიმიურად სტერილურ ასტრონავტებს გააგზავნიან

მამუკა ქირია

NASA სერიოზულად უდგება საკითხს, მარსზე გასაგზავნი მამაკაცი ასტრონავტების ქიმიური სტერილიზაციის შესახებ. პირველი მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცებს, რომლებიც წინა ხაზზე იბრძოდნენ, საკვებში ბრომიდს უმატებდნენ, სექსუალური კავშირების გამოსარიცხად. ამერიკის ნაციონალური კოსმოსური სააგენტო ამ მეთოდის სრულყოფას აპირებს. ბრიტანეთის პლანეტათაშორისო სიმპონზიუმზე გამოსულმა პროფესორმა რეჩელ ემსტრონგმა განაცხადა, რომ NASA მარსზე გაგზავნის წინ ასტრონავტებს ქიმიურ სტერილიზაციას გაუკეთებს.

რადგან მისია 36 თვეს ანუ 3 წელს გასტანს, ხომალდის ეკიპაჟის 6 წევრისთვის, რომელიც 4 მამაკაცისგან და 2 ქალისაგან შედგება, ასეთი შეზღუდვა აუცილებელია. ისინი აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანები არიან და ამ ხნის მანძილზე მათი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლებელი იქნება. სტერილიზაციის გარეშე შორეულ კოსმოსში რომანტიკა ორ წყვილს შორის გარდაუვალი იქნება, რაც თავისთავად ორ მამაკაცს მარტოს დატოვებს. გამოდის რომ ეკიპაჟის ოთხი წევრი კმაყოფილი იქნება ცხოვრებით და დარჩენილი ორი კი ფიზიოლოგიური მოთხოვნილების მსხვერპლნი გახდებიან, ამტკიცებს პროფესორი რეჩელ ემსტრონგი. ასეთმა სექსუალურმა დაუკმაყოფილებლობამ შეიძლება ხომალდი დაღუპვამდეც მიიყვანოს.

ერთ-ერთი რუსი კოსმონავტი ამტკიცებს, რომ თუ დარჩენილ ორ ასტრონავტს გვერდით ეყოლება ორი რომანტიკული წყვილი, რომლებიც ბედნიერად ცხოვრობენ, მაშინ ყველა პირობა იარსებებს მათ რადიკალურ ზომებს მიმართონ და კონფლიქტიც გარდაუვალი გახდება. ეს კი შეიძლება მსხვერპლითაც დამთავრდეს. "ყოველივე ეს "ოტელოს" ტრაგედიას მაგონებს" – ამბობს რუსი კოსმონავტი. ასე რომ, ამერიკის ნაციონალური კოსმოსური სააგენტოს მეცნიერებს ფიქრი ამაზეც მოუწევთ.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისებადი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ულ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

დიდი ბრიტანეთი სმაში ევროპის ჩემპიონია

დიდი ბრიტანეთის მაცხოვრებლები ალკოჰოლურ სასმელებზე გაცილებით მეტს ხარჯავენ, ვიდრე სხვა ნებისმიერი ევროპული ქვეყნის მოქალაქეები. გასულ წელს ქვეყანაში 21 მილიარდი ფუნტი სტერლინგის ღირებულების ალკოჰოლის შემცველი პროდუქცია გაიყიდა, იუწყება ბრიტანული სააგენტო Ananova.

მედიკოსები განსაკუთრებით იმ ფაქტით არიან შეშფოთებულნი, რომ თითქმის ყველა მომხმარებელი საკუთარი პირით აღიარებს, - სპირტიანი სასმელები საუკეთესო საშუალებაა განტვირთვისთვისო. ამიტომაც, ალკოჰოლი ყველაზე უფრო რეალიზებად ანტიდეპრესანტად ითვლება.

საერთოდ, ევროპაში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და მოხმარება დღითი დღე მატულობს. თუ 1997 წელს 77,5 მილიარდი ფუნტის სასმელი გაიყიდა, ეს ციფრი დღეისათვის 90,6 მილიარდ ფუნტ სტერლინგამდე გაიზარდა. აქედან დიდი წილი ბრიტანელებზე მოდის.

სპეციალისტები თვლიან რომ ასეთი ტემპით თუ გაგრძელდა, 2006 წლისთვის ბრიტანეთში 96 მილიარდი ფუნტი სტერლინგის სპირტიანი სასმელი გაიყიდება.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.